

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
m. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო
ძ ი ე ბ ა ნ ი

XLI

Linguistic
P a p e r s

თბილისი 2019 Tbilisi

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XLI წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„Linguistic Papers“ volume 41 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ნ. დარასელია** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

EDITORIAL BOARD:

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **N. Daraselia** (editor of the English part), **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Chumburidze, N. Jorbenadze

გიორგი ბოგოლავილი

სალიტერატურო ენის ნორმა და დიალექტური ნორმა¹

რა არის ენობრივი ნორმა? რას ნიშნავს სალიტერატურო ენის ნორმა და დიალექტური ნორმა (რა სხვაობაა მათ შორის)? ვინ განსაზღვრავს, რა არის სალიტერატურო ენის ნორმა (ანუ ვინ არის ნორმადარი)? ვინ არის ვალდებული ნორმათა დაცვის (ანუ ვის აქვს ნორმათა დაცვის ვალდებულება)? ვის წინაშეა ენისა თუ დიალექტის მატარებელი ანგარიშვალდებული თუ პასუხისმგებელი ნორმათა დაცვის თვალსაზრისით? რა მექანიზმები არსებობს ნორმათა დაცვის უზრუნველყოფისა ან ერთ, ან მეორე შემთხვევაში? – ეს ის კითხვებია, რომლებზეც გვსურს ვიმსჯელოთ ამ სტატიაში.

* * *

რა არის ენობრივი ნორმა? ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სალიტერატურო ენის **ნორმა** ასე განიმარტება: „**ადიარებულო, როგორც ნამდვილი, ძირითადი, მისაღები, დასაშვები**“, ანუ: ენაში არსებულ ვარიანტთაგან ნორმირებული არის ის, რომელიც მოიპოვებს საყოველთაო აღიარებას; რომელიც არის ბუნებრივი, ნამდვილი ენობრივი ფორმა (და არა ხელოვნური); რომელიც არის ძირითადი არსებულ ვარიანტთაგან; თანაბრად მისაღები ამ ენაზე მოსაუბრეთათვის; ან არსებულ ენობრივ ვარიანტთაგან უფრო მეტად დასაშვები.

* * *

ის რაც ვთქვით, ეხებოდა სალიტერატურო ენის ნორმას. გარდა სალიტერატურო ნორმისა, საუბრობენ აგრეთვე დიალექტური ნორმის შესახებ. ამ თემაზე ყურადღება გაამახვილა ბ. ჯორბენაძემ (იხ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 36-37). „ნორმა“ დიალექტის შემთხვევაში პირობითად ნახმარი ტერმინია. „**იგულისხმება ამა თუ იმ დიალექტისთვის ნიშანდობლივი ენობრივი წესი, ჩვევა (უზუსტი)**. ამ

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ქართული ენის გრამატიკა ნორმისა და ვარიაციებს შორის“ (FR-17-158) – ფარგლებში.

თვალსაზრისით დიალექტური ნორმა განსხვავდება სალიტერატურო ენის ნორმისაგან“.

არსებითი განსხვავება ამ ორ „ნორმას“ შორის ისაა, რომ სალიტერატურო ენის ნორმას ადგენს ნორმადარი; არსებულ ვარიანტთაგან უფრო მეტად მისაღებს არჩევს და მას **ნორმის** სტატუს ანიჭებს ნორმადარი. მაგალითად: ენაში არსებობს პარალელური ვარიანტები: **დაუხატია // დაუხატვია // დაუხატავს, დრეკს // დრეკავს // დრიკავს...** ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე ნორმის სტატუსი მიენიჭა ერთ შემთხვევაში **დაუხატავს** ფორმას და მეორე შემთხვევაში – **დრეკს** ფორმას. ამ გადაწყვეტილების საფუძველად ისტორიული პრინციპი იქნა გათვალისწინებული (ნორმად მიჩნეულია ისტორიულად მართებული ფორმები); ისეთ ვითარებაში, როგორცაა **ადვიარებ // ვადიარებ** (შეიძლება გავიხსენოთ ცნობილი პოლემიკა აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის) ისტორიულად პირველი ფორმაა მართებული, მაგრამ თანამედროვე გავრცელებულობის პრინციპის საფუძველზე **ვადიარებ** ფორმა არის მიჩნეული მართებულად (სხვათაშორის იმ პოლემიკაში ი. გოგებაშვილი ამ პრინციპს იცავდა, ა. წერეთელი – ისტორიულ პრინციპს)... ძირითადად ასე განიხილება სალიტერატურო ენაში ნორმათა დადგენის საკითხი... ვიმეორებთ: ნორმას ადგენს და ამკვიდრებს ნორმადარი. ნორმადარი შეიძლება იყოს სამეცნიერო დაწესებულება, მეცნიერთა ჯგუფი, კონკრეტული მეცნიერი, რომელიც მოამზადებს პროექტს ნორმისთვის და წარუდგენს შესაბამის ორგანოს დასამტკიცებლად... ქართული ენის შემთხვევაში ნორმათა დადგენა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მე-19 საუკუნეში ამ პროცესს არასისტემური ხასიათი ჰქონდა და ხშირად კერძობითი ხასიათისა იყო... სალიტერატურო ენის ნორმა არის სავალდებულო ხასიათის. სავალდებულოობა არის სალიტერატურო ენის ნორმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი. სალიტერატურო ენის ნორმა არის ცვალებადი ფენომენი, იგი დროთა განმავლობაში ექვემდებარება განახლებას...

სულ სხვა ვითარებაა, როცა ვსაუბრობთ დიალექტურ ნორმაზე. როგორც ვთქვით, **დიალექტურ „ნორმად“ მიიჩნევა დიალექტისთვის ნიშანდობლივი, დიალექტისვის დამახასიათებელი, დიალექტის თავისებურებების განმსზაღვრელი მონაცემი.** მას არა აქვს სა-

ვალდებულ ხასიათი. ძნელია მოიძებნოს პირი, რომელიც ამა თუ იმ დიალექტს ფლობდეს ზედმიწევნით სრულყოფილად (საუბრობდეს „დიალექტური ნორმების“ დაცვით); ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია დიალექტის მასშტაბი, მისი შიდა დიფერენცია (კილოკავები, თქმები, ქცევები)... ქართული ენის დიალექტები ამ მხრივ სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებს; მაგალითად, ისეთი მცირე დიალექტი, როგორცაა თუშური, თითქმის ერთ სოფელშია წარმოდგენილი; კახური, ქართლური თუ იმერული ვრცელ სივრცეზეა გაშლილი (შესაბამისად დიალექტური დანაწევრებაც აქტუალურია)... საერთო დიალექტური ნორმის „დადგენაც“ არ მოხერხდება ამ შემთხვევაში: მაგ., ქვემოიმერლისთვის „ნორმა“ იქნება **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები (ვასწავლი-**ყე**, აქვთ-**ყე**...), ზემოიმერლისათვის – **ევ/ემ** სუფიქსიანი უწყვეტელი (ბარ-**ევ**-და, სვ-**ემ**-და)... დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში ჩარგლელი ფშაველის ასეთი ფრაზაა დადასტურებული: **„დასიცილი იციან უკვენა ფშავეში აქიურ სიტყვებზე“** (გიგინეიშვილი, 1961, 127), ეს იმას ნიშნავს, რომ „დიალექტური ნორმა“ წინა და უკანა ფშავეში სხვადასხვაა და ეს „იციან“ ამ დიალექტის მატარებლებმა... ასეთი ვითარება არ იქნება თუშურის შემთხვევაში... ამ საკითხზე მსჯელობისას მთქმელის (დიალექტის მატარებლის) ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი... სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ცალკეული მთქმელის მეტყველებაში დიალექტი სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი. სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს ამ შემთხვევაში: მთქმელის წარმომავლობა, განათლება, პროფესია, ნავალობა... ამიტომაც მის მეტყველებაში მეტ-ნაკლებად ირღვევა დიალექტისთვის ნიშანდობლივი წესი, გამოიყენება ამ დიალექტისთვის არადამახასიათებელი ფორმები. ყოველი მთქმელი არსებითად ფლობს იდიოლექტს“ (ჯორბენაძე, 1989, 36).

საინტერესოა ავტორისეული მსჯელობა (იქვე) დიალექტოლოგიური ქრესტომათიიდან (გიგინეიშვილი, 1961, 179) მოყვანილ ფრაზაზე **„დახეილ შეშაი პლახს ვეტყვით“**.

კახურ დიალექტში ასეა: ფრაზაში ხმოვანფუძიანი სახელი მიცემით ბრუნვაში დაირთავს **ა**-ს, ხოლო თანხმოვანფუძიანი სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ერთი მხრივ: **პაპაი** ვუთხარი, წიგნი **გაბოი** მივეცი, **ელენეი** დაუმახე... და, მეორე მხრივ: **სახლ** უშენებს, **მეზობელ** დაუმახე...

დამოწმებულ შემთხვევაში მთქმელი ერთსა და იმავე წინადადებაში ერთ შემთხვევაში კახური დიალექტის ფორმას ხმარობს (**შე-**

შა-ა = შეშა-ს), მეორე შემთხვევაში – არადიალექტურ ფორმას – **პლახს**. დიალექტური „ნორმის“ მიხედვით ეს ფრაზა ასე „გაიმართება“: „**დახეჩილ შეშაი პლახ** ვეტყვით“...

დიალექტოლოგის ამოცანა ისიც არის, შეისწავლოს ამგვარი მოვლენები, გაარკვიოს და დააზუსტოს, რა არის ის, რაც კონკრეტული დიალექტის თავისებურებაა და ამის მიხედვით იმსჯელოს დიალექტურ ნორმაზე. დიალექტური ტექსტის ანალიზის დროს განსაზღვროს, რა არის სწორედ „ნორმა“ და რა – „ნორმიდან“ გადახვევა. იშვიათია ალბათ მთხრობელისგან ჩაწერილი ტექსტი, რომელიც დიალექტური „ნორმის“ მიხედვით შეიძლება იყოს გამართული. როგორც აღვნიშნეთ, ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს. უპირველესად მთხრობელის განათლება; ამ შემთხვევაში იგულისხება სალიტერატურო ენის ნორმათა გავლენა. ამ ორი „ნორმის“ „შეჯახება“ უმეტეს შემთხვევაში სალიტერატუროს უპირატესობით წარიმართება; თუ, რა თქმა უნდა, მთქმელის თვითმიზანი არ არის დიალექტურ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილება (ანუ: თუ მთქმელი ცდილობს თავისი დიალექტური კუთვნილების წარმოჩენას). დიალექტური „ნორმის დარღვევის“ ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სასაუბრო გარემო იყოს. როცა მთქმელის თანამოსაუბრე არ არის ამ დიალექტის მატარებელი – ან სალიტერატურო ენის წარმომადგენელია, ან სხვა დიალექტისა, მთქმელი ქვეცნობიერად „არღვევს“ დიალექტურ „ნორმებს“ და თანამოსაუბრისთვის „გასაგებ“ ნაირსახეობებზე ცდილობს საუბარს. ამ პრობლემას ხშირად (თითქმის სისტემურად) აწყდებიან დიალექტოლოგები ტექსტის ჩაწერის დროს. მოსაუბრეზე ამგვარი ფსიქოლოგიური ფაქტორის გავლენის თაობაზე მიანიშნებდა ჯერ კიდევ დავით კლდიაშვილი თავის „მემუარებში“ (კლდიაშვილი, ტ. II, 1981), როცა ლაზეთში იოსებ ყიფშიძის მუშაობას აკვირდებოდა, წერდა: როგორც კი იოსები ფანქარსა და ფურცელს მოიმარჯვებდა, ლაზი მთქმელი ჩერდებოდა, დუმდებოდა. იმ შემთხვევაში შესაძლოა მთქმელს სხვა შიშიც ჰქონდა (ასე ვთქვათ, პოლიტიკური), მაგრამ თანამოსაუბრის ფანქარი და ქალაქი მას დაფიქრების აუცილებლობას უკარნახებდა. ამიტომ ფასეულია ის „ყურმოკრული“ ფრაზები, რომელსაც დიალექტოლოგები ჩაიწერენ ხოლმე (ამგვარი „გარეშე ფაქტორებისაგან“ თავისუფალია)...

ძალიან საინტერესოა ისეთი დიალექტური მასალა, როცა სათანადოდ მომზადებული ინფორმატორი თავად თხზავს მშობლიური დიალექტის ტექსტებს. ამის კარგი მაგალითია აკაკი შანიძის მი-

ერ ორგანიზებულნი ჩანაწერები ხევსურული დიალექტისა ბესარიონ გაბურის თქმული (ჩაწერილი). როგორც ცნობილია, აკაკი შანიძემ პეტერბურგში ყოფნისას გაიგო ხევსური ბესარიონ გაბურის შესახებ (იმჟამად გაბური ლაზარეთში მკურნალობდა). აკაკი შანიძის თხოვნითა და დავალებით ბესარიონმა ჩაწერა (დაწერა, შეთხზა) ხევსურული ტექსტები: ხალხური თუ საკუთარი ლექსები, თქმულებები, მის მიერვე აღწერილი ვითარებანი და ა.შ. ბესარიონ გაბურს კარგი ენობრივი ალღო რომ ჰქონდა, კარგად იცოდა მშობლიური დიალექტი, ამის თაობაზე თავად ა. შანიძეც მიანიშნებდა. საინტერესოა, სტიმული რომ მიეცა ხევსურულად საუბრისა, თავად ა.შანიძე წერილებს „ხევსურულად“ სწერდა ბესარიონს. გარკვეულ შემთხვევებში უსწორებს კიდევ ბესარიონი – ხევსური ასე კი არა, ასე იტყოდაო: „აკაკო, შე მართლად მწერელ-ტყვეო! „ეტრატნ“ ქვე რასად გექვივნეს? რამთვენ ხანი ას, შენ გასწავლი, საუბარ ვერ დაგასწავლ!“ (წელიწდეული, I-II, 1923-1924, გვ. 258.).

* * *

ეს ვრცელი ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, გვეთქვა, რომ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი დიალექტური ტექსტის „გამართვა“ დიალექტურ „ნორმაზე“. სხვა მაგალითიც შეიძლება მოვიყვანოთ: ენათმეცნიერ გიორგი ცოცანიძის მიერ ჩაწერილ თუ დაწერილ თუშური ტექსტები (ცოცანიძე, 2004). ასევე „ნორმის“ თვალსაზრისით „სანდოა“ ალექსი ჭინჭარაულის მიერ ჩაწერილი ხევსურული ტექსტები (ჭინჭარაული, 1961); როგორც ჩანს, ა. ჭინჭარაული ხევსურულისათვის „არანორმულ“ ფორმებს „ასწორებდა“ ხევსურული „ნორმის“ მიხედვით. ცნობილი ფაქტია: როგორც რედაქტორმა, ალექსი ჭინჭარაულმა, ა. შანიძის თხზულებათა პირველ ტომში მოისურვა საუკუნის წინათ ა. შანიძის მიერ ჩაწერილი ხევსურული ტექსტის „გასწორება“, რასაც არ დათანხმებულა ა. შანიძე: სტუდენტმა ა. შანიძემ ასე ჩაიწერა მაშინ და ასე დარჩესო... ა. შანიძის პოზიცია გასაგებია და მისაღები: ტექსტი ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რომელიც ჩამწერისთვის შეიქმნა იმ მასალის ჩაწერისას... აქ, ალბათ, საინტერესოა ისიც, ხევსურული დიალექტის შემთხვევაში ა. ჭინჭარაულის მიერ „დიალექტური ნორმის“ შესაბამისად გამართული ტექსტები რა მიმართებაშია პირიქითა და პირაქეთა ხევსურულთან...

დიალექტურ „ნორმაზე“ „ტექსტის გამართვის“ საინტერესო მაგალითია ვაჟა-ფშაველას პოეზიაში დადასტურებული ხევისურული ფორმა **„გააფხავიდის ხმალია“**. საერთოდ, ხევისურულში II ხოლმეობითის პარადიგმა ასეთია:

გააფხავ-იდ-ი

გააფხავ-იდ-ი

გააფხავ-ი-ს

ვაჟა-ფშაველამ „გაასწორა“ პარადიგმა, თუმცა ეს (**გააფხავი-დის**) არაა ხევისურული „ნორმა“ – არასწორადაა აღქმული „ხევისურული ნორმა“.... გასაგებია: ხევისურული არ არის ვაჟა-ფშაველას მშობლიური დიალექტი...

გაგვიგრძელდა საუბარი...

რის საფუძველზე დგინდება დიალექტური ნორმა? „ნორმის“ „დადგენა ხდება ამა თუ იმ დიალექტისთვის ნიშანდობლივი ფონემური, მორფოლოგიური და სინტაქსური კანონზომიერების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, საერთო ენობრივი სისტემის მოთხოვნილებებითაა შეპირობებული“... (ჯორბენაძე, 1989, 36).

დიალექტოლოგიც ამას უნდა ისახავდეს მიზნად, ტექსტის ანალიზი უნდა იყოს მიმართული დიალექტის შინაგანი კანონზომიერების გამოვლენისკენ; პასუხი გაეცეს უმთავრეს კითხვებს: რა არის თავისებურება ამა თუ იმ დიალექტისა, რით განსხვავდება იგი სალიტერატურო ენისაგან და, ასევე, რატომ არის, რა არის მიზეზი ამგვარი ფორმების წარმოქმნისა; პასუხგასაცემია კითხვაც, რა არის „ნორმა“ და რა იწვევს ამ „ნორმათა“ დარღვევას...ამ კითხვაზე პასუხის გაცემამ ტენდენციებიც უნდა გამოავლინოს ზეპირმეტყველების კონკრეტული ნაირსახეობის განვითარებისა: როგორ იცვლება „ნორმა“, რა პერსპექტივა აქვს „ნორმას“ და ა.შ...

* * *

ნორმირებულობა სალიტერატურო ენისა ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. წერენ: „სალიტერატურო ენა არის ნორმირებული (სალიტერატურო ენა საჭიროებს მეცნიეულად დასაბუთებულ გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისთვის აუცილებელია მართებული პრინციპების გამომუშავება, რომლებიც წარმართავენ მისი შემდგომი განვითარების გეზს, ანუ: ხდება გარკვეული ეპოქისათვის ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროგრამირება“ (ჯორბენაძე, 1989, 154).

ეს ზოგადად. ცხადია, ყოველივე ქართულ სალიტერატურო ენასაც შეეხება. „მეცნიერულად დასაბუთებული გონივრული ჩარევა“ – მხოლოდ მეოცე საუკუნის წყალობაა – თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ და ქართული ენათმეცნიერების მკვიდრ ბალავერზე დაფუძნებამ განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების სწორ გზაზე დაყენება.

თუმცა ვერ ვიტყვით, რომ წინა პერიოდის ქართულისთვის უცხო იყო შეგნებული დამოკიდებულება სალიტერატურო ენის ნორმირებისადმი.

გიორგი მთაწმიდელის (XI ს.) მოღვაწეობას გავიხსენებთ. დიდი მწიგნობარი კარგად იცნობს ოთხთავის ტექსტის ისტორიას, წინამორბედ თარგმანებს (ძველსა თუ ექვთიმე მთაწმიდლისეულს), აკეთებს ახალ რედაქციას და პრინციპულ შენიშვნასაც იძლევა: „ესე საცნაურ იყავნ, რამეთუ ესე წმიდად ოთხთავი ახლით გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთადთა და ბერძნულითა იძულებითა ძმათა ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, **ვითა აჟა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ**, თუ ამისგან ჯერგიჩნდეს დაწერად, ღმრთისათვს, **სიტუათა ნუ სცვალებთ**, არამედ **ვითარცა აჟა სწერია, ეგრე დაწერეთ**, და თუ არა რადმე გაშუენდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილთა და კეთილ-ხანმეტიცა და საბაწმიდურიცა, – მუნით დაწერეთ და, ღმრთისათვს, ერთმანეთისა ნუ განჰრევთ, და გლახაკსა გეორგისათვს, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცვა-ყავთ!“ (იმნაიშვილი, 1979, 154).

ცხადია „**ვითა აჟა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ**“ და „**სიტყვათა ნუ სცვალებთ**“ მიემართება როგორც თარგმანის შინაარსობრივ მხარეს, ისე მის ენობრივ მხარეს. ენობრივი „ნორმირების“ დაცვას რომ მოითხოვს მწიგნობართაგან, ეს სხვა მინაწერშიც დასტურდება.

ერთგან გიორგი მთაწმიდელი უფრო დაწვრილებით (დაკონკრეტებით) განმარტავს, თუ რას შეეხება მისი თხოვნა – არაფერი შეცვალოთ: „ნუცა **დონ-ანსა** დაავალებთ, ნუცა **რამეთუსა**, ვინაჲ **დონ-ანი** ჩუენცა ვიცოდეთ, და თუმცა რას ავნებდა გინა იგი, გინა სხუად, რადცა სიტყუად, არა დაუტებდით, არცა აღმოვეკოცდით“ (იმნაიშვილი, 1979).

ნორმათა დაცვა, სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმათა განსხვავების მოთხოვნა – ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ მწიგნობართათვის. ერთგან იოანე და ეფთჳმე ათონელების

ცხოვრების აღმწერი გიორგი ხუცეს-მონაზონი საგანგებოდ მიანიშნებს: „ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა **მსოფლიო სიტყუა** არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე **საღმრთო სულიერი**“ (ზ. სარჯველაძე, 1984). „**მსოფლიო სიტყუა**“ ზეპირმეტყველების (= დიალექტის) ფაქტს გულისხმობს, „**საღმრთო და სულიერი**“ – სალიტერატუროს (ამ შემთხვევაში ტერმინებსაც მივაქციოთ ყურადღება... სალიტერატურო ენის სინონიმად „**საღმრთო ენას**“ იაკობ გოგებაშვილიც გამოიყენებს მოგვიანებით) . ზოგჯერ თავად მწიგნობარი მოიბოდიშებს და განმარტავს, რა გახდა მიზეზი „ნორმიდან გადახვევისა“; „ანდრია სალოსის ცხოვრების“ მინაწერში იკითხება: „ღმერთიან უწყის, რაღაც ჩემისა უმეცრებისგან ეგებოდა, კარგად ქმნასა და სიმართლესა დია მოვიჭირვე, მაგრა **დედაი ოდიშს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა**“ (ზ. სარჯველაძე, 1975, 11). გადამწერი ენობრივ შეცდომებს ამჩნევს და დედნის ოდიშურობას აბრალებს...

ისე კი მკვლევარნი საგანგებოდ მიუთითებენ, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა „ნორმირების მტკიცე სისტემას იცავს“; წერენ: „უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ სპეციალურად ვეძებთ დარღვევებს, გადახვევებს ძირითადი ნორმიდან და ხშირად კიდევ ვპოულობთ, მაგრამ არც ერთი ძეგლის არც ერთი გვერდი (წინადადებაც კი!) არასდროს არ შეგვხვედრია ისე, რომ მთლიანად ამ დარღვევებს შეიცავდეს. ნორმები აშკარად ჩანს, ადვილად დასადგენია, ილუსტრირებულია დიდძალი მასალით, დარღვევები კი – საძიებელი. ხშირად მთელი გვერდების, ზოგჯერ წიგნის გადაკითხვაა საჭირო, რომ რაიმე ხელმოსაჭიდი შეგხვდეს. ამდენად, თეხა ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი საფეხურის ნორმირების შესახებ სრულიად უდავოა. ცხადია ისიც, რომ ძველ წერილობით ძეგლებში ამ ნორმათა დარღვევებიც საკმაოდ გვხვდება“ (სარჯველაძე, 1975, 8). ცხადია, თანაფარდობა ნორმატიული და არანორმატიული ძველ ქართულში აშკარად ნორმატიულის სასარგებლოდაა.

ძველი ქართული ენის ნორმათა სისტემა ერთიანია, მომდევნო პერიოდისა – არა. საფუძველი ამ ნორმათა ერთიანობისა არის ის, რომ V-XI საუკუნეების საქართველოში მწიგნობართათვის სალიტერატურო ენის ნორმა არის „ბიბლიის“ ენა, უფრო სწორად „წმინდა ოთხთავის“ ენა; ყოველგვარი გადახვევა სახარების ქართული თარგმანის ენიდან მკრეხელობად მიაჩნდათ. XII საუკუნიდან მოყოლე-

ბული თანაფარდობა ნორმატიულ და არანორმატიულ ვარიანტთა შორის იზრდება არანორმატიულის სასარგებლოდ. ეს ფაქტი მწიგნობართა შეშფოთებას იწვევს. ჯერ კიდევ რუსთაველი აფრთხილებს მწერალს: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“... და მომზადდა პირველი ენობრივი რეფორმა – „რუსთველური რეფორმა“, რომელმაც ფართო მასშტაბები შეიძინა; ვიტყვით იმასაც, რომ რუსთველური რეფორმის წყალობით სალიტერატურო ენა დაეფუძნა საერთო-სახალხო ენას (ჩიქოვაძე, 2011; გოგოლაშვილი, 2015); მაგრამ მოგვიანებით ვედარ აკონტროლებდნენ მწიგნობრები „არალიტერატურული“ ფორმების მოძალეხას. არჩილი დაინანებს: „ეს ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“...

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონს ადგენს და განმარტავს, რა არის ქართული და რა – არაქართული...

მერე XVIII საუკუნე; ანტონი და მისი რეფორმა (ამის თაობაზე უფრო ვრცლად იხ.; გოგოლაშვილი, 2015)... აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ანტონი თავის გრამატიკაში მიანიშნებს სალიტერატურო ენის ნორმათა ჩამოყალიბებისა და დაცვის აუცილებლობაზე: „**არა რა მოყვარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლუნობისა ანუ წესიერ წერისა**“ (ანტონი, 1997). მისი გრამატიკაც ამ მიზანს ემსახურება – დაადგინოს ნორმები: ანტონის გრამატიკა ნორმატიული გრამატიკაა იმ დროისათვის (ანტონისეული ვარიანტი ნორმებისა)...

სალიტერატურო ენის ნორმათა არსებობა, მისი ჩამოყალიბება და დაცვა უპირველეს მოთხოვნილებად იქცა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთათვის. მისი თეორიული თუ პრაქტიკული მემკვიდრეობა ამ თვალსაზრისით მყარ საფუძველს ქმნის XX საუკუნისთვის.

XX საუკუნის დასაწყისიდანვე (უფრო ზუსტად თბილისის უნივერსიტეტის შექმნის დღიდან) გეგმაზომიერ და გააზრებულ ხასიათს იღებს ის, რაც ადრე შეიძლება ხშირ შემთხვევაში სტიქიურ ხასიათს ატარებდა. აქ იმასაც ენიჭება არსებითი მნიშვნელობა, რომ ქართული კონსტიტუციურად სახელმწიფო ენად იქნა აღიარებული და მასზე ზრუნვისა და დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო. ყალიბდება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შესწავლისა და სწავლების სწორი პოლიტიკა; ყალიბდება ის პრინცი-

პები, რომლებიც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას დაედო საფუძვლად.

კვლავ ბ. ჯორბენაძეს მოვიშველიებთ:

„თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას პრინციპად უდევს:

ა) სალიტერატურო ენის ნორმირების დადგენისას მაქსიმალურად გამოყენებულია დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, იკრძალება ხელოვნური ნორმები – დაშორებული ცოცხალი ენისაგან;

ბ) უცვლელად რჩება ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსუტი მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება“ (ჯორბენაძე, 1989, 167).

ეს მთავარი პრინციპების თაობაზე. პარალელური ფორმათაგან რას ეძლევა უპირატესობა და რატომ?:

„პარალელური, მოცილე ფორმების არსებობისას სალიტერატურო ენაში მკვიდრდება ის ფორმა, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით; ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ აღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;

გ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო მარტივია“ (ბ. ჯორბენაძე, იქვე).

ის, რაც ვთქვით, შეეხებოდა ძირითადად გრამატიკულ ფორმებს. ასევე განისაზღვრება ორთოგრაფიული ვარიანტებიც: **ორთოგრაფიული** თვალსაზრისით სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. მოცილე ფორმების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ფორმას, რომელიც:

ა) „უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით“ (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 1-8). ცხადია, ნორმათა თვალსაზრისით პრობლემებს ქმნის ლექსიკაც. ლექსიკური ფონდის გამდიდრება-გადახალისება ნორმალურიზაციის თანამდევია პროცესია. ოთხ ძირითად პრინციპს

გამოყოფენ სწორედ ლექსიკური ფონდის გადახალისება-გამდიდრებისას:

ა) „ძველი ქართული ტერმინების გაცოცხლება;

ბ) სიტყვაწარმოებითი ინვენტარის მაქსიმალური გამოყენება;

გ) ახალ ცნებათა შესაბამისი ფორმოზრივი ეკვივალენტების დაძებნა ცოცხალ კილოებში;

დ) ინტერნაციონალური ლექსიკის სესხება და უცხო ენათა ფორმების ქართულის შესაბამისად კალკირება“ (ჯორბენაძე, 1989, 187).

თანამედროვე საქართველოში ნორმადარი სახელმწიფოა; ასე იყო XX საუკუნეში. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია“ აწესრიგებდა ამ საქმეს. ამ კომისიის პრესტიჟის და ძალის წარმოსადგენად ისიც კი კმარა, რომ მისი არსებობის მანძილზე კომუნისტურ ეპოქაში მას ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ამზადებდა ნორმათა პროექტებს (ამისთვის 1985 წელს სპეციალური განყოფილებაც შეიქმნა – მეტყველების კულტურის განყოფილება) (ლეჟავა, 2004)...

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შეაფერხა ეს საქმე – 1991-იდან 1995 წლამდე კომისიამ შეწყვიტა არსებობა. 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ნორმათა შემუშავება და დადგენა იყო. 1997 წელს კომისიას ენის სახელმწიფო პალატა შეეშველა; 2004 წელს კომისიამაც და ენის სახელმწიფო პალატამაც საქმიანობა შეწყვიტა...

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სპეციალური დეპარტამენტის შექმნას; 2017 წელს შეიქმნა ეს დეპარტამენტი – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელმაც უნდა გააგრძელოს თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მქონე ტრადიცია...

დადგენილ ნორმათა დაცვის ვალდებულება აქვს ყველას, ამ ენაზე მოსაუბრე და მოღვაწე კერძო პირსა თუ იურიდიულ დაწესებულებას; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვალდებულება დღესდღეობით მხოლოდ მორალური ხასიათისაა – იურიდიულ პასუხისმგებლობას არ გულისხმობს... არადა, მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა, სამწუხაროდ, მოსაგვარებელ საქმეს ვერ მოაგვარებს...

ლიტერატურა

ანტონი, 1997 – ანტონ ბაგრატიონი, ქართული დრამმატიკა, თბ., 1997.

გიგინეიშვილი, 1961 – გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, 1, 1961.

გიგინეიშვილი, 1964 – გიგინეიშვილი ივ., ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა, საქართვე. სსრ მეცნ. აკად. ენათმ. ინსტ. და ქუთაისის პედ. ინსტ. ქართ. ენის კათედრის გაერთ. სამეცნ. სესია, თეზ., ქუთაისი, 1964 წ. 14-15 მაისი.

გოგოლაშვილი, 2015 – გოგოლაშვილი გ., საცნობლად თავისადავ, თბ., 2015.

გოგოლაშვილი, 2013 – გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა, ნარკვევები, თბ., 2013.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ. 1971.

იმნაიშვილი, 1979 – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979.

კლდიაშვილი, 1981 – კლდიაშვილი დ., თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981.

ლეჟავა, 2004 – ლეჟავა ლ., ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, თბ., 2004.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.

სარჯველაძე, 1981 – სარჯველაძე ზ., XI-XII საუკუნეთა ქართველი მწერლები „წიგნურისა“ (სალიტერატუროსა) და „სოფლურის“ (დიალექტურის) ურთიერთმიმართების შესახებ: III რესპ. დიალექტოლ. სამეცნ. სესია, (თელავი, 27-29 X. 1981), თეზ., თბ., 1981.

სარჯველაძე, 1975 – სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

სარჯველაძე, 1984 – სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

შანიძე, 1973 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია (მეორე გამოცემა): (ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები.15) (თხზულებანი, III), თბ., 1973.

ჩიქობავა 1979 – ჩიქობავა არნ., სალიტერატურო ენა და ნორმა, ქსკს, II, თბ., 1979.

ჩიქობავა 1936 – ჩიქობავა არნ., სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენის ძირითადი პრინციპები, სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, 1936.

ჩიქობავა, 2015 – ჩიქობავა არნ., შრომები, ტ. V, 2011.

ცოცანიძე – ცოცანიძე გ. თუშური ქრონიკები, თბ., 2004.

წელიწდეული, 1923-24 – ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, ტფ., 1923-1924.

ჭინჭარაული, 1961 – ჭინჭარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი, თბ. 1961.

ჯორბენაძე, 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989.

GIORGI GOGOLASHVILI

A Literary Language Norm and A Dialectal Norm

Summary

The types of norm in a language can be as follows: a literary language norm and a dialectal one. The difference between them is principal: a literary language norm is one of the existing variants in a language which is recognized basic and universally acceptable. A literary language norm is created by the norm authority and then the state makes it obligatory. A literary language norm is more or less artificial (since the variants are established as a result of the interference of the norm authorities).

Unlike a literary norm, a dialectal norm is a natural variety; it is a behaviour typical of a dialect. It is neither obligatory nor universal. A dialect speaker who thoroughly knows dialectal norms is very rare. Because of the wide-spread nature of dialects, it is difficult to speak about a uniformity of dialectal norm.

ირინე ღემბტრაჰი

სიტკბოს ცნება ინგლისურ და ქართულ
სამეტყველო ეტიკეტში

ცნობილია, რომ სიტკბოს ცნებას ადამიანი ოდითგანვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს ცნება არა მარტო ხუთიდან ერთ-ერთ გრძნობის ორგანოს – გემოვნებას უკავშირდება, არამედ სხვა გრძნობის ორგანოებსაც. ინგლისური სიტყვა *sweet* ოქსფორდის ლექსიკონის მიერ განმარტებულია, როგორც 1. ბევრი შაქრის შემცველი 2. სასიამოვნო სუნის მქონე 3. სასიამოვნო ხმის მქონე (Oxford English Dictionary, 1989). ქართული სიტყვა „ტკბილიც“ არა-ერთ გრძნობის ორგანოს უკავშირდება, მაგ. „ტკბილი გემო“, „ტკბილი ხმა“ „ტკბილი სურნელი“. ორივე საკვლევ ენაში სიტყვა „ტკბილი“ ასევე გაცილებით ფართო, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი სიტყვის *sweet* შემდეგ განმარტებას იძლევა: „pleasing to the senses, mind or feelings; having a pleasant disposition“ (შეგრძნებების, გონების და გრძნობისთვის სასიამოვნო, სასიამოვნო განწყობის შემქმნელი) (*Concise Etymological Dictionary of the English Language*. 1963). მნიშვნელობით „მყუდრო, კომფორტული, მშობლიური“ ეს სიტყვა გამოიყენება ცნობილ ინგლისურ გამოთქმაში „home, sweet home“. სიტყვა „ტკბილი“ ფართო სემანტიკისაა არა მარტო ინგლისურში, არამედ ქართულშიც. ალ. ნეიმანის ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „ტკბილის“ სინონიმები შემდეგია: ალერსიანი, საამო, ამო, საამური, მტკბარი, ნეტარი, დამატკბობელი (ნეიმანი, 1978). „ტკბილი“ ასევე უკავშირდება სასიამოვნო ურთიერთობას, რასაც მოწმობს ქართული შედგენილი სიტყვა „სიამტკბილობა“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ სიტყვა „ტკბილი“ ორივე საკვლევ ენასა და კულტურაში ფართოდ გამოიყენება და სამეტყველო ეტიკეტის განუყოფელი ნაწილია.

მოცემული სტატიის მიზანი იყო სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების რეალიზაციის შესწავლა ინგლისურ და ქართულ მიმართვის ფორმებსა და ფაქტიურ კომუნიკაციაში.

სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული სიტყვები ხშირად გვხვდება ინგლისურ და ქართულ მიმართვის ფორმებში, განსაკუთრებით, ახლობელ ადამიანებთან არაოფიციალური ურთიერთობისას, თუმცა, ქართულ ყოფაში შესაძლოა შეგვხვდეს ოფიციალურ მიმართვაშიც, მაგ., „ჩემო ტკბილო ხალხო“.

ასევე მახსენდება იუმორისტული მიმართვა „ჩემო ტკბილო და მურაბა ადამიანო“, რომელიც წინა საუკუნის 90-იან წლებში ძალიან პოპულარული გახდა „რადიო 105“-ის საშუალებით (ნიკა ქავთარაძე, რადიო 105).

ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით, ბავშვებს ხშირად მივმართავთ სიტყვებით: „ჩემო სიტკბო“, ასევე მოხუცებს ხშირად მივმართავთ – „ჩემო ტკბილო ბებო“.

წინათ ქართულ ყოფაში ხშირი იყო მიჯნურისადმი მიმართვა სიტყვებით: „სულზე უტკბესო“.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ტკბილი“, როგორც მიმართვის ფორმა, ხშირად გამოიყენება ლოცვებშიც, როდესაც უფალს მივმართავთ, მაგ., „იესო ტკბილო, ბრწყინვალეა გონებისა მოგუმადლე“; „იესო ტკბილო, განანათლენ გულნიცა ჩუენნი ღუთაებისა შენისა გამობრწყინვებით“¹.

სიტკბოს ცნებას ინგლისურ ენაშიც არაერთი მიმართვის ფორმა უკავშირდება. მაგალითად:

Sweetie ან sweet pea (ასე მიმართავენ ბავშვებს ან ახალგაზრდა გოგონებს), sweetheart ან sweetie pie (იხმარება მიჯნურთან მიმართებით).

სიტკბოს ცნებას ბუნებრივად უკავშირდება თავლი და შაქარი. შესაბამისად, სიტყვები honey და sugar ასევე ხშირად გამოიყენება, როგორც სიყვარულის გამომხატველი, საალერსო მიმართვის ფორმები, მაგ. „can you pass me my phone, honey?“. რაც შეეხება სიტყვას Sugar, ის გამოიყენება უცხო ადამიანებთან ურთიერთობაშიც, განსაკუთრებით, თუ ამ ადამიანებს თხოვნით მიმართავენ. გარდა ამ

¹ პარაკლისი სავედრებელი უფლისა ჩუენისა იესო ტკბილისა, ღუთიგ-ბრწყინვალეთა დღესასწაულთა მისთათვის და კვირიაკეთა. გალობა 1. სძლის-პირი.

ორი სიტყვისა, მიმართვის ფორმებში, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანებთან საუბარში, ხშირია სხვადასხვა ტკბილეულის აღმნიშვნელი სიტყვები: *muffin, cupcake, baby cake, sugar plum* და მრავალი სხვა. როგორც ლინგვისტურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მოცემული საალერსო მიმართვის ფორმები ძალზე ხშირად გამოიყენება და მათი საერთო აღმნიშვნელი ტერმინიც კი არსებობს – *foodsemy*, ანუ საკვებთან დაკავშირებული სემანტიკური ერთეულები (გრზაშკო, 2015: 105).

უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილი საალერსო მიმართვის ფორმების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ არაოფიციალურ რეგისტრში, ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გამოყენება თანამოსაუბრეს გააღიზიანებს. ზემომოყვანილი მიმართვის ფორმები, რომლებიც სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებულ სიტყვებს ემყარება, ე. წ. „დადებითი თავაზიანობის“ ნიშნებია, რადგან „დადებითი თავაზიანობის“ ერთ-ერთ სტრატეგიად სწორედ ქათინაურებისა და საალერსო სახელების გამოყენებაა მიჩნეული (ბრაუნი და ლევისონი, 1987: 101).

ამდენად, ზემომოყვანილი მიმართვის ფორმები მოწმობს, რომ ორივე საკვლევ ენაში სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების რეალიზაცია ხშირია და ეფექტური.

სიტკბოსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად გამოიყენება ფატიკურ კომუნიკაციაში, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ყოფაში. ტერმინი „ფატიკური“ პირველად გამოიყენა ბრონისლავ მალინოვსკიმ 1936 წელს. მან აღნიშნა, რომ ფატიკური კომუნიკაცია ნიშნავდა „თავისუფალ სოციალურ ურთიერთობას განსაკუთრებული მიზნის გარეშე, მაგ., ადამიანის მოკითხვა ან ამინდის შესახებ საუბარი, მისალმების ფორმულები და სხვა (მალინოვსკი, 1936: 313). ამდენად, ფატიკური კომუნიკაცია არის სამეტყველო ეტიკეტის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ემსახურება არა ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემას, არამედ თანამოსაუბრისადმი კეთილგანწყობის გამოხატვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები გამოიყენება ფატიკურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ არაერთ სიტუაციაში. საგულისხმოა, რომ თვით ტერმინის „ფატიკური კომუნიკაცია“ ინგლისური სინონიმი არის *sweet nothings*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტკბილად საუბარი, თუნდაც არანაირი საყურადღებო ინფორმაციის შემცველი, ყოველ-

თვის ემსახურება თანამოსაუბრის კეთილგანწყობის მოპოვებას. ამასვე მოწმობს რუსთაველის ცნობილი აფორიზმი: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიცავს სიტყვებს „ტკბილი“/“sweet“ გვხვდება სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებულ შემდეგ სიტუაციებში:

დალოცვის ფორმულები:

ორივე საკვლევ ენაში ხშირია სიტკბოსთან დაკავშირებული დალოცვის ფორმულები. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია შემდეგი დალოცვა ძილის წინ: *ტკბილი ძილი, ტკბილი სიზმრები, Sweet dreams*.

სიტკბოსთან დაკავშირებული დალოცვა ასევე გავრცელებულია ქართულ საახალწლო რიტუალში, როდესაც ახლობელ ადამიანებს ვაწვდით გოზინაყს ან სხვა ტკბილეულს და ვამბობთ: „ასე ტკბილად დამიბერდი“. ასეთი დალოცვა სრულიად ბუნებრივია, რადგან თვითონ ახალი წლის დღესასწაული წარმოუდგენელია ტკბილეულის გარეშე. ინგლისურ ენაზე არსებობს საშობაო მილოცვა „Have a Sweet Christmas“, თუმცა გაცილებით ხშირია ტრადიციული “Merry Christmas”.

სიტკბოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი დალოცვა უკავშირდება ხველას. როდესაც ადამიანს ხველის სპაზმური შეტევა ემართება ან ლუკმა გადასცდება, მას ეუბნებიან „შაქარი“, რითაც უსურვებენ, რომ გადაცდენილი ლუკმა ტკბილად შეერგოს.

სადღეგრძელო

სიტკბოს ცნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართულ სადღეგრძელოებში. მაგალითად, თუ სადღეგრძელოს არყით წარმოთქვამენ, ამბობენ: „ეს მწარეა და ტკბილად შეგვეერგოს“. ასევე პოპულარული სადღეგრძელოა: „სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვცეს“. ნეფე-პატარძალს ხშირად ადღეგრძელებენ ფრაზით: „ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს“. გარდა ამისა, ძალიან პოპულარული სადღეგრძელოა: „ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს“. რაც შეეხება ინგლისურ სადღეგრძელოებს, როგორც ემპირიული მასალის შესწავლამ აჩვენა, აქ ძირითადად გამოიხატება ჯანმრთელობის, ბედნიერებისა და მხიარულების სურვილები. სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული სადღეგრძელოები ძალზე იშვიათია.

ქათინაურები

სიტყვა „ტკბილის“ შემცველი ქათინაურები მრავლად გვხვდება ინგლისურ ენაში. სიტყვა „ტკბილი“ გამოიყენება ბავშვების შექებისას, მაგ., „What a sweet child!“, „Ain't She Sweet?!“, ასევე ღიმილთან მიმართებით: „You have a sweet smile“, ან, ზოგადად, ადამიანის შექებისას არაოფიციალურ საუბარში: „You're so sweet“. კიდევ ერთი გავრცელებული ქათინაური, რომელიც ქალბატონებთან მიმართებით იხმარება, არის „sugar and spice“, ეს კომპლიმენტი გულისხმობს ადამიანის დადებით თვისებებს, კეთილშობილებასა და სათნოებას, მაგ., *Her daughter is sugar and spice*.

„ტკბილი“ და მისი სინონიმები გამოიყენება ვინმეს შექებისას ქართულ ყოფაშიც, განსაკუთრებით თუ ხაზს უსვამენ პიროვნების მშვიდ, კეთილგანწყობილ ბუნებას: „ძალიან ტკბილი ადამიანია, ნამდვილი თაფლი და შაქარი“.

სიტკბოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი ქათინაური, რომელიც ინგლისურ ენაში გამოიყენება, უკავშირდება იმ ადამიანის შექებას, რომელსაც აქვს ლაკონიურად საუბრის უნარი. ასეთი გამოწონაქვამია: „short but sweet“, რომელიც აღნიშნავს, რომ რომელიმე ადამიანის საჯარო გამოსვლა, მოხსენება და ა.შ. იყო მოკლე, მაგრამ მრავლისმომცველი და სასიამოვნო მოსასმენი.

მადლიერების გამოხატვა

ინგლისურ სამეტყველო ეტიკეტში სიტყვა sweet ძალზე ხშირად უკავშირდება მადლიერების გამოხატვას ვინმეს მიერ გაწეული სიკეთის, დახმარების ან საჩუქრის გამო. ასეთი ფრაზებია: „How sweet of you!“, „That's so sweet of you.“ ქართულ სამეტყველო ეტიკეტში, მადლიერების გამომხატველი ფორმულები სიტკბოს ცნებას არ უკავშირდება.

თანაგრძნობა, ნუგეში, გამხნეება

სიტკბოს ცნებას ორივე საკვლევ ენაში უკავშირდება ნუგეშისა და გამხნეების გამომხატველი ანდაზები და გამოწონაქვამები. ახალგაზრდებს, რომლებსაც რაღაც პრობლემა შეექმნათ, ხშირად ვანუგეშებთ: „ეს ამბავი ახლა გადარდება, მაგრამ გავა დრო და ტკბილად გაგახსენდება“. მოსწავლეებს, რომელთაც რაღაცის შესწავლა უჭირთ,

ვანუგეშებთ გურამიშვილის აფორიზმით: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“.

ინგლისური სანუგეშო ანდაზა „We should take the bitter with the sweet“ გამოიყენება იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც რაღაც უსიამოვნება შეემთხვა, და ნიშნავს, რომ ცხოვრება შედეგა როგორც სასიამოვნო, ასევე უსიამოვნო მოვლენებისგან, და ეს უკანასკნელი მშვიდად უნდა გადავიტანოთ.

ამრიგად, როგორც კვლევამ აჩვენა, სიტკბოს ცნება ფართოდაა წარმოჩენილი ინგლისურ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. სიტყვა „ტკბილის“ და მისი სინონიმების შემცველი გამონათქვამები ხშირია მიმართვის ფორმებსა და ფატიკურ კომუნიკაციაში. რაც შეეხება განხვავებებს მოცემულ ორ საკვლევ ენას შორის, ინგლისურ სამეტყველო ეტიკეტში სიტყვა „ტკბილი“ უფრო ხშირად გამოიყენება ქათინაურებსა და მაღლიერების გამომხატველ ფორმულებში, ხოლო რაც შეეხება ქართულ სამეტყველო ეტიკეტს, აქ სიტკბოს ცნებასთან დაკავშირებული ენობრივი ერთეულები უფრო ფართოდაა ასახული დალოცვის ფორმულებსა და სადღეგრძელოებში.

ლიტერატურა

ბრაუნი და ლევისონი, 1987 – Brown, P., & Levinson, S. C. *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge: Cambridge University Press. 1987.

გრზაშკო, 2015 – Grzaśko A. *On the Semantic History of Selected Terms of Endearment*. *Linguistics Beyond and Within* 1 (2015), pp. 104-118.

ნეიმანი, 1978 – ნეიმანია, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა. თბ., განათლება. 1978.

მალინოვსკი, 1936 – Malinowski B. *The Problem of Meaning in Primitive Languages*. Ogden and Richards, 1936.

Oxford English Dictionary, 1989 – Oxford English Dictionary, in 20 volumes, Oxford University Press, 1989.

Oxford Dictionary of English Proverbs, 1957 – Oxford Dictionary of English Proverbs Oxford. Clarendon Press. 1957.

Cambridge International Dictionary of English, 1996 – Cambridge International Dictionary of English, Cambridge University Press. 1996.

Concise Etymological Dictionary of the English Language by
Walter W. Skeat. Penguin Publishing Group. 1963.

IRINE DEMETRADZE

The Concept of Sweetness in English and Georgian Speech Etiquette

Summary

The paper is an attempt to analyze the words and phrases that are based on the concept of sweetness and frequently used in English and Georgian speech etiquette. The research of the empirical data has proved that the word “sweet” and its synonyms play an important role in the English and Georgian languages and cultures. The words and phrases expressing sweetness are frequently used in the forms of address (mostly in informal register), thus forming part of “positive politeness”. The word “sweet” is also widespread in the following types of phatic expressions: words of gratitude, blessings, toasts, compliments and encouragement. These phatic expressions are found in both languages under analysis. However, the research has proved that in the English language most phatic expressions with the word “sweet” are related to compliments and gratitude, whereas in the Georgian speech etiquette the concept of sweetness is mostly related to toasts and blessing formulae.

ციცინო კვანთალიანი, რუსუდან ლანდია

**ზმნური ფუძეები და თემის ნიშანთა მონაცვლეობა
დიალექტებში დიალექტური კორპუსის მიხედვით**

დიალექტური კორპუსი შესაძლებლობას იძლევა ფორმოზ-რივ-სტრუქტურული თუ სემანტიკური თვალსაზრისით ესა თუ ის პრობლემა, ნებისმიერი საკითხი გამოწველივით შევისწავლოთ დიალექტების მიხედვით.

ქართული ენის ზმნური ფუძეებისა და ქართული ენის სახელ-ზმნური ფუძეების ლექსიკონების შედგენის პროცესში ივარაუდებოდა მუშობის გაგრძელება დიალექტურ მასალაზე და ასევე დიალექტური ლექსიკონების შედგენა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი სამუშაო იქნებოდა. ქართულ დიალექტურ კორპუსზე (ქდკ) დაყრდნობით დღეს უკვე შესაძლებელია ამ ამოცანის რეალიზება. დიალექტური კორპუსი კვლევის გაფართოების საშუალებას იძლევა, რითაც შესაძლებელი გახდება დიალექტებში ზმნური და სახელზმნური ფუძეების შესწავლა არა მარტო ფორმოზ-რივ-სტრუქტურული, არამედ სემანტიკური თვალსაზრისითაც. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ ზმნურ ფუძეებს და წარმოვადგენთ მათი შემდგომი კვლევის მოსამზადებელ სამუშაოებს.

ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონის ხუთგრაფიანი სქემიდან (I. სალექსიკონო ერთეული, ზმნური ფუძე; II. აწმყო-მყოფადის ფუძე (სალექსიკონო ერთეული + თემის ნიშანი); III. ზმნისწინები; IV. ვნებითის ტიპი (პრეფიქსიანი, სუფიქსიანი თუ უნიშნო); V. ხმოვანპრეფიქსები), რომელიც ზმნის ფორმაწარმოების შესაძლებლობებს უკეთ წარმოაჩენს, ამჯერად მხოლოდ 3 გრაფაზე შევჩერდებით: 1). ზმნური ფუძე, 2). აწმყო-მყოფადის ფუძე (სალექსიკონო ერთეული + თემის ნიშნი), 3). ზმნურ ფუძესთან დაკავშირებული ზმნისწინები.

დიალექტური ზმნური ფორმები ძირითადად მიჰყვება და იმეორებს სალიტერატურო ქართული ენის ზმნურ ფორმაწარმოებას,

თუმცა ფორმაწარმოების საშუალებების შერჩევისა და ურთიერთშეხამების ვარიაციულობა ქმნის მნიშვნელოვან დიალექტურ სხვაობას.

ზმნური ფორმაწარმოების მიხედვით დიალექტური ვარიაციულობის რამდენიმე შემთხვევა გამოიყოფა:

1). დიალექტებში სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება არც ზმნური ფუძე და არც ზმნის ყალიბი. განსხვავებას ქმნის თემის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტები.

ყალიბი ასეთია: **V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი**

ა-გინ-ებ აგინებს, შამააგინებს

ა-გინ-ეფ აგინეფს, მაგინეფს

ა-გინ-ავ დააგინავს, გააგინავს, გვაგინავდე (= შეაგინებს)

ა-გინ-ამ აგინამს

ა-გინ-ებ-ს

„ვერაფერს ვერ ნახავს, ხომ **შამააგინებს** ერთი მაგრათო“ (ზ. აჭარ.).

ა-გინ-ეფ-ს

„თავი პირით **აგინეფს**, შენ ხო არ შეჭამე ჩემი ცხვარიო“ (ქართლ.).

„ჩვენებურაი დეველაპარაკებია, იმა გონია **მაგინეფს**“ (შავშ. იმერ. ხეურ.).

ა-გინ-ავ-ს

„მერემერე **გვაგინავდენ** დედას, ეტყვის: აჰფრინდეო“ (ფერეიდნ.).

„დედე-ბაბემაც **გააგინა** (შავშ. იმერ. ხეურ.). მამა ეტყვის, **დააგინავს**: დაგმარხო, წახვიდე...“ (ფერეიდნ.).

ა-გინ-ამ-ს

„-ეე, მაგას რო არ მოვახრევიწე თითი, ეხლა რო ბავშვებს **აგინამსო**“ (სამცხ.-ჯავახ.).

ფაქტობრივად, ამ ფუძესთან მონაცვლეობს **-ებ (-ეფ), -ავ, -ამ** თემის ნიშნები. სალიტერატურო ქართულში ამ ფუძესთან მხოლოდ **ა - ებ** ყალიბია დადასტურებული, **ა – ავ, ა – ამ** ყალიბები მხოლოდ დიალექტებში იწარმოება. **-ებ** თემის ნიშნის გარდა, დიალექტებში გავრცელებულია **-ავ, -ამ** მაწარმოებლებიც.

ზოგჯერ მხოლოდ ერთი თემის ნიშნის სხვადასხვა ვარიანტია დიალექტში წარმოდგენილი. მაგალითად, **ღ** ზმნურ ფუძესთან დასტურდება **-ებ** თემის ნიშანი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით.

ყალიბი: V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი (ზმნისწინით და უზმნისწინოდ):

ი-ღ-ებ	აიღებდეს, აიღებდენ
ი-ღ-ეფ	გადაიღეფ, წაიღეფ
ი-ღ-ენ	აიღენს, გადიღენდა, წაიღენს
ი-ღ-ემ	აიღემს, გადაიღემს, წაიღემს

მოვიყვანთ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული წარმოების რამდენიმე მაგალითს:

ი-ღ-ენ-ს

„ამ ჯოხს **აიღენს**“ (ჯავახ.).

„სეტყვას **გადაიღენდა**“ (ჯავახ.).

ი-ღ-ემ-ს

„**აიღემს** დედაჩემი და მოგვცემს“ (კახ.).

ამ ზმნურ ფუძესთან სალიტერატურო ქართულში მხოლოდ **-ებ** თემის ნიშანი გამოიყენება, **-ეფ, -ენ, -ემ** დიალექტური ვარიანტებია.

საინტერესოა **ქარგ** ზმნური ფუძის წარმოება. უფრო გავრცელებულია ყალიბი ზმნური ფუძე – თემის ნიშანი, გამოიყენება ყალიბიც V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი.

ქარგ-ავ

ქარგ-ამ

ქარგ-ემ

ქარგ-ეფ

ქარგ-ებ

ქარგ-ავ-ს, ი-ქარგ-ავ-ს

„ხელში საქარგავ მიჭერავა დ თან **ვბქარგავ**“ (თუშ.).

„თუ ისე შევკერამდით, იმას **დავქარგადით**“ (ლექხ.).

ქარგ-ამ-ს

„მაფით **ვქარგამდით**“ (ქართლ.).

„**ვქარგამდით** თავსაკრავებსა“ (ქართლ.).

ქარგ-ემ-ს

„**ვქარგემდი** ცოტ-ცოტას“ (ზ.იმერ.).

ქარგ-ეფ-ს

„ხელში საქარგავ ეჭირაო დ **ბქარგეფდავ**“ (თუშ.).

ამ ზმნურ ფუძესთან იშვიათია **-ებ** თემის ნიშნის დართვა. მთარაჭულში დასტურდება **დავქარგებდით** ფორმა:

„ვეხზე ზეით საწუე გვეცვა, ან მოქსოვილი, ან ფართლის და დავექარგებდით საწუეს“ (მთარაჭ.).

დავექარგებდით ფაქტობრივად **დავექარგავდით** ნიშნავს.

ამ ჯგუფში უნდა განვიხილოთ **კეთ** ზმნური ფუძეც. ვფიქრობთ, საინტერესო წარმოება აქვს. სალიტერატურო ქართულში **კეთ** ზმნურ ფუძესთან დასტურდება მხოლოდ **-ებ** თემის ნიშანი. ყალიბია V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი, მაგრამ დიალექტებში განსხვავებული წარმოებაა. რა თქმა უნდა, დასტურდება **-ებ** თემის ნიშანიც, მაგრამ გვაქვს **-ემ, -ეფ, -ავ, -ამ** მაწარმოებლებიც. **-ემ, -ეფ -ებ** თემის ნიშნის ფონეტიკური ნაირსახეობებია, მაგრამ უჩვეულო და მოულოდნელია ამ ზმნურ ფუძესთან **-ავ, -ამ** თემის ნიშნების გამოყენება. ე.ი. გვაქვს **აკეთ-ებ-ს, აკეთ-ეფ-ს, აკეთ-ემ-ს, აკეთ-ავ-ს, აკეთ-ამ-ს** ფორმები.

აკეთ-ებ-ს, გა-აკეთ-ებ-ს

„დედას გუუკეთებია და ეს ვერ **გაკეთებს**“ (შავშ.მერხ.).

„ბოსტანს ოჯახის ქალი **აკეთებს**“ (აჭარ.).

აკეთ-ემ-ს

„რას **აკეთემს** კობლიაო?“ (შ.კახ.).

აკეთ-ავ-ს, გა-აკეთ-ავ-ს

„ჩიჩემ ზიდავს ფუტკარი, წყალი მააქვა, **აკეთავს** თაფლსა“ (ჩვენებ. ქართული, ლივანური).

„მულის გოგო **აკეთავს**“ (იქვე).

„ჯეიზ ნახევარ ბაზოი **გაკეთავს**“ (იქვე).

„[პატარძალი] ააგებს ცეცხლზე და ცეცხლზე საჭმელს **გაკეთავს**“ (ფერეიდნ.).

აკეთ-ამ-ს, გა-აკეთ-ამ-ს

„**აკეთამს** საჭმელზე“ (სამცხ.ჯავახ.).

„ხიდან კუკლას **აკეთამს**“ (სამცხ.ჯავახ.).

„შეკრთება, ეს მაინც გაიმაგრამს გული, თავისას, თავის საჭმეს **აკეთამს**“ (იქვე).

ფაქტობრივად, **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანი ამ კონკრეტულ მაგალითებში ჩაენაცვლება **-ებ** თემის ნიშნებს.

ებ—ამ შენაცვლებას ბ. ჯორბენაძე მიიჩნევს კახური, ქართლური და მესხური დიალექტებისთვის დამახასიათებლად და ასევე, აღნიშნავს, რომ შესაძლოა მესხურში მას მოსდევდეს **ამ—ან** შენაცვლებაც: **აკეთ-ებ-ს → აკეთ-ამ-ს → აკეთ-ან-ს** (ჯორბენაძე, 1998, 642-643). ეს უკანასკნელი ფორმები დიალექტურ კორპუსში არ დას-

ტურდება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ჯერჯერობით არ დასტურდება. მისი შევსების პარალელურად, რა თქმა უნდა, თემის ნიშანთა ფონეტიკური ნაირსახეობები კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

-ან თემის ნიშნის შესახებ აკ.შანიძე წერს, რომ ის რამდენიმე ზმნაშია შემონახული: **ჰყავს, აქვს (*ჰაქუს), ჩ-ან-ს, ჰგავს**. „ამათ ან სუფიქსი გამოაჩნდებათ სავრცობიან მწკრივებში: **ჰყვანდა, ჰყვანდეს**“ (შანიძე, 1973, 416).

სალიტერატურო ქართულისაგან ძალიან განსხვავებული ვითარებაა მესხურში. მ. ბერიძე წერს, რომ „სალიტერატურო ქართულის თითქმის ყველა თემის ნიშანს მესხურში ცვლის **-ან, -ენ, -ონ** სუფიქსები“ (ბერიძე, 1980, 94). ის მიუთითებს, რომ მესხურში **-ან, -ენ, -ონ** სუფიქსიან ფორმათა გვერდით არსებობს პარალელური-ამ-იანი ფორმებიც (**აკეთ-ან-ს //აკეთ-ამ-ს** (იქვე, 95). -ებ თემისნიშნიან ზმნებში მ. ბერიძე ორ ჯგუფს გამოყოფს. ერთია, ზმნები, რომლებიც იწარმოებენ პარალელურ ფორმებს **-ან / -ენ** სუფიქსებით: **ვ-ზად-ავ //ვ-ზად-ენ, ვაკეთ-ან //ვაკეთ-ენ** და მეორე, ზმნები, რომლებიც მხოლოდ **-ენ** სუფიქსს დაირთვენ: **ვაქ-ენ, ვაგზ-ენ, ვავს-ენ...** (იქვე, 96).

სალიტერესოა ჯავახურის მონაცემებიც. როგორც ა. მარტიროსოვი აღნიშნავს: „სალიტერატურო ენის ერთ ფორმას, როგორცაა, მაგალითად, **თესავდა**, ჯავახურში სამი ფორმა შეესაბამება: **თესამდა, თესემდა, თესენდა**. სამი ფორმით გვხვდება აგრეთვე **აკეთებს, აკეთამს, აკეთანს** და ა. შ. ე. ი. თემატურ სუფიქსთა გამოყენების მხრივ დიალექტში ვითარება გამარტივებული კი არ არის, პირიქით, გართულებულია“ (მარტიროსოვი, 1984, 80).

ხანდახან **-ებ** თემის ნიშანს ენაცვლება **-ობ**. ეს შენაცვლება ისედაც ხშირია დიალექტებში, **ჰიკჰიკებს – ჰიკჰიკობს** პარალელური წარმოებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ **-ებ** და **-ობ** თემის ნიშნებს თავისი ფონეტიკური ვარიანტები აქვთ. მაგალითად, **დ** ზმნური ფუძის შემთხვევაში ზმნის ყალიბია V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი ან ზმნური ფუძე – თემის ნიშანი.

ი-დ-ებ, დ-ებ იდებს, უდებს, დებს, დადებს, ჩადებს
დ-ეფ, ი-დეფ
ი-დ-ემ, უ-დ-ემ
უ-დ-ობს, უდობდა, უდობენ
დ-ოფ, უ-დ-ოფ
დ-ეფ-ს

„ქათამი კვერცხსა **დეფს**“ (ქართლ.).

ი-დ-ემ, უ-დ-ემ-ს

„გულში ნუ **იდემ** დარდსაო“ (შ.კახ.).

„მართლა **უდემს** ჯიბეში“ (შ.კახ.).

დ-ოფ-ს

„იხვი ბუდეში არ **დოფს** კვერცხს“ (გურ.).

ყალიბი: ზმნური ფუძე – თემის ნიშანი

ამბ-ობ

ამბ-ოვ

ამბ-ომ

ამბ-ოფ

ამბ-ოვ-ს

„**ვამბოვდი**: ჰოვ, ჰოვ“ (ინგილ.).

ამბ-ომ-ს

„ხერთვისში რომ შემოვიდა ერეკლე, ქალებმა სეირობა დაუწყეპ, **ამბომდენ**: ეს რა ლამაზი კაციაო“ (სამცხ.ჯავახ.).

ამბ-ოფ-ს

„ყველგან **ამბოფს**, ჩონ ქართველები ვართო“ (ფერეიდ.).

„ვარს **ამბოფს**“ (ზ. აჭარ.).

„აი კაცი ჩაყუყულა იქინე, აფერს **ამბოფს**“ (გურ.).

მოკლედ შევხებით თემის ნიშანთა ფონეტიკურ ნაირსახეობებს და მათი გავრცელების არეალს.

-**ავ** თემის ნიშნის ადგილას -**ამ** სუფიქსის ჩანაცვლება უფრო აღმოსავლური დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი, თითქოს მოულოდნელია ქვემო იმერულისათვის. ამას აღნიშნავს ქ. ძოწენიძე, როდესაც მიუთითებს, რომ „ზემოიმერულში, ქვემოიმერული კილოკავის წინააღმდეგ და აღმოსავლური კილოების მსგავსად, აწმყოსა და მყოფადში მხოლოდობითი რიცხვის სამსავე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში ხშირად, მესამეში იშვიათად, -**ავ** სუფიქსის ადგილას -**ამ** გამოიყენება: **ვკლამ, ზარამ, თე-სამს, ვკითხამთ, კერამთ, ართამენ...** და პირუკუ, -**ამ** სუფიქსის ადგილას -**ავ** შეიმჩნევა: **ვასხავ, ვაზავ, ვირტყავ**“ (ძოწენიძე, 1973, 237-238). მაგრამ ადრე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ -**ავ** /-**ამ** ან -**ამ** /-**ავ** თემის ნიშანთა მონაცვლეობა არც ქვემოიმერულისათვის ყოფილა უცხო. ქ. ძოწენიძის თანახმად, „თემის ნიშანთა მონაცვლეობა, რაც ზემოიმერულისთვისაა ნიშანდობლივი, შეიმჩნევა თერჯოლურშიც: -**ავ** სუფიქსის ადგილას -**ამ** იხმარება, თუმცა არა ისე მოხშირებულად,

როგორც ზემოიმერულშია, და პირიქით: **-ამ** სუფიქსის ადგილას აქა-
იქ **-ავ** გამოიყენება“ (მოწენიძე, 1973, 250). ჩვენი ვარაუდით, „ეს არ
იყო მხოლოდ თერჯოლურისათვის დამახასიათებელი და არცთუ
იშვიათად გამოიყენებოდა. ეს ფორმები სამტრედიისა და ბაღდათის
რაიონების სხვადასხვა სოფელშია დაფიქსირებული. **-ამ /-ავ** სუ-
ფიქსთა მონაცვლეობაც **დავაზავ, ურტყავს, ჩაართყავდა, იხავს,**
ვდგავდი, გადავაზავთ – საკმაოდ ხშირია და ესეც მთელი ქვემოიმე-
რულისათვისაა დამახასიათებელი. შეიმჩნევა **-ევ /-ემ** სუფიქსთა მო-
ნაცვლეობა: **შეურემთ (=შეურევთ), -ევ /-ავ: გავწურევდით (=გავწუ-
რავდით), დავწურევდით (დავწურავდით), -ევ / -ებ** სუფიქსთა მო-
ნაცვლეობაც: **ვაბრუნევდი, ასწრევს, დავიწყევდით, დავაფარევდით“**
(კვანტალიანი, 2009, 59).

-ავ /-ამ თემის ნიშანთა მონაცვლეობას მხოლოდ ქართლური,
კახური და ზემოიმერული დიალექტებისათვის დამახასიათებლად
მიიჩნევს ბ. ჯორბენაძეც. ქვემოიმერული არც მას აქვს დაფიქსირე-
ბული. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „მესხურში დამოწმებულია **-ვ**
→ **მ** ცვლილების შემდგომი საფეხურიც: **-მ→-ნ** (ანუ: **-ავ→-ამ →-ან**):
მალ-ან-ს , ბარ-ან-ს, გლეჯ-ან-ს // გლიჯ-ან-ს... (შესაბამისად: **ყან-ს**
და მისთ. (ჯორბენაძე, 1998, 641). ამის საპირისპირო პროცესს (**მ→ვ**
ანუ **-ამ→-ავ**), მესხურში **-მ→-ნ -ამ→-ან** იმავე დიალექტებისთვის
დამახასიათებლად მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე და აღნიშნავს, რომ „არსე-
ბითად ეს არის ერთი და იმავე პროცესის (კერძოდ, **ვ : მ** მონაცვლეო-
ბის) ვარიანტები“ (ჯორბენაძე, 1998, 642).

რაც შეეხება **ბ→ფ** (ანუ **-ებ→-ეფ; -ობ→-ოფ**) ცვლილებას,
ბ.ჯორბენაძე მას საერთო ქართულ მოვლენად მიიჩნევს (ჯორბენაძე,
1998, 643). მართლაც, ეს პროცესი ერთნაირად დამახასიათებელია
აღმოსავლური და დასავლური დიალექტებისათვის.

-ეფ სუფიქსის ხშირ გავრცელებას იმერულისათვის დამახასია-
თებლად მიიჩნევს ავ. შანიძე. ის აღნიშნავს, რომ „**-ეფ** სუფიქსის გა-
ვრცელების არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან
რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ძველის ძვე-
ლად სამი ენის გავრცელების ფარგლებში იყო მოქცეული: ქართლუ-
რისა, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, **-ეფ**
სუფიქსის გარდა, უეჭველია, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური,
რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა
და სვანურისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდე-
ნადმე შემონახული იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთში და

რაქაში“ (შანიძე, 1981,443). აკ. შანიძე იქვე აღნიშნავს, რომ „**ივ** კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია“ (იქვე,443). მართლაც, ეს საკმაოდ ხშირია ქვემოიმერულის იმ ნაწილში, რომელსაც შუაიმერულსაც უწოდებენ და არის ხონისა და სამტრედიის რეგიონებშიც.

-ივ სუფიქსს **-ავ** თემის ნიშნის ფონეტიკურ ნაირსახეობად მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე და აღნიშნავს, რომ „**-ავ** თემის ნიშნი **-ე** გახმოვანებითაა წარმოდგენილი და გავრცელებულია ხევსურულსა და თუშურშიც (ჯორბენაძე, 1998, 647).

ცოტა ვრცლად შევჩერდით I ჯგუფის წარმოების განხილვაზე, როცა სალიტერატურო ქართულისაგან არ განსხვავდება არც ზმნური ფუძე და არც ზმნის ყალიბი, განსხვავებულია მხოლოდ თემის ნიშნები. იმდენად საინტერესო და მრავალფეროვანი სურათი მივიღეთ, მხოლოდ მაგალითებით ვერ შემოვიფარგლებოდით.

2). დიალექტებში სალიტერატურო ქართული ენისაგან არ განსხვავდება არც ზმნური ფუძე, არც ზმნის ყალიბი, მაგრამ ზმნისწინი განსხვავებულია და აწარმოებს ახალ ზმნურ ფორმას, რომელიც სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება. იცვლება ზმნის მნიშვნელობაც.

ყალიბი: ზმნური ფუძე – თემის ნიშანი

ფარ-ავ

ფარ-ავ-ს, და-ფარ-ავ-ს

მაგრამ **ამო-ფარ-ავ-ს** = დაფარავს

სალიტერატურო ქართულში **ამოფარავს** ფორმა არ იწარმოება.

„პურისათვის ჯერ მიწას დავხნავთ, მერმედ დავფარცხავთ, მერმედ პურს **ამოფარავთ**“ (ქვ.იმერ.). ე.ი. **დავფარავთ**.

ქედ ზმნური ფუძე იწარმოება ყალიბით V – ზმნური ფუძე – თემის ნიშნი ან ზმნური ფუძე – თემის ნიშანი. აქ ბუნებრივია **ა-ქედ-ებ-ს, და-ა-ქედ-ებ-ს** ფორმები და ეს წარმოება საკმაოდ ხშირია დიალექტებში, მაგრამ გვხვდება **შე-ა-ქედ-ავს** ფორმაც.

„შემდეგ ავიღებ ერთ გათლილ, გასაშალაშინებულ ხეს და მოვაჭრელებ, დავხერხავ ლამფებათ და **შევაჭედავ** გამირებს“ (ქვ.იმერ.). **შევაჭედავ** ანუ **დავაჭედებ**. შეიცვალა ზმნისწინიც და თემის ნიშანიც, შეიცვალა ზმნის მნიშვნელობაც.

ასევე **რჭ** ზმნურ ფუძესთან ბუნებრივია **ა-რჭ-ობ-ს, და-ა-რჭ-ობ-ს, და-ა-რჭ-ოფ-ს** ფორმები, მაგრამ გვხვდება **მო-ა-რჭ-ობ** ფორმაც.

„სასთუმლად (თავის დასადებს ეტყვიან) ხეს **მოვარკობდით**, დავალაგებდით ოთხ ხეს და გათავდებოდა“ (ქვ. იმერ.).

მთარკობს ნიშნავს **დაარკობს**. არ შეიცვალა არც ზმნური ფუძე, არც ზმნის ყალიბი, შეიცვალა ზმნისწინი და, შესაბამისად, ზმნის მნიშვნელობა. სალიტერატურო ქართულში ეს ფორმა არ იწარმოება.

3). დიალექტებში არ იცვლება ზმნური ფორმა, არც ზმნის მნიშვნელობა, მაგრამ იცვლება ზმნის ყალიბი:

1). ყალიბი: V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი (ვარიანტებით):

ა-ფას-ებ

დააფასებს

ა-ფას-ევ

დააფასეფს

ა-ფას-ენ

დააფასენდა (სამცხ.ჯავახ.)

2). ყალიბი: ზნური ფუძე – თემის ნიშანი:

ფას-ავ-ს დაჰფასავდნენ = დააფასებდნენ (მთ.გუდამ.).

ყალიბი იცვლება ფუძედრეკად ზმნებშიც. აქ ზოგჯერ ზმნური ფუძეც იცვლის ხმოვანს. ყალიბია მხოლოდ ზმნური ფუძე, ზმნური ფუძე - თემის ნიშანი.

მაგალითად: **სხლეთ-ს, სხლეთ-ავ-ს, სხლეთ-ამ-ს, სხლიტ-ავ-ს..**

გლეჯ-ს, გლეჯ-ავ-ს, გლეჯ-ამ-ს, გლიჯ-ავ-ს, გლიჯ-ამ-ს...

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რ. ქურდაძის მოსაზრება: „ქართული ზმნის უღლების სისტემაში აშკარად შეინიშნება ტენდენცია ოდესღაც ფართოდ გავრცელებული აბლაუტური ხმოვანმონაცვლეობის მოშლისა და აწმყო-წყვეტილის თემათა ერთიან აფიქსურ სისტემაზე გადასვლისა“ (ქურდაძე, 2005, 189). ეს დასტურდება დიალექტური მასალითაც. ის შენიშნავს აგრეთვე -ავ თემის ნიშნის გავრცელების არეალის გაფართოების შესახებ: „ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით გამოვლინდა, რომ -ავ თემის ნიშანი მკვიდრდება აღნიშნულ ზმნათა არა მარტო ზმნურ ფორმებში, არამედ მათზე დამყარებულ სახელზმნებშიც (საწყისსა და მიმღეობაშიც)... საერთოდ, მათი ყალიბი სამი სახისაა: **კრეფს, კრეფავს, კრიფავს, კრეფა, კრეფვა, კრიფვა, გაკრეფილი, გაკრეფული, გაკრიფული**“ (ქურდაძე, 2005, 192).

ყალიბი იცვლება უთემისნიშნო ზმნებშიც: **იწერ-ს, იწერ-ავ-ს, იწერ-ამ-ს... ყეფ-ს, ყეფ-ავ-ს, ყეფ-ამ-ს**. ორივე შემთხვევაში გვაქვს უთემისნიშნო და თემისნიშნის ყალიბები.

საიტერესოა **კეტი** ზმნური ფუძის წარმოება. **კეტი** ზმნურ ფუძესთან შეიცვალა თანხმოვანი, ფაქტობრივად, შეცვლილია ზმნის ყალიბი: გვაქვს უთემისნიშნო და თემისნიშნიანი ყალიბები:

1). **კეტი**- ყალიბი უთემისნიშნოა:

და-ჰ-კეტი, ჩა-ხ-კეტი

„**დაჰკეტს** კარებს“ (მთ.გუდამ.).

„**ჩახკეტს** გზებს“ (თუშ.).

„**ჩახკეტს** გადმოსასვლელს“ (თუშ.).

2). ამის გარდა, გვაქვს სხვა ყალიბი: ზმნური ფუძე – თემის ნიშანი (ვარიანტებით).

კეტი-ავ დაგვეტავდით, დაჰკეტავს

კეტი-ამ დაგვეტამთ, დაჰკეტამს, დაკეტამს

კეტი-ან „დაგვეტანდი კარებსა“ (ჯავახ.).

კეტი-ენ დაჰკეტენდნენ (გუდ.).

ზმნურ ფუძეში შეიცვალა თანხმოვანი:

და-უ-კედ-ავ-ს

„დღისით მეღორე **დაუკედავს** კარებსა“ (ქიზ.).

4). დიალექტებში შეიცვალა ზმნური ფუძე (ან მორფემის ფონეტიკური ვარიანტის დართვით, ან კუმშვით). ზმნის ყალიბი და მნიშვნელობაც უცვლელია.

1). ყალიბი: V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი (ვარიანტებით):

ა-ფარ-ებ

აფარებს, იფარებს

ა-ფარ-ეფ

ააფარეფ, გადავაფარეფთ

ა-ფარ-ევ

აფარევენ, იფარევენ

ა-ფარ-ენ

გადაგვაფარენდა, შეგვაფარენდა

ა-ფარ-ემ

გადავაფარემდით, დავაფარემ

ა-ფარ-ან

თავ **აფარანდნენ** (სამცხ.ჯავახ.).

2). ყალიბი: V – შეკუმშული ზმნური ფუძე – თემის ნიშანი:

ა-ფრ-ი-ს = აფარებს

„მიწას აფრის“ (სამცხ.ჯავახ.). (მაგალითი მოგვაწოდა მარინა ბერიძემ).

ზოგჯერ ზმნურ ფუძეში იცვლება ხმოვანი ან თანხმოვანი. მაგალითად, **ხსოვ** ზმნური ფუძე დიალექტებში იცვლება და რამდენიმე ვარიანტით გვხვდება.

ყალიბი: V – ზმნური ფუძე

ა-ხსოვ-ს

ა-ხსომ-ს

ა-ხსონ-ს

ა-ხსოფ-ს

„**მახსომს**, რო წინათ მაღალი ჩიხტები ჰქონდათ“ (შ.კახ.).

„ყველაფერი არ **მახსომს** ახლა“ (ლექხ.).

„ჩემ წინაპარ **ახსონს** ეს“ (სამცხ.ჯავახ.).

„ეს კი **მახსონდა**“ (ქიზ.).

„არავის არ **ახსოფს** მისი აშენება“ (ლექხ.).

ფუძისეული -**ოფ** თითქოს თემის ნიშნად იყოს მიჩნეული, ისე გაუჩნდა ვარიანტები: -**ომ**, -**ონ**, -**ოფ**.

ზოგჯერ იცვლება ზმნის ყალიბი და იცვლება ფუძისეული ხმოვანიც.

მაგალითად, ყალიბი: V– ზმნური ფუძე

უ-ჭერ-ს, უ-ჭერ-დ-ი

გვხვდება სხვა ყალიბიც: V – ზმნური ფუძე – თემის ნიშანი. იცვლება ფუძის ხმოვანიც:

უ-ჭირ-ებ **უჭირებს, უჭირებთ**

უ-ჭირ-ევ **უჭირევდით, უჭირევენ** [„მაგრად **უჭირევენ**“ (ინგილ.)].

უ-ჭირ-ემ, უჭირემენ: „აპეურს **უჭირემენ**“ (ქართლ.).

ამრიგად, ქართული დიალექტური კორპუსის მიხედვით ზმნურ ფუძეთა წარმოების ძალიან საინტერესო სურათი იკვეთება. ქართული ენის დიალექტებში ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ დიალექტებში ზმნურ ფუძეთა წარმოება უფრო მრავალფეროვანია. ეს მრავალფეროვნება ზმნის ფუძის შედგენილობასაც ეხება და თემის ნიშნთა ნაირსახეობებსაც. თემის ნიშნთა ვარიანტები აქ ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი. ამ ყველაფერს წარმოაჩენს და თვალსაჩინოს ხდის დიალექტური კორპუსის მიხედვით კვლევა. არანაკლებ საინტერესოა დიალექტური კორპუსის მიხედვით ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების შესწავლა. გამოიკვეთა ერთი საინტერესო მოვლენა. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, ვფიქრობთ, ზმნისწინთა წარმოება დიალექტებში უფრო შეზღუდულია. ზმნისწინთა წარმოების თვალსაზრისით სალიტერატურო ქართული დიალექტებისაგან განსხვავებით უფრო მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ლიტერატურა

ბერიძე, 1980 – მარინა ბერიძე, თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

გოგოლაშვილი..., 1989 – გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ.შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.

გოგოლაშვილი..., 1991 – გ. გოგოლაშვილი, ც.კვანტალიანი, დ.შენგელია, ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1991.

კვანტალიანი, 2009 – ც. კვანტალიანი, ზმნისწინისა და თემის ნიშნთა ცვლილებისათვის ქვემოიმერულში („შინამრეწველობის მასალების“) მიხედვით, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., XXX, 2009.

მარტიროსოვი, 1984 – ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.

ქურდაძე, 2005 – რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.

შანიძე, 1981 – ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, თხზ. ტ. II, თბ., 1981.

მოწენიძე, 1973 – ქ. მოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, 1973.

ჯორბენაძე, 1998 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

TSITSINO KVANTALIANI, RUSUDAN LANDIA

Verb Stems and an Interchange of Thematic Markers in the Georgian Dialects (Dialect Corpus Based Study)

Summary

In general, dialectal verb forms follow the patterns typical of the verb formation of Standard Georgian. However, the choice and variability of form-building as well as combinability means make the dialects substantially different.

A number of dialectal variants of verb formation can be singled out:

1) Neither the dialectal verb stems nor verb patterns differ from those of Standard Georgian, the only difference lies in the phonetic variants of thematic markers. The pattern is as follows: V- verb stem + thematic marker: *a-gin-cb*, *a-gin-cp*, *a-gin-av*, *a-gin--am*.

Sometimes only the variants of a particular thematic marker are encountered; e.g.: γ -stem verb takes different phonetic variants of the thematic marker –eb: *i- γ -cb*, *i- γ -cp*, *i- γ -cn*, *i- γ -cm*.

2) Neither the dialectal verb forms nor patterns differ from those of Standard Georgian; however the preverb is different forming a new verb form not attested in Standard Georgian. The verb pattern: verb stem+ thematic marker: *par-av-s*, but *amo-par-av-s= da-par-av-s*.

3) In the dialects the verb pattern is different, the verb stem and meaning are the same:

a) The pattern –verb stem+ thematic marker (with different variants): *a-pas-cb*, *a-pas-cp*, *a-pas-cn*.

b) The pattern –verb stem+ thematic marker: *pas-av*, *da-h-pas-av-dnen=da-a-pas-cb-dnen*.

The pattern changes in the verbs with ablaut as well: *glež-s*, *glež-av-s*, *glež-am-s*, *gliž-av-s*, *gliž-am-s*.

4) In the dialects the verb stem has changed (either by adding a phonetic/morphological variant of the morpheme or by syncope), the verb pattern and the meaning are the same.

a) The pattern: V-verb stem+thematic marker (with different variants): *a-par-cb*, *a-par-cp*, *a-par-cv*, *a-par-cn*, *a-par-cm*, *a-par-an*.

b) The pattern: V-syncope verb stem+ thematic marker: *a-pr-i-s=a-par-cb-s*.

Thus, according to the dialect corpus of Georgian in the dialects the verb stem formation differs from that of Standard Georgian: it is more versatile; versatility lies in a variety of verb stems and different types of thematic markers.

მანია ტურიზმი

ნასესხობები და ლინგვისტური კურიზი

ბოლო პერიოდში ქართულ ენაში ყოველდღიურად ფეხს იკიდებს ახალი, ზოგიერთ შემთხვევაში, „უცხო“ სიტყვა. თუ ადამიანები რამდენიმე წლის წინ განსხვავებულად საუბრობდნენ, დღეს ლექსიკურმა მარაგმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მსგავსი სიტყვები ხშირად გვხვდება როგორც მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე მედია სივრცეში.

გლობალიზაციის პროცესში ენათა ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. გლობალიზაციის ტენდენციების გათვალისწინებით, თანამედროვე ქართულ ენას მჭიდრო კონტაქტი აქვს ინგლისურთან, როგორც საერთაშორისო საკომუნიკაციო ენასთან. ზოგადად, ორი ენის ურთიერთობას შედეგად მოაქვს ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთგაცვლა. ჩვენს ენაში მძლავრად შემოედინება და მკვიდრდება ანგლიციზმები (ინგლისური წარმომავლობის სიტყვები).

უცხო სიტყვების შემოდინება – ეს ენის განვითარების უწყვეტი პროცესია. ეს ყოველთვის ასე იყო, არის და იქნება. საერთოდ, ენა ცოცხალი ორგანიზმია. მასში ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს და ამას ვერანაირი დადგენილებები ვერ ცვლის. ყველა ენას განვითარების თავისი ტენდენცია აქვს, რომელიც ობიექტური გარემოდან და რეალობიდან მომდინარეობს და ამის მიხედვით ენა იღებს, ავითარებს, აფართოებს ან ავიწროებს კონკრეტული სიტყვების სემანტიკურ ველს და ა. შ.

მოგვხსენებთ, რომ ექსტრალინგვისტური ფაქტორები – მიმდინარე სიტუაცია, დრო, ახალი ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესი და ა. შ. იწვევს ახალი ლექსიკის გაჩენას. ცხადია, ენა ყოველთვის არ არის მზად, რომ თავისი ერთეულები დაახვედროს უცხო სიტყვას, მაგრამ მაშინაც კი, როცა ენას შეიძლება თავისი ერთეული ჰქონდეს, ხშირად არის შემთხვევა, რომ მაინც შემოდის და მკვიდ-

რდება უცხო სიტყვა იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ კონტექსტში ის ახალი სიტყვა უფრო მისაღები ხდება მომხმარებლისთვის.

ბშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა ადამიანებს ზუსტად არ ესმით, მაგრამ მათ აქტიურ გამოყენებას საუბრისას, განსაკუთრებით მოზარდები, დაუყოვნებლივ იწყებენ.

ნასესხებია ის სიტყვა, რომელიც უცხო ენიდან შემოდის ახალი ცნების აღსანიშნად. მაგალითად, კომპიუტერი უკვე ახალი არ არის. სიტყვები მაუსი ან პროცესორი შედარებით ახალი ლექსიკური ფორმები და ნეოლოგიზმებია. ეს სიტყვები მოიტანა კონკრეტულმა რეალობამ. გაჩნდა ახალი ნივთი, ენას კი არ ჰქონდა შესაბამისი ლექსიკური ერთეული. **ამ შემთხვევაში ენას ორი არჩევანი აქვს: იგი ამგვარი ახალი ცნებებისათვის ქმნის მშობლიურ სიტყვებს საკუთარი ენის რესურსებით ან სიტყვა შემოაქვს ენაში როგორც უცხო სიტყვა.** ბევრი ენა ირჩევს პირველ გზას. ქართულ ენაში ეს სიტყვები, უმეტეს შემთხვევაში, მეორე გზით მკვიდრდება – პირდაპირ შემოდის უცხოური ენიდან. ამჟამად, ძირითადად, ინგლისური ენიდან ხდება ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა.

ქართული ენა საკმაოდ ღიაა ამ თვალსაზრისით, იგი იღებს უცხო სიტყვებს. თუმცა ქართული ენის რესურსებით ახალი სიტყვების შექმნის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს. (<https://barbarisms.ge/article1/>)

დღეს, როდესაც არა მარტო ქართული ენა, არამედ მსოფლიოს მრავალი ენა განიცდის ინგლისურის გავლენას, ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე? შევუნარჩუნოთ ქართულ ენას „ლინგვისტური პურიზმი“¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენა მუდმივ ცვლილებებს განიცდის. ენაში არსებული ლექსიკური ფონდიც ცვალებადია და განუწყვეტლივ ივსება. „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე.ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება“, – წერდა ილია ჭავჭავაძე და იქვე ასახელებდა ახალი სიტყვების შემოტანისა და ენაში დამკვიდრების რამდენიმე გზას. მიმოიხილავდა ახალი სიტყვების წარმოქმნის გზებს, თარგმნის, უცხოური წარმოშობის სიტყვების ხმარების აუცილებლობას, თუმცა ამ საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით ეკიდებოდა. ილია სწორად აღნიშნავდა, რომ ენაში აუცილებელია საერ-

¹ „ლინგვისტური პურიზმი“ – ენის სიწმინდე.

თაშორისო სიტყვების დამკვიდრება, ისეთებისა რომლის ეკვივალენტს ჩვენს ენას არ აქვს. აი, რას წერს ის ბარბარე ჯორჯამეს ერთ-ერთ წერილში:

„ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრივობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტაოდენ განვითარებულს და ფუნქციონირებს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ...“ (ჭავჭავაძე, 1991, 56).

ნასესხები სიტყვები მეტ-ნაკლები რაოდენობით ყველა ენაში მოიპოვება. არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა ენა, რომელშიც ნასესხები სიტყვა არ გვხვდება, თუმცა, ცხადია, უცხო სიტყვის მიღების დროს საჭიროა ზომიერება.

არნოლდ ჩიქობავა 1952 წელს გამოცემულ ნაშრომში „ენათმეცნიერების შესავალი“ წერდა: „ქართველი პურისტები ერთ დროს წინადადებას იძლეოდნენ „ლექსიკონი შეცვლილიყო „სიტყვართ“. პურისტები მათემატიკაში ცდილობდნენ „ცილინდრის“ ნაცვლად „გოდლედი“ ეხმარათ, „გრადუსის“ მაგიერ „მენაკი“, თერმომეტრის-წილ „თბოდანდედი“... მეცნიერი იქვე ასკვნის: „ასეთ ქართულ ტერმინებს ქართველი კაცი ვერ გაიგებს უფრო ადვილად, ვინემ „გრადუსსა“ და „თერმომეტრს“, რომელნიც მთელ რიგ ენებში არიან დამკვიდრებული. პურიზმს სალიტერატურო ენათა ისტორია არ ამართლებს. ვერც ხალხურობაზე მითითება დაასაბუთებს პურიზმის საჭიროებას. საჭირო შემთხვევაში სიტყვების სესხება ენის ნორმალურ განვითარებას ეგუება“ (ჩიქობავა, 1952, 195).

დღესდღეობით ჩვენს ენაში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ენაში, დამკვიდრებულია არაერთი საერთაშორისო სიტყვა, რომელთა გამოყენების გარეშე, შეიძლება ითქვას, „ლექსიკოლოგიურ იზოლაციაში“ მოვექცევით. „ენობრივი პურიზმი“, რაც გულისხმობს უკომპრომისო ბრძოლას სალიტერატურო ენის ყოველგვარ ცვლილებასთან, ამის დაცვა და განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. სიტყვათა სესხება და უცხო სიტყვების ურთიერთგაცვლა მსოფლიოში მიმდინარე პროცესია, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით. (<http://mastsavlebeli.ge/?p=13277>)

როგორც ცნობილია, ნასესხობების და უცხოური წარმომავლობის ლექსიკური ერთულებების შემოდინება ენის განვითარების უწყვეტი პროცესია. ეს შეუქცევადი პროცესია და, პირიქით, რიგ შემთხვევებში, ენის გამდიდრების პროდუქტიულ საშუალებად ითვლება. დღესაც, რაც ქართული გვგონია, შესაძლოა, ოდესღაც სხვა ენიდან შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ენაში; მოერგო ჩვენი ენის ლინგვისტურ თავისებურებებს. ჩვენმა ენამ ის შეითვისა და ჩვენც მივიღეთ და ვიყენებთ როგორც ჩვენულს. მით უმეტეს, დღევანდელ რეალობაში, გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მსოფლიო მიისწრაფის ერთი ენის, ერთი კულტურის შექმნისკენ, ძნელია, ეს პროცესი შეაჩერო. მარტო ქართული კი არა, სხვა ევროპული ენებიც განიცდიან ინგლისურის გავლენას. მაგ., ფრანგები ცდილობენ დაიცვან ენის სიწმინდე და ყველა უცხოურ სიტყვას მშობლიური შესატყვისი მოუძებნონ. ეს, ცოტა არ იყოს, ხელოვნურობას ქმნის. ენას კი ასეთი ხელოვნურობა არ უხდება. ჯერ კიდევ კარდინალი რიშელიეს დროს მე-17 საუკუნეში დაიწყო ენის სიწმინდისთვის ბრძოლა, როდესაც 1635 წელს ენის აკადემია დააარსეს. მაგრამ დღეს ხვდებიან, რომ ეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესია, გარდაუვალია და ამ პროცესს წინ ვერ აღვუდგებით. ეს ობიექტური რეალობიდან ნაკარნახევი აუცილებლობაა. გერმანელებიც ცოტა არ იყოს ირონიით ეპყრობიან საჭიროების გარეშე გამოყენებულ ანგლიციზმებს და მათ „დენგლიშებს“ უწოდებენ – ინგლისური სიტყვები გერმანულ ლინგვისტურ პრიზმაში გარდატეხილი. ასეთივე გავლენას განიცდიან ესპანელები, იტალიელები, თურქები და სხვა ერებიც. როგორც ჩანს, გლობალიზაციის პროცესმა ეს მოვლენა გარდაუვალი გახადა.

თუმცა ამ საკითხს ასე მარტივადაც ვერ შევხედავთ. ეს, ერთი მხრივ, თავისთავადი პროცესია, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენგან წახალისებული და ჩვენ მიერ ნაკარნახევი. ვუწევთ კი ჩვენ წინააღმდეგობას ანგლიციზმების დამკვიდრებას, თუ პირიქით, რიგ შემთხვევებში მოგვწონს და გვეამაყება კიდევ მათი ხშირი გამოყენება (რა თქმა უნდა, საჭიროების გარეშე)?

აღნიშნული საკითხის განხილვისას, უპირველესი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და შემდეგ ჩვენ, ცალკეულ ინდივიდებს. როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი და ზრუნავს თუ არა დღეს სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვაზე? – ლევან ღვინჯილია ამ საკითხს კრიტიკულად უყურებს. ამბობს, რომ 2003 წლის შემდეგ საქართველოში გაუქმდა ყველა შესაბამისი ინსტიტუცია,

მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, პარლამენტთან არსებული სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი, ასევე, ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც თავად ლევან ღვინჯილია შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ლევან ღვინჯილია აცხადებს, რომ:

„არაფერი ამის საკომპენსაციო არ შეიქმნა, სახელმწიფომ თვითდინებაზე მიუშვა ენაზე ზრუნვის საქმე და კიდევაც გვაქვს შედეგი. მე ვფიქრობ, თუ სახელმწიფო არ მონდომებს და ჯეროვნად არ დააფასებს თავისსავე სახელმწიფო ენას, ჩვენ ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით“. დიახ, ნამდვილად, აღმოვჩნდებით...

(<https://www.radiotavisupleba.ge/a/georgian-media-language/24585152.html>)

ვიმედოვნებთ, 2017 წელს შექმნილი სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ამ პრობლემას უყურადღებოდ არ დატოვებს და ანგლიციზმები საჭიროების გარეშე ენაში აღარ დამკვიდრდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს პრობლემა ბევრ ქვეყანას აწუხებს. ამავე საკითხს ეხმიანება ა. წ. ოქტომბერში, ინსბრუკში გამართული სამეცნიერო შეხვედრა თემაზე – „ახალი სიტყვები და ლინგვისტური პურიზმი“. წარდგენილ იქნა მოხსენებები და განხილვები 13 ენის მაგალითზე. მომხსენებლებმა აღნიშნეს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მათ ენებში ინგლისური ენის გავლენით და როგორ უმკლავდებიან ანგლიციზმების მოჭარბების საკითხს ამ ენებში. (https://www.uibk.ac.at/congress/nwlp/book-of-abstracts-update23.10.2018.pdf?fbclid=IwAR2deqPH4_xNt5FuwGmQTTniMtbAU8pQTR6KRL9mGqXkAzOi8I4V91npjWk)

აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოების მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განსხვავებულია. ყველაზე კლასიკური მაგალითი – „ენის სიწმინდისთვის მებრძოლი ქვეყნის“ – გერმანია გახლავთ, სადაც ინტენსიურად მუშაობს ლინგვისტთა საბჭო და ტომეულებს უშვებს იმისთვის, რომ დაიცვან მშობლიური ენა, იმისთვის, რომ ებრძოლონ „დენგლიშებს და დურკიშებს“¹ მათ ენაში.

(<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1360200042000296663?journalCode=cjmm20>)

¹ „დურკიში“ – გერმანულ ენაში ახლად გაჩენილი თურქული წარმომავლობის სიტყვები, რომლებიც წარმოადგენენ გერმანულ-თურქულ ვარიანტს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ენაში უცხო სიტყვის სესხების ორი გზა არსებობს: ზეპირი და წერილობითი, რომელთა ურთიერთმიმართება იმის დასტურია, რომ უცხო ენიდან შემოსული სიტყვების დამკვიდრების ფორმები დამოკიდებულია როგორც სამეტყველო, ისე წერილობით მხარეებზე. შესაბამისად, ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ასე მძლავრად ქართულ სასაუბრო ენაში უცხოური სიტყვების გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქართული ეკვივალენტი აქვთ, წინააღმდეგობის გარეშე წერილობითი სახით დამკვიდრება ძირითად ლექსიკურ ფონდში, უდავოდ ხდება მათი დაკანონების წინაპირობა.

ლიტერატურა

- გამყრელიძე, 2003** – გამყრელიძე თ. „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
- ვაშაკიძე, 2009** – ვაშაკიძე ი. „ტერმინთმემოქმედების პრინციპები XX საუკუნის II ნახევრის საქართველოში“, თბ. 2009.
- ჩიქობავა, 2008** – ჩიქობავა ა., „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008:195;
- ჭავჭავაძე, 1991** – ჭავჭავაძე ი. „თხზულებათა სრული კრებული“, მეხუთე ტომი, თბ. 1991.
- ნაიდა, 1975** – Nida, E.1975- Nida, E „*Language Structure and Translation*“, Stanford : Stanford University Press. 1975;

ინტერნეტ წყაროები

ახალი სიტყვები და ლინგვისტური პურიზმი https://www.uibk.ac.at/congress/nwlp/book-of-abstracts-update_23.10.2018.pdf?fbclid=IwAR2deqPH4_xNt5FuwGmQTTniMtbAU8pQTR6KRL9mGqXkAzOi8I4V91npjWk.

„ენობრივი პურიზმისა“ და ნასესხები სიტყვების შესახებ... <http://mastsavlebeli.ge/?p=13277>.

თურქულ-გერმანული ენა-ინოვაციური საკომუნიკაციო საშუალება (<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1360200042000296663?journalCode=cjmm20>).

რა არის ნეოლოგიზმი? <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=4>.

სჭირდება თუ არა ქართულ ენას გაინგლისურება? <http://barbarisms.ge/article1/>.

ქართული მედია და მისი ენა <https://www.radiotavisupleba.ge/a/georgian-media-language/24585152.html>.

MAYA TURIASHVILI

Borrowings and Linguistic Purism

Summary

The paper focuses on the tendency of frequent use of English words in current Georgian. Special emphasis is placed upon neologisms and computer terms. The data covers samples of written and spoken discourse of the last decade.

For the last two or so decades English as a Lingua Franca has had an impact upon the Georgian language; as a result, current Georgian is abundant in English borrowings. On the one hand the paper explores the ways different types of English loan words are adapted by the Georgian language and on the other discusses the language policy of the state to maintain linguistic purism.

ხათუნა ჟანდაზილი

სულთან, კელთან, ფეკთან დაკავშირებული
ფრაზეოლოგიური და იდიომატური
ბამოთქმები ქიზიყურში

ყველა ენასა და დიალექტში მყარი შესიტყვებები მნიშვნელოვნად ამდიდრებს ენის ლექსიკის ფონდს. ფრაზეოლოგიურ სიტყვა-თქმებს შეუძლია ბევრი ინფორმაცია მოგვაწოდოს ამა თუ იმ ენასა თუ დიალექტზე მეტყველ ადამიანთა შესახებ. ამგვარ გამოთქმებში აისახება ადამიანთა აზროვნება, წარმოსახვა და შინაგანი განცდების, ემოციების გადმოცემის უნარი. ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყური კილოკავიც ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომატური გამოთქმების სიუხვით გამოირჩევა. ქიზიყურში მყარი შესიტყვებები მრავალფეროვანი და საინტერესოა. საკვლევ მასალად გამოვიყენეთ სტეფანე მენთეშაშვილის მიერ 1943 წელს გამოცემული „ქიზიყური ლექსიკონი“. მასალა აგრეთვე გადავამოწმეთ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“ (1991; 1993), უშანგი სახლთხუციშვილის მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ „გარეკახურის ლექსიკონსა“ და ალექსანდრე ონიანის „ქართულ იდიომებში“, რომელიც დაიბეჭდა 1966 წელს (აღნიშნული ლექსიკონი ემყარება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს). ყურადღებას შევაჩერებთ კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში **სულთან, კელთან და ფეკთან** დაკავშირებულ მყარ შესიტყვებებზე.

სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყური ლექსიკონი“ დიდი ხნის წინ დაიბეჭდა და ასახავს იმ პერიოდის ლექსიკას. მას შემდეგ საკმაოდ დიდი ხანია გასული და ქიზიყურმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა ენის სხვადასხვა დონეზე. ცვლილებები აისახა ლექსიკურადაც. ეს კარგად გამოჩნდა ფრაზეოლოგიზმების შესწავლისას. ზემოაღნიშნულ ლექსიკონებში ჩვენ შევხვდით ისეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს, რომლებიც თითქმის აღარ გვხვდება დღევანდელ ქიზიყურში, ჩვენთვის კარგად ნაცნობ კილოკავში, თუმცა შესწავლილი მასალა ძალიან საინტერესოა საანალიზოდ. ამ მასალის დამუშა-

ვება მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან შემდგომში ახალი საკვლევი მასალის გამდიდრებით გამოირკვევა, რა ფრაზეოლოგიური გამოთქმები გამოიყენებოდა ადრე, რა დაიკარგა ან რა რითი შეიცვალა.

სულთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური გამოთქმები ადამიანის შეგრძნებებსა და გრძნობებს გადმოგვცემს: **„სულის აფრთხილება“** სულის წასვლას ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით აჩქარებას (1943: 171). ჩვენ ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა გადავამოწმეთ ზემოაღნიშნულ ლექსიკონებში და არსად არ დასტურდება ამგვარ შესიტყვება. **„სული გაკანკა“** „სული გაკანკა შიშისაგან“ (1943: 171) – გაჩუმდა. ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება დასტურდება „გარე კახურის“ ლექსიკონშიც. ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა ამჟამად იგვიყვია. როგორც ჩანს, ეს შესიტყვება ბუნებრივია მთელ კახური დიალექტისთვის. **სულის გამგნაფვა** – გამგნაფვა (1943: 171); გატრუნვა, გაჩუმება. დადასტურებული ილუსტრაციაა: „მაგრამ რო უყვირე, **სული გამგნაფა“**. აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამოთქმა მხოლოდ ქიზიყურისთვისაა დამახასიათებელი, გარეკახურსა და შიგნიკახურში ამგვარ შესიტყვებას არ ვხვდებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ქიზიყურში ამ ფრაზეოლოგიურმა შესიტყვებამ გაიფართოვა მნიშვნელობა, **სულის გამგნაფვა** სიკვდილს ნიშნავს. სიტყვა **სულს** უკავშირდება შემდეგი იდიომატური გამოთქმა: **„სულის მუჭაში ჩაბერვა“** (1943: 171), რომელიც საიდუმლოს შენახვას ნიშნავს. დამოწმებული ილუსტრაციაა: „იმ უკეთურ, **სული მუჭაში ჩაბერე**, რო არავითარ ეთქვა და მაინც გაამჟღავნა დედათან“. ეს იდიომატური გამოთქმაც მხოლოდ ქიზიყურში დადასტურდა და მაცხოვრებლები ამჟამად გამოიყენებენ ამავე მნიშვნელობით. **„სულის მიცემა“** გად. სიკვდილი. სული მიცემა – მოკვდა (1943: 171). ეს შესიტყვებაც ქიზიყურში გვხვდება და დღესაც გამოიყენებენ მას. **სულქვეშ თქმა** სულის დაფიცებით თქმა; გადატ. სიმართლის თქმა. დამოწმებული ილუსტრაციაა: **„სულქვეშ თქვი**, მართალია თუ არა (1943: 171). ჩვენ მიერ განხილულ არცერთ ლექსიკონში არ დადასტურდა ეს ფორმა, როგორც ჩანს, იმ დროისათვის ქიზიყურში არსებული გამოთქმა იყო, ეს ფრაზეოლოგიური შესიტყვება თითქმის აღარ გვხვდება დღესდღეობით. **სულის ცანცქვლა, ცანცქვლა** სულის ღევა, სულის წასვლა (1943: 171). განსამარტი შესიტყვებით – **სულის წასვლა** – შეიცვალა და, სავარაუდოდ, ეს ფრაზეოლოგიზმიც აღარ გამოიყენება.

ალექსანდრე ონიანის „ქართულ იდიომებში“ გამოვლინდა ორი საინტერესო ფრაზეოლოგიური გამოთქმა: **სული კბილით უჭირავს** ძლივს ითმენს, ძლივს იკავებს თავს; ცუდ დღეშია, სიკვდილის პირზეა მისული (1966: 140), დღესაც ცოცხალია ეს შესიტყვება ქიზიყურში, დიალექტური ვარიანტია **სული კბილით უჭირამ**, თუმცა სტეფანე მენთეთაშვილთან და უშანგი სახლხთხუციშვილთან არ დასტურდება ეს გამოთქმა. სულთან დაკავშირებული შემდეგი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა: **სულის ამორთმევა** გაწვალება, გაწამება, გატანჯვა, სულის ამოხდა (1966: 141). ესეც ბუნებრივი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა ქიზიყურში, დღესაც ცოცხალია და აქტიურად გამოიყენებენ მას.

ჯელთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური შესიტყვებები ადამიანის შესაძლებლობასა და სხვადასხვა მოქმედებას გამოხატავს: ფიზიკურ ძალას: **„ჯელის დანაცვლება“** მძიმე ტვირთის აწევისას ტვირთზე ხელის გადანაცვლება უფრო მარჯვედ ასაწევად (1943: 262). **„ჯელის აფროლავება“** (1943: 262), ხელგაშლით ხარჯვა. დამოწმებული ილუსტრაციაა „მოძევა, შენი ჭირიმე, **ჯელი აუფროლავა** პურსა და გაზაფხულზე დააკლდა“ (1943: 262). ამჟამად ამ გამოთქმას ზოგჯერ საქონლისთვის ხელის აქნევის მნიშვნელობითა და საქმის უხარისო შესრულების გადმოსაცემად იყენებენ: 1) **ხელი აუფროლავე**, ანუ ხელი აუქნე ძროხას; 2) **ხელს ნუ უფროლავებ**, ნიშნავს საქმეს უხარისხოდ ნუ აკეთებ. **ჯელთან** არის დაკავშირებული იდიომატური გამოთქმა **„ჯელის შაჰრა“** 1943: (263), გადატანითი მნიშვნელობით სხვისი ქონების მითვისებას ნიშნავს. დამოწმებული ილუსტრაციაა: „ყაჩაღებმა შანშანთ გიორგი აიკლეს, სახლ-კარი და ცხვარ-ძროხა დაიტაცეს, მაშინ **ჯელი ხევრმა შაჰრა**“. ეს გამოთქმა ჩვეულებრივ გამოიყენება დღესაც ქიზიყურში იმავე მნიშვნელობით. ეს ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს არა მხოლოდ სხვისი ქონების მითვისებას, არამედ ნებისმიერი საქმით სარგებლობას. ვხვდებით ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას **„ჯელების აშლა“**, თუმცა ლექსიკონში პირდაპირი მნიშვნელობით არის განმარტებული – ნიშნავს აკვანში ჩაკრული ბავშვისთვის გამოღვიძებისას ზედა (გულ-მკერდზე) არტახის მოშვებას. ხელების მაღლა ამოყოფინება-ხელების გათავისუფლების შემდეგ არტახს ისეც მოუჭერდნენ ოდნავ მკერდზე, რომ ბავშვმა არ გადმოიწიოს აკვნიდან და წელი არ მოიწყვიტოს. **ჯელების აშლა** იციან მაშინ, როცა დედას საქმე აქვს და არც სხვა ვინმე ჰყავს სახლში, რომ ბავშვი ხელში აიყვანოს. საქმეს რომ მოათავებს, მერმე ააყენებს

ბავშვს. (1943: 262) ფრაზეოლოგიზმია იმ შემთხვევაში, როდესაც **ხელი აიშალა არტახებიდან** ან, **არტახები აიშალა**, იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც თავისუფლად მოქმედებს, თავისუფლად დადის ყველგან თავისი სურვილისამებრ, არ ითვალისწინებს სხვის დამოკიდებულებას, აზრს იმის შესახებ, რასაც აკეთებს, სადაც დადის. **„კელის დარევა“** მორევა, ჯობნა (1943: 262); დადასტურებული ილუსტრაციაა: ბიჭი უკნიდამ მემეპარა, სალმა გამამდო და წამაქცევა. წამოუხტი, ვემგერენით ერთმანეთ, ჯერ კი გამიძალიანდა, მემრე, ერთი რაკი **კელი დაფრიფე**, მოიგდე ქვეშ და, რაც სიგრძე ფქონდა, სიბრტყე მივე, მაგრა გავტყვიპე (1943: 262). ამავე ფრაზეოლოგიურ გამოთქმას ვხვდებით ალ. ონიანის „ქართულ იდიომებში“ – **კელის დარევა** ჯობნა, მორევა, დაუფლება. დღესდღეობით დასაზუსტებელია, გამოიყენება თუ არა ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა. სხვა ლექსიკონებში ეს შესიტყვება არ დასტურდება და ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით, მხოლოდ ქიზიყურში გამოიყენებენ თუ გარეკახურსა ან შიგნიკახურშიც.

ფეტან ძირითადად დაკავშირებულია მოძრაობის, გადაადგილების გამომხატველი ფრაზეოლოგიური გამოთქმები. **„ფების აკაუჭება“** (1943: 185); **„ფების აკანჭურება“** (1943: 185) ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონეა და მტკივნეული ფების მაღლა აწევას ნიშნავს, მიწას რომ არ დაეკაროს. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები აღარ დასტურდება ქიზიყურში. გვხვდება შემდეგი იდიომატური გამოთქმა: **„ფების გაქსნა“** (1943: 186), მგლოვიარის პირველად სახლიდან გაყვანას ნიშნავს ხალხში, საზოგადოებაში. დღესდღეობითაც ვხვდებით ამ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას, მაგრამ არა მხოლოდ ამ კონკრეტული მნიშვნელობით. **ფების გახსნა**, ზოგადად, ნიშნავს ნებისმიერი ადამიანის ბევრ სიარულს, ხშირად წასვლას ახლობლებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან, სხვადასხვა ადგილას. მაგალითად, ადამიანი თუ სულ სახლში იყო, შემდეგ ვინმესთან დამეგობრდა ან ნათესავი მის ახლოს დასახლდა და ხშირად დაიწყო ახლობლებთან მისვლა და სტუმრობა, იტყვიან **ფები გაეხსნაო**. ამავე მნიშვნელობის ფრაზეოლოგიური გამოთქმა დასტურდება ალ. ონიანის „ქართულ იდიომებშიც“: **ხელ-ფების გახსნა** თავისუფალი საშუალების მიცემა (1966: 192). **ფების გაწვდომა** გადატ. გატოლება. მოყვანილი ილუსტრაციაა: „შენ ჩემთან ფეკ ვერ გაიწვდი“ (185). ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა არ გვხვდება ჩვენ მიერ განხილულ ლექსიკონში. იგი მხოლოდ „ქიზიყურ ლექსიკონში“ დადასტურდება, თუმცა დღესდღეობით ფრა-

ზეოლოგიზმი ამ მიშენელობით: **ფეხი არ ჩაუვა, ფეხი არ ჩასდის.** ალექსანდრე ონიანის „ქართულ იდიომებში“ დასტურდება ფრაზეოლოგიური შესიტყვება **ფეხის ამოკვეთა** და ნიშნავს (საიდანმე) სამუდამო წასვლას; მოშორებას, გაცლას, (სადმე) სიარულის მისვლის შეწყვეტას. დამოწმებული ლიტ. ილია, ჯავახიშვილი) (1966: 153). ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა დამახასიათებელია ქიზიყურისთვის, თუმცა უნდა დასტურდებოდეს და საერთო უნდა იყოს კახურისთვის, მაგრამ არ შეგვხვდა „გარეკახურ ლექსიკონში“.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი საკვლევი მასალის მოპოვება და ფრაზეოლოგიზმების კვლევა ამ მასალის გათვალისწინებით სასარგებლო და აუცილებელი უნდა იყოს, რადგან მიგვაჩნია, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებზე, რომლებიც დამკვიდრდა და გამოიყენება დღესდღეობით, რომლებიც დავიწყებას მიეცა ან დღესაც შემორჩა, კონკრეტულად, რომელი შესიტყვება შეიძლება ჩაითვალოს კილოკავის კუთვნილებად და საერთო ენობრივ ერთეულად დიალექტის დონეზე.

ლიტერატურა

მენტეშაშვილი 1943 – ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ონიანი 1966 – ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966.

სახლთხუციშვილი 2003 – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბ., 2003.

ორბელიანი 1991 – ს.ს. ორბელიანი, I ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

ორბელიანი 1993 – ს.ს. ორბელიანი, I ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

**Phraseological Units and Idioms of *soul, hand and leg*
in the Kisiq dialect of Georgian**

Summary

The paper examines semantic changes a number of phraseological units of *soul, hand and leg* have undergone in the Kiziq dialect of Georgian.

Some idioms connected to soul are no more in use (e.g.: *sulis aisçrapeba* meaning *hastening*), others have changed their metaphorical meaning, this is the case with *sulis ganzgnapva* which used to mean *to become silent*, but in current Kiziq has the meaning *to die*.

The idioms with *hand*: *xelis apçolaveba* used to mean *generosity, spending lavishly*; however, the meaning of the given phraseological unit have deteriorated; in current Kiziq it means *lifting one's arm, carrying out work badly*. The idiom *xelis ščra* used to mean *to misappropriate*, today it means *to gain profit from anything*.

The idiom with *leg* *pexis gaxsna* used to refer to *a person in mourning who leaves home for the first time*. In current usage it denotes a person who walks a lot.

ბიორგი ჟუჟარაძე, ციური ახვლედიანი

ინგლისურენოვან ნასესხობათა ალაბატაცია
ფრანგულ ენაში

უცხოურენოვანი ლექსიკის სესხების პროცესი ახასიათებს ენათა დიდ რაოდენობას. XXI საუკუნეში, ენათაშორისი სესხების მოვლენამ ჭეშმარიტად დიდ მასშტაბებს მიაღწია. ბოლო ათწლეულებში, სხვა ევროპულ ენებთან ერთად, ფრანგული ენაც განიცდის ინგლისურენოვანი სამყაროს ძლიერ ექსპანსიას.

ფრანგულ ენაში ანგლიციზმები არ არის ერთგვაროვანი და ისინი წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე: ლექსიკური ნასესხობები, ცალკეულ სიტყვამაწარმოებელ ელემენტთა სესხება, ინგლისურ საწარმოთქმო ჩვევათა გავლენა ფრანგული მეტყველების ჟღერადობაზე.

ინგლისურიდან ფრანგულ ენაში ნასესხები სიტყვები, შესაძლებელია, ეხებოდეს ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს: საყოფაცხოვრებო თემატიკიდან ტერმინოლოგიამდე. აღსანიშნავია, რომ სესხების პროცესში ენა პასიურად არ ითვისებს უცხო სიტყვას. სესხების პროცესის «კლასიკური» გაგებით, ინგლისური სიტყვა ეგუება ფრანგული ენის სისტემას და ხდება მისი ორგანული ნაწილი: **Bull-dog – bueldogue, baby – bébé**. თუმცა, დღესდღეობით, ფრანგულ ენაში შესული ყველა ინგლისური სიტყვა როდი განიცდის ადაპტაციის პროცესს; ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოცემული ენის მატარებელთა მიერ დროის ეკონომია და ასევე ინტერნეტსივრცის ჩარჩოებში ურთიერთობის განსაკუთრებული პირობები; მაგალითად: **blog, OK, Yes, twins, rich** და ა. შ. იხმარებიან ფრანგულ წერით მეტყველებაში იმავე ფორმით, როგორც ინგლისურ ენაში, თუმცა ზეპირმეტყველებაში ისინი მცირედი განსხვავებით წარმოითქმიან, ფონეტიკური სპეციფიკის ზეგავლენით.

თანამედროვე ფრანგული ენის ლექსიკის შევსება ხდება შემდეგი გზებით: მორფოლოგიურით – აფიქსალური გარდაქმნის

შედეგად; სემანტიკურით – სიტყვის მნიშვნელობის გადააზრების შედეგად; აბრევიაციის გზით; სიტყვაშეერთებითა და სიტყვა-თხზვით; სესხების გზით.

ანგლიციზმ-ნეოლოგიზმთა წარმოება ხშირად ხდება ფრანგული ენის იმავე ხერხებისა და სიტყვამაწარმოებელი მოდელეების გამოყენებით. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ფუძედ აღება ინგლისურენოვანი ლექსიკური ერთეული. აღსანიშნავია, რომ ლექსიკური ერთეულის სესხებისას, გარკვეული ხარისხით, ხდება წარმოთქმის სესხებაც. ფრანგულ ფონეტიკურ სისტემასთან «შეგუებისას» (შეთავსებისას) ინგლისური წარმოთქმა ტრანსფორმირდება: **Roast-beef** და **rosbif, beefsteak** და **bifteck**. ფრანგულ ენაში ბოლო მარცვალი მახვილიანია, ამიტომაც რიგ ინგლისურენოვან ნასესხობაში ხდება მახვილთა შერევა, რაც იწვევს ფონეტიკურ ცვლილებებს. ძირითადად, ასიმილაცია ეხება ცალკეულ ბგერებს, თუმც რიგ შემთხვევებში ფონეტიკური ასიმილაცია ხელს უწყობს მორფოლოგიურს: **Country-dance** და **contredanse**. ხდება ცვლილებები ნასესხები სიტყვის მნიშვნელობაში: **court** – ტენისის კორტი, თავდაპირველად იყო – სამეფო კარი. ნასესხები შეიძლება იყოს არა მარტო სიტყვები, არამედ ცალკეული სიტყვამაწარმოებელი ელემენტებიც: **couponing**.

შეიძლება გამოვყოთ პროდუქტიულ მოდელთა რიგი, რომელთა მიხედვითაც ანგლიციზმები ინტეგრირდებიან ფრანგული ენის ლექსიკო-გრამატიკულ სისტემაში:

1. ინგლისური ზმნა/არსებითი სახელი + ფრანგ. მოქმედი პირის აღმნიშვნელი სუფიქსი; მოქმედი პირის აღმნიშვნელი სუფიქსი **-eur** პროდუქტიულია ფრანგულ ენაში: **voyage – voyageur** («მოგზაურობა – მოგზაური»), **voyage – voyageur** («თამაში – მოთამაშე»). ეს მოდელი ასევე გამოიყენება ინგლისურენოვანი ნასესხობებისათვისაც: ანგლიციზმი «**low-cost**», ფრანგულ ენაში, ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს «**low-costeur**».

2. ინგლ. ზმნა + ფრანგ. მოქმედების სუფიქსი; სუფიქსი **-age** ფართოდ გამოიყენება ფრანგულ ენაში, ნაზმნარი არსებითი სახელების წარმოსაქმნელად, მოქმედების სახელწოდების მნიშვნელობით: **arroser-arrosage** «მორწყვა (ზმნა) – მორწყვა (არს. სახ.), **jardinier-jardinage** «ბაღის მოვლა – მეზღვრობა»; სემანტიკური დერივაციის ეს მოდელი გამოიყენება ინგლისურიდან ნასესხები

ზომებისაგან ნაზმნარი არსებითი სახელების წარმოებისათვის: **to stock-stockage**.

3. ინგლისური არსებითი სახელი + ფრანგული კნინობითი სუფიქსი; მაგალითად: **kitchenette** – «პატარა სამზარეულო», ჩაშენებული სასტუმრო ოთახში.

4. ინგლისური ზმნა + ფრანგული აფიქსი **-er**: **to blog-blogger, to chat – chatter**.

გამოვეოფთ ანგლიციზმთა სამ ტიპს:

1. ანგლიციზმები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ცვლილებებს ფრანგულ ეკვივალენტებში; ესენია ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ხნის წინ შემოსული სიტყვები: «**week-end**», «**football**» და სხვ.

2. ფრანგული ეკვივალენტებით შეცვლილნი: არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან **-ing**-ით, ფრანგული ენის სიწმინდის დამცველთა მხრიდან უარყოფილნი არიან, რადგან უცხოა ფრანგული ენის მორფოლოგიური სტრუქტურისათვის და ფრანგული წარმოთქმისათვის; თუმც, მაგ., ანგლიციზმ «**camping**»-ის შეცვლამ ფრანგული ეკვივალენტებით «**campisme**» და «**campement**» ვერ გაუძლო დროის გამოცდას. სხვა სინტაგმები, მაგალითად როგორებიცაა «**prime time**» ან «**scoop**» ფართოდ გამოიყენებიან, თუმც შესანარჩუნებლად «ბრძოლა უწევთ» ფრანგულ «კონკურენტებთან» – «**heures de grande écoute**» ან «**exclusivité**».

3. ახალგაზრდული ჟარგონის ანგლიციზმები – «**djeuns**» და «**hype**».

1994 წელს, კულტურის მინისტრმა ჟაკ ტუბონმა გამოსცა კანონი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენის დაცვას სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, ინფორმაციულ სივრცეში.

1964 წელს რენე ეტიემბლმა გამოაქვეყნა წიგნი «**Parlez-vous français?**», რომელიც ასახავს ფრანგული ენის «დანაგვიანებას» ინგლისურენოვანი ნასესხობებით.

ფრანგი მკვლევარი პ. სერტა მიიჩნევს, რომ ანგლიციზმები კი არ აზარალებენ ფრანგულ ენას, არამედ ამდიდრებენ მას ახალი ლექსიკური ერთეულებით, რომელთაგან უმეტესობა ადრე ნასესხები იყო ფრანგული ენიდან ინგლისურ ენაში.

ინგლისურ ტერმინთა დანერგვა ფრანგთა ყოველდღიურ ცხოვრებაში თანდათან იზრდება ციფრული ტექნიკის ახალი მოდელების გაჩენასთან ერთად, ასევე ინტერნეტში ახალ საიტთა

შექმნიდა და სოციალური ქსელების განვითარებით. **Smartphone, poke, cloud computing, smack** – ამ და სხვა უამრავ ახალ ტერმინს ანალოგი არა აქვს ფრანგულ ენაში. ხშირად გამოდის სარეკლამო რგოლები ინგლისურ ენაზე; მაგალითად, კომპანია **Dior**-ის სარეკლამო რგოლები შეიცავს შემდეგ ვერბალურ ინფორმაციას: **Gold is cold, diamonds are dead, a limousine is a car, don't pretend, just feel what's real, that's it. J'adore. J'adore... Dior.** ამ სრულად ინგლისურენოვან სარეკლამო რგოლში, სიტყვები «**j'adore**» „მე ვაღმერთებ“, რომლებიც წარმოადგენენ, იმავდროულად, კომპანია «**Dior**»-ის ახალი პროდუქტის სახელწოდებასაც – მხოლოდ ერთადერთი ფრანგული ელემენტია.

ამგვარად, ანგლიციზმთა აქტიური გამოყენება ასახავს ინგლისური ენიდან ნასესხობათა აუცილებლობას; ეს პროცესი, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ტრადიციულია, ანუ ანგლიციზმების გამოყენება, გარკვეული ხარისხით, დამკვიდრებულია ფრანგთა მენტალიტეტში. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დღეს ანგლიციზმები ერთ-ერთ უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენენ თანამედროვე ფრანგული ენის განვითარებისათვის.

ლიტერატურა

ეტიემბლი, 1964 – Etienne R. Parlez-vous français? Paris, 1964.

ლე მონდი – Le Monde, 07.10.1010.

სერტა, 2001 – Certa P. Le français d'aujourd'hui. Paris, 2001.

ვებ-გვერდები

<http://www.dior.com>.

<http://www.slate.fr/story/69533/francais-anglais-angliscismes->

Adaptation of English Borrowings in the French Language

Summary

An inter-language loan process has reached a truly large scale in the 21st century. In recent decades, along with other European languages, the French language has also been experiencing a strong expansion from the English-speaking world. The observations have proved that in the French language, Anglicisms are not homogeneous and are evidenced at different language levels, namely: lexical loans, borrowings of separate word-building elements, influence of English pronunciation patterns upon the French ones. The study has shown that today Anglicisms appear to be one of the most powerful and influential factors in the development of modern French.

თამარ შიშკაშვილი

აბსოლუტური და ფარდობითი დროის გამოხატვა
ტიპოლოგიურ ზრილში

დროის კატეგორია მრავალი მეცნიერული დისციპლინის კვლევის საგანია, მათ შორის ლინგვისტიკის კვლევის საგანიც.

დროის სემანტიკური თუ გრამატიკული ველის შესწავლისას მეცნიერების ვერც ერთი დარგი გვერდს ვერ აუვლის ლინგვისტური კვლევის შედეგებს (ჭიკაძე, 2012, 244).

ლინგვისტიკისათვის დრო ფუძემდებელი ფენომენია, რომელსაც ახასიათებს მოქმედება მისი მიმდინარეობის მომენტის შესაბამისად და შეისწავლება მის ენობრივ გამოხატულებაში (ბოლქვაძე, 2005, 42).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროის კვლევა ზღაპრის ენაში. ლინგვისტური დროის შესწავლა, როგორც ზოგადი სახის ფენომენი სხვადასხვა სისტემის ენათა ზღაპრებში (ქართული და ინგლისური) მსგავსება-განსხვავებათა დასადგენად. აწმყო, წარსული, მომავალი დროის ურთიერთმიმართების პლანის გამოვლენა შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით, რათა დადგინდეს ერთი და იმავე ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა, რომელიც არსებობს ორ სტრუქტურულად განსხვავებულ ენაში. ლინგვისტური დრო მოიაზრება, როგორც მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა ენობრივი დონის – ლექსიკის, გრამატიკისა და ტექსტის ელემენტებში.

ლინგვისტიკაში დროის ფენომენის ორგვარი გაგება არსებობს: აბსოლუტური და ფარდობითი. აბსოლუტური დროის ფორმების ცნებაში მოიაზრება მოქმედების მიმართება ტემპორალური სამგანზომილებიანი სისტემის მხოლოდ ერთ რომელიმე მონაკვეთთან.

წარსული აწმყო მომავალი



რაც შეეხება ფარდობითი დროის ფორმებს, მათი რეალიზაციის უცილობელ პირობად გვევლინება მოქმედების მინიმუმ ორი

პროცესის არსებობა, რომლებიდანაც ერთი მეორესთან გარკვეულ ტემპორალურ მიმართებაში იმყოფება. ამგვარი მიმართებების შედეგ სახეობებს არჩევენ: ერთი მოქმედება უსწრებს მეორეს, მოსდევს ან ემთხვევა მას. ასეთი ფარდობითობა აღინიშნება როგორც აწმყო, ისე წარსულ და მომავალ დროებში. ფარდობითობა დროის ფორმებში განისაზღვრება ერთი დროის მიმართებით მეორესთან (აბულაძე, 1986). ტემპორალურობა როგორც დეიქტიკური კატეგორია აღნიშნავს ამა თუ იმ დროითი განზომილების მიმართებას სუბიექტთან.

ისეთ ენას, რომლის ტემპორალური სისტემა ექვემდებარება აბსოლუტურ და ფარდობით, ანუ რელატიური დროის ფორმებად დანაწევრებას, ეკუთვნის ინგლისური ენა. დეკლარკის თეორიის თანახმად, ინგლისურში გვაქვს როგორც აბსოლუტური დროის, ისე რელატიური დროის ფორმები.

Absolute time forms აბსოლუტური დროის ფორმები	Relative time forms რელატიური დროის ფორმები
Present – აწმყო	Past perfect (past in the past) წარსული სრული დრო (პერფექტი)
Past – ნაშე	Conditional პირობითი კავშირიანი ფორმები
Present perfect აწმყო სრული დრო (პერფექტი)	
Future – მომავალი	

დეკლერკი განასხვავებს აბსოლუტურ და ფარდობით დროებს. მისივე თქმით, აბსოლუტური დრო გამოხატავს „უშუალო ტემპორალურ კავშირს ტემპორალურ ნულოვან წერტილთან (=t0)“ (დეკლერკი, 2006, 25).

რაც შეეხება ფარდობით დროს, ის გამოხატავს ცალკე ტემპორალურ კავშირს ვითარებით და მიმართებით დროებს შორის. შესაბამისად, ფარდობითი დრო გამოიხატება შემდეგი ტემპორალური მიმართებებით (დეკლერკი, 2006, 25).

Anteriority წინადროულობა	როდესაც, ვითარების დროს უსწრებს მიმართულების დრო.
---	---

Simultaneity თანადროულობა	როდესაც, ვითარების დრო ემთხვევა მიმართულების დროს.
Posteriority შემდეგდროულობა	როდესაც, ვითარების დროს მოსდევს მიმართულების დრო.

ფარდობითი დრო აბსოლუტური დროის ანალოგიურად მიმართებაშია რეალობის საგნებთან და მისგან განსხვავებით დამატებით ასახავს ერთი მოქმედების მეორესთან მიმართებასაც (ბოლქვაძე, 2005, 44).

კვლევამ გვიჩვენა, რომ ინგლისურ ზღაპრებში ფარდობითი დრო სამსაფეხურიან ორიენტაციას იძლევა. კერძოდ:

წინადროულობა – anteriority ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოხატულია მაშინ, როდესაც მიმართულების დრო მოცემულ შემთხვევაში past perfect (წარსული პერფექტი) წინ უსწრებს past simple (მარტივი დროით გამოხატულ) ვითარების დროს.

Past perfect(Past in the past) + past simple (წარსული პერფექტი + მარტივი წარსული)

„He **had** long grey hair, and his teeth were curling out of his mouth, and his finger-and toe-nail**had not been** cut for many thousand years“
<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„გრძელი თეთრი თმა მხრებამდე სცემდა, უშველებელი ღოჯები მოუჩანდა, ხელებზე კი იმ სიგრძე ფრჩხილები გაზრდოდა, თითქოს ათასი წელია არ დაუჭრიაო“ (მათიკაშვილი, 1983, 110).

მოცემულ მაგალითში მოქმედება, რომელიც გამოხატულია სრულყოფილი წარსული დროით – **had not been**, წინ უსწრებს მეორე მოქმედებას წინადადებაში **had** წარსულ მარტივ დროს.

თანადროულობა – simultaneity ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში გამოხატულია იმ დროს, როდესაც ვითარების დრო ამ შემთხვევაში past simple (მარტივი წარსული) და მიმართულების დრო past simple, ასევე მარტივი წარსულის ფორმით გადმოცემული დრო ინგლისურ ზღაპრებში ემთხვევა ერთმანეთს. თანადროულობა, რომელიც ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში წარსული განუსაზღვრელი ფორმით გვხვდება თხრობისას ხშირად გამოიყენება.

Past simple+ past simple (წარსული განუსაზღვრელი + წარსული განუსაზღვრელი)

„So Valentine **took** the right, and Oliver **went** straight on, and poor Jack **took** the left“

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>


„უფროსმა – ვალენტინმა მარჯვნივ გაუხვია, საშუალო ძმა – ოლივერი პირდპირ წავიდა, ხოლო საწყალი ჯეკი გზას დაადგა, რომელიც მარცხნივ მიდიოდა“ (მათიკაშვილი, 1983, 108).

შემდეგდროულობა – posteriority ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში past simple (მარტივ წარსულს) მოსდევს მოდალური ზმნა would + ინფინიტივი. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია ინგლისურში გამოიყენება მომავალი დროის გადმოსაცემად.

„I **thought** you would have guns with you, and that you **would not mind** killing me if you saw me“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ვიფიქრე, ამათ თოფი ექნებათ და თუ შემნიშნეს, ნამდვილად მესვრიან-მეთქი“ (მათიკაშვილი, 1983, 120).

ინგლისურში ფარდობითი ანუ რელატიური დროის ფორმებს მიეკუთვნება Conditional – პირობითი კავშირიანი წინადადებებიც. გამოიყოფა სამი ტიპის პირობითი წინადადება (ზამბახიძე, 2008, 179).



პირობითი წინადადებები ინგლისურში შედგება ისეთი მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან If კავშირით, დამოკიდებული წინადადება

გამოხატავს მოქმედების რეალურ და არარეალურ პირობითობას ახლანდელ, წარსულსა და მომავალ დროში (ზამბახიძე, 2008, 179).

ჩვენ მიერ განხილულ ინგლისურ ზღაპრებში უმეტესად დასტურდება პირველი და მეორე ტიპის რეალური და არარეალური დროის გამოხატველი პირობითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებშიც ერთმანეთთან მიმართებით ორი სხვადასხვა დრო იკვეთება. მის გამოსახატავად პირველი ტიპის მთავარ წინადადებაში ზმნა გვხვდება **will – მომავალ დროში**, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა **present simple tense – აწმყო დროშია**. მეორე ტიპის მთავარ წინადადებაში გვხვდება **would + მარტივ ინფინიტივში (indefinite infinitive)**, ხოლო დამოკიდებულში – **past simple tense – წარსულ დროში**.

Future simple + present simple (მომავალი + აწმყო)

„You will have to leave your own horse here with me until you come back again, and tell me everything about how you get on“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

„ცხენის დატოვებაც მოგიხდება, ფიქრი ნუ გაქვს, თვალის ჩინივით გავუფრთხილდება, როცა უკან გამოივლი, მაშინ წაიყვან და შენს ამბავსაც მომიყვები“ (მათიკაშვილი, 1983, 110). მოცემულ (1) წინადადებაში დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება (until - ვიდრე) კავშირით.

Future simple + past simple (მომავალი + წარსული)

„I would go if I had a new dress to wear“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/fairbrowntrembling.html>

თუმცა ასეთი ტიპის წინადადებებში ინგლისურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება ჯერ წარსული და შემდეგ მომავალი.

„Gobborn Seer could see she was a witty woman, and he asked her if she would marry his Jack“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html>

„როცა გობორნი საბოლოოდ დარწმუნდა, ამაზე ჭკვიან ქალს ჩემი შვილი ვერსად ნახავსო, ჰკითხა: ჯეკს თუ გაჰყვები ცოლად“ (მათიკაშვილი, 1983, 105).

„You stupid,' said his witty wife, 'if you had told a tale you would have shortened the road!“ <http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html>

„მერე, შე სულელო, უნდა გეამბნა რაიმე და გზაც შემოკლდებოდა“ (მათიკაშვილი, 1983, 105).

მოცემულ მაგალითებში წინადადებები ერთმანეთს უკავშირდება **if** კავშირით.

აბსოლუტური და ფარდობითი ლინგვისტური დროის ფორმები სხვადასხვა ავტორთან მოიხსენიება განსხვავებული ტერმინებით: პირდაპირი-დამოუკიდებელი, არაპირდაპირი-მიმართებითი დროის ფორმები (ვებერი, 1954), (ფურცელაძე, 2001). აბსოლუტური ლინგვისტური დრო გარკვეულ მიმართებაშია მეტყველების მომენტთან. როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი დრო გულისხმობს გარკვეული სახის მიმართებებს. ერთ შემთხვევაში მიმართებები მყარდება უშუალოდ მეტყველების მომენტთან, მეორეში სხვა რომელიმე მოქმედების მიმდინარეობის დროსთან. შესაბამისად, მართებული იქნებოდა პირველ შემთხვევაში გამოგვეყენებინა ტერმინი „დრო“ მისი უზუალური გაგებით, ხოლო მეორეში მიგვემართა ბლუმფილტისეული ცნებისათვის „ტაქსისი“, რომელიც სრულად შეესაბამება შანიძის ტერმინს „თანამდევრობა“ (შანიძე, 1973).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დრო მიჩნეულია ზმნის ისეთ გრამატიკულ კატეგორიად, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უზნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება ან უზნობის მომენტში, ან სხვა დროს (შანიძე, 1973, 198). დროული გამოხატვა მოქმედებისა იმაზეა დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ამბავი, რომელიც კი მომხდარა, ხდება, თუ უნდა მოხდეს, გადმოცემულია მოუბრის თვალსაზრისით და უზნობის მომენტთან მისი შეფარდებით (შანიძე, 1973, 198).

ქართულ ხალხურ ზღაპრებში თხრობა ძირითადად წარსული დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით მიმდინარეობს, რაც ზღაპრის ენისათვის ყველაზე დამახასიათებელი სტილია.

„სასახლის წინ, როგორც ყველა ხელმწიფეს, იმასაც საუცხოო ბაღი ჰქონდა გაშენებული. ბაღი სავსე იყო უცხოური და ნაირ-ნაირი ხილით, ყვავილებით და ხელმწიფე ძალიანაც უფრთხილდებოდა“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 145).

„იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი. ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე, მაგრამ ცოლი არა ჰყავდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ახალგაზდა და თანაც მთლად მზეთუნახავი ქალი მოეყვანა“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 161).

„მოჯამაგირემ გამოუშვა ხარები და გაირეკა საბალახოდ. მინდორში რომ გავიდა, დაკლა რომელიც უფრო კარგი ხარი იყო, გაა-

ტყავა, შეწვა მწვადები და ვინც კი ახლომახლო იყო, ყველა დაპატი-
ჟა. ბატონი ელოდა მოჯამაგირეს, ელოდა და, რომ აღარ დაბრუნდა,
თვითონ წავიდა ამბის გასაგებად“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 272).

მაგრამ ქართულ ხალხურ ზღაპრებში წარსულ დროს ხშირ შემთხვევაში მოსდევს ზოგადი აწმყო. ფაქტობრივად, ესაა აწმყოში მომხდარი მოქმედების წარსულში გადატანა:

წარსული + აწმყო:

„შევსხედით ცხენებზე და წავედით, მივედით სახლთან, მაგრამ ვერც ჭადარი შევარხიეთ და ვერც კარებად აფარებულ გორას ვუყავით ძვრა. ვდგავართ პირშერცხვენილები და აღარ ვიცით, რა ვქნათ. ამასობაში თვითონ დევიც მოვიდა, ნახა, რომ არც ცეცხლი ანთია და არც ხმიადია გამომცხვარი და ზავშვივით დაგვტუქსა“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 496).

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. მინდორს არც თავი უჩანდა, არც – ბოლო. დგას ასფურცელა და იყურება აქეთ-იქით, აღარ იცის, რომელ მხარეს წავიდეს. ბოლოს ადგა, მოზიდა მშვილდი და ისარი გაისროლა, – სადაც ეს ისარი დეცემა, ჩემი ბედიც იქ იქნებაო“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 527).

„ქალმა გადააგდო სავარცხელი და მათ უკან გაუვალი ბუჩქნარი და ნარ-ეკალი აიყარა. მირბის დევი ქშენით და მისთელავს ნარ-ეკალს, ხელ-ფეხი და თავ-პირი მთლიანად დაეკაწრა, ნაკაწრებიდან სისხლი ღვარად ჩამოსდის“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 532).

„რამა ახლა სარკე გადააგდებინა ქალს და დევის სავალი გზა სულ ლურჯი ყინულით დაიფარა. მირბის დევი, ყოველ ნაბიჯზე იქცევა, ფეხი უსხლტება, დაიბეგვა, დაიჟეჟა, მაგრამ საბოლოოდ ნაპირს აქაც გააღწია“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 532).

„დაბრუნდნენ ძმები სანადიროდან და რას ხედავენ – ბანზე უღელი აყუდია. ჩვენს დედას ისევ ვაჟი გასჩენიაო, თქვეს და სახლამდეც აღარ მისულან, ეგრევე გაბრუნდნენ უკან და გადაიკარგნენ“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 538).

„კიმოთემ გაშალა სუფრა და ღვინოც ბლომად მოიტანა. მგზავრი ჭამს საჭმელს და კიმოთე ღვინოს უმარჯვებს. იმდენი ასვა, იმდენი, რომ მგზავრს თავი ჩამოუვარდა, სუფრის გვერდით გაიშოტა და ხვრინვა ამოუშვა“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 580).

განხილულ ქართულ ხალხურ ზღაპრებში ასევე დასტურდება **აწმყოსა და წარსული დროის** ერთიანი პლანი.

აწმყო + წარსული.

„მიხტის ქალი და მისდევს ხალიჩა. ირბინა ქალმა და იცურა ხალიჩამაც, გაათავეს მინდორი და ბოლოს ერთ უშველებელ კლდეს მიადგნენ. ქალმა ისკუპა და ამ ცაში აწვდილ კლდეს ბუმბულივით გადაეველო“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 491).

„უყურებს უფლისწული და ხედავს, რომ მის ქვეშ გაფენილი ვარდი უკვე ჭკნება, სტუმრის ქვეშ ნაფენ ვარდს კი ჭკნობა ჯერ ოდნავადაც არ დასტყობია – ისევ ღაღანი გააქვს. ღვინოც ასევე – თუმცა უფლისწული ბევრს აძალბებდა და ქალი თვითონაც ყოველ თასს ცლიდა მაგრამ დათრობისა არაფერი ემჩნეოდა. იმიტომ რომ, მიაწვდიდა თუ არა სასმისს უფლისწული, ქალი რაშს გადახედავდა, - ჩემო შავჩიტავ, გამოსო, - იტყოდა და დალევდა. რაში თვრებოდა, თვითონ ფხიზლად რჩებოდა“ (ხალხური ზღაპრები, 1976, 532).

ქართულ ხალხურ ზღაპრებში თხრობის დროს ფიქსირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც წარსული დროის წყვეტილის მწკრივის ფორმით გამოხატული ზმნების გვერდით გვხვდება მომავალი დროის მყოფადის მწკრივის ზმნები.

წარსული + მყოფადი:

ჩავარდა ბატონი საგონებელში: რა ქნას, რით მოიშოროს თავიდან აბეზარი მოჯამაგირე. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ასეთ ხერხს მიმართა: ერთ დღეს წაიყვანა თავისი ცოლი ტყეში, ხეზე შესვა და უთხრა: - მე ჩვენს მოჯამაგირეს სანადიროდ წამოვიყვან და აქეთ ამოვატარებ, როცა დაგიახლოვდებით, სამჯერ „გუგუ“ დაიძახე. მოჯამაგირე იფიქრებს, ყავლი გამსვლიაო და წავა, თორემ სხვანაირად თავიდან ვერ მოვიშორეთ და დაგვლუპავსო (ხალხური ზღაპრები, 1976, 273). აბსოლუტური გაგებით დრო წარსული ფორმით გვხვდება, მაგრამ შემდგომ წინადადებებში, მომავალი დრო იჩენს თავს და როგორც რელატიური დროის მნიშვნელობით მიემართება წარსულ დროის ფორმას.

ამრიგად, ანგარიშგასაწევია მოსაზრება, რომ დროთა ურთიერთობისას განხილული საანალიზო მასალა ეთანადება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დრო არის არა გრამატიკული კატეგორია, არამედ სემანტიკური კატეგორია (გოგოლაშვილი, 1988).

ქართულ და ინგლისურ ხალხურ ზღაპრებში დადასტურდა დროთა შემდეგი ურთიერთმიმართების პლანი.

ქართული ხალხური ზღაპრები	ინგლისური ხალხური ზღაპრები
აწმყო - წარსული	Past simple – past perfect წარსული - წარსული პერფექტი
წარსული - აწმყო	Past simple – past simple წარსული - წარსული
წარსული - მყოფადი	Past simple – would + infinitive წარსული - მომავალი
წარსული - წარსული	Future simple – present simple მომავალი - აწმყო
	Would + infinitive – past simple მომავალი - წარსული

ამრიგად, კვლევამ გვიჩვენა, რომ ორი სხავადასხვა სისტემის მქონე ენის ზღაპრების შინაარსში დროთა თანამიმდევრობა გამოხატულია შემდეგნაირად: ქართულ ხალხურ ზღაპრებში დროთა თანამიმდევრობა გამოხატულია დროის შემდგომ მომენტთან ან სხვა მოქმედებასთან, რომელიც ემყარება თანადროულობასა და შემდეგდროულობას, ხოლო ინგლისურ ზღაპრებში დროთა მიმართება ემყარება სამ დიფერენციალურ ნიშანს – წინადროულობას, თანადროულობასა და შემდეგდროულობას.

ლიტერატურა

აბულაძე, 1986 – ლ. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXV, თბ. 1986.

ბოლქვაძე, 2005 – თ. ბოლქვაძე, დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XX, თბ. 2005.

გოგოლაშვილი, 1988 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), „მერიდიანი“, თბ. 2011, თ. III, დრო-კილოთა სისტემა.

ზამზახიძე, 2008 – ზამზახიძე, ინგლისური ენის გრამატიკა, თბილისი: გამომცემლობა „ეგრისი“, 2008.

მათიკაშვილი, 1983 – მათიკაშვილი, ინგლისური ზღაპრები. გამომცემლობა „ნაკადული“, თბ. 1983.

შანიძე, 1973 – ა. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“ თსუ გამომცემლობა, თბ. 1973.

ხალხური ზღაპრები, 1976 – „იყო და არა იყო რა“ გამომცემლობა „ნაკადული“, თბ. 1976.

ჭიკაძე, ცისკარიშვილი, 2012 – რ. ჭიკაძე, მ. ცისკარიშვილი, აბსოლუტური და რელატიური დროის ურთერთმიმართება (ვახური დიალექტისა და წოვა-თუმების ქართული მეტყველების მიხედვით), საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, №2, 2012.

დეკლერკი, 2006 – Declerck Renaat, The Grammar of the English Tense System: a Comprehensive Analysis. Berlin: Mouton de Gruyter.

დეკლერკი, 1991 – Declerck Renaat, Tense in English: Its Structure and Use in Discourse. London: Routledge.

ვებერი, 1954 – Weber, Das Tempussystem des Deutschen und des Französischen, Bern.

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/kingengland.html>

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/celtic/fairbrowntrembling.html>

<http://www.surlalunefairytales.com/authors/jacobs/moreenglish/gobborn.html>

TAMAR SHIUKASHVILI

**A Typological Study of the Ways of Expressing
Absolute and Relative Time**

Summary

The paper examines the means of expressing absolute and relative time in Georgian and English folk tales.

The analysis of the folk tales has revealed a number of similarities and differences between the Georgian and English data.

In the folk tale narratives the sequence of time is conveyed in the following ways: in Georgian folk tales it is expressed by means of **Simultaneity** and **Posteriority**, while in the English data the sequence of time is based on three differential signals: **Anteriority, Simultaneity, and Posteriority**.

ელენა ცაცუა

სამეტყველო აქტთა ლინგვისტური რეალიზაციის
თავისებურებანი სასამართლო დისკუსიაში

სიმართლისა და ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთ ყველაზე ადმატებულ ფორმას საზოგადოებაში წარმოადგენს სასამართლო პროცესებზე განხორციელებული ვერბალური კომუნიკაცია. შესაბამისად, სასამართლო დისკურსი საინტერესოა თავისი პრაგმატულ-ლინგვისტური გამოვლინებებით, რაც კარგად გამოიხატა სამეტყველო აქტებზე დაკვირვების დროს. ლინგვისტური საშუალებების განხილვისას ყურადსაღებია ილოკუციური ძალის გათვალისწინება, რომელიც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აღნიშნული ძალის რეალიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზე არის გათვლილი.

ჯ. ოსტინის და ჯ. სერლის თეორიები სამეტყველო აქტთა შესახებ (ოსტინი 1962; სერლი 1969) კარგად გადმოსცემს იმ მიზან-შესაძლებლობებს სამეტყველო აქტების გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც გვეხმარება დადგინდეს ვერბალური ცნებებისა და ფაქტების ლოგიკური ან პრაგმატული მიზეზ-შედეგობრიობა.

ჯ. ოსტინმა გამონათქვამების საკომუნიკაციო ეფექტი სამ ასპექტად ჩამოაყალიბა. ესენია: ა) ლოკუცია; ბ) ილოკუცია; გ) პერლოკუცია

ა) ლოკუცია ანუ ლოკუციური აქტი არის (Locutionary Act) გამონათქვამის პროპოზიციული შინაარსი.

ბ) ილოკუცია ანუ ილოკუციური აქტი (Illocutionary Act) არის გამონათქვანის პროპოზიციული მნიშვნელობა, რომელიც კომუნიკაციის პროცესში იძენს სპეციფიკურ პერლოკუციურ ძალას – პრაგმატულ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება თავდაპირველი პროპოზიციული მნიშვნელობის სრულიად საპირისპირო იყოს და რომელიც ეხება სიტყვების მიღმა არსებულ ინტენციას ან გამონათქვამის ძალას.

გ) პერლოკუციური აქტი (Perlocutionary Act) არის ცალკეული ილოკუციური ძალის მქონე გამონათქვამი, რომელიც გათვლილია გარკვეულ პერლოკუციურ ეფექტზე, რაც გულისხმობს ადრესატზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას.

ოსტინისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ილოკუციაზე აქცენტის გაკეთებას, ამიტომ გამოყოფს სამეტყველო აქტების ხუთ ტიპს. მას შემდეგ, რაც ოსტინმა დაიწყო სამეტყველო აქტებზე მუშაობა, მეცნიერები ცდილობენ გადახედონ და გაამარტივონ მისი თეორიები. აქამდე ვინც წარმატებით გაართვა თავი ამ საკითხს, არის ჯონ სერლი – ოსტინის მოწაფე ოქსფორდის უნივერსიტეტში. მან ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა სამეტყველო აქტების სისტემურობა.

მოგვიანებით სერლი აღრმავებს სამეტყველო აქტების კვლევას და გამოყოფს კლასიფიკაციისათვის საჭირო 12 ნიშანს, რომლებიც შემდეგ ოთხ ძირითად მახასიათებლამდე დაჰყავს. ესენია:

– სამეტყველო აქტების ილოკუციური არსი (Illocutionary point), რომელიც წარმოგვიდგენს რეალობას ამა თუ იმ სახით.

– სამეტყველო აქტების გამოყენების დროს შესაბამისობის მიმართება (Direction of fit): განსაზღვრავს ენის შესაბამისობას რეალობასთან ან პირიქით. ადამიანთა ვერბალური აქტივობა პოტენციურად მანინგ შეესაბამება იმ გარე სამყაროს, სადაც ვცხოვრობთ და ცვლის მას. ხოლო ცვლილებები ხორციელდება სამეტყველო აქტების გამოყენების საფუძველზე. ნებისმიერ სამეტყველო სიტუაციაში ინდივიდებს აქვთ სხვადასხვა ინტენცია და სამეტყველო აქტებმა, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ, უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ინტენცია, როგორც „მოსამზადებელი პირობა“ (preparatory condition).

– სამეტყველო აქტს საფუძველად უდევს გარკვეული პროპოზიციული შინაარსი.

– სამეტყველო აქტი გამოხატავს ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

ზემოთქმულის საფუძველზე სერლი გამოყოფს სამეტყველო აქტების შემდეგ ხუთ ტიპს:

1. რეპრეზენტატივი/ასერტივი (Representative/Assertive) არის სამეტყველო აქტის ტიპები, რომელთა არსიც არის საქმის ვითარების აღწერა და წარმოდგენა; ის ჭეშმარიტების მაჩვენებელი აქ-

ტებია, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის შეხედულებას რაიმე ვითარებისადმი, ამ სამეტყველო აქტში ვერბალური ქმედება უნდა შეესაბამებამბოდეს გარე სამყაროს (სერლი 1980; Cutting 2002).

2. დირექტივა (Directives) არის სამეტყველო აქტი, რომელიც ორიენტირებულია ადრესატზე, რადგან ადრესანტი ადრესატის მეშვეობით ცდილობს შეცვალოს გარე სამყარო (სერლი 1980; Cutting 2002). დირექტივები გამოხატავენ ადრესატის სურვილებს.

3. კომისივის (Commissive) არსი არის მოსაუბრის მიერ ვალდებულების აღება და შესრულება. ის უზიძგებს მოსაუბრეს მომავალი მოქმედებისაკენ (სერლი 1969; Yule 1996). კომისივით გამოხატული მოქმედებები შესაძლოა მოსაუბრემ შეასრულოს მარტომ ან როგორც ჯგუფის წევრმა. კომისივი განსხვავდება სიძლიერის მიხედვით.

4. ექსპრესივის (Expressive) არსია გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოხატვა (სერლი 1980; Cutting 2002); განახვავებენ ორი ტიპის ექსპრესივს: ერთი ტიპის ექსპრესივი გამოხატავს მოსაუბრის მორალურ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე ტიპის – ემოციურ ქმედებას.

5. დეკლარაციის (Declaration) მიზანია შეცვალოს ვითარება გარე სამყაროში. დეკლარაციის აუცილებელი პირობაა, რომ ვერბალური ქმედება ავტორიტეტის მქონე პიროვნებამ განახორციელოს. დეკლარაცია ბადებს ახალ ვითარებას ან მდგომარეობას და ცვლის სამყაროს მეტყველი სუბიექტის შესაბამის სოციალურ კონტექსტში (სერლი 1969, ჰეჩი, 1992).

სერლი ასევე გამოყოფს ექსპლიციტურ და იმპლიციტურ აქტებს. ექსპლიციტური/პირდაპირი სამეტყველო აქტის შემთხვევაში ხდება ინფორმაციის სიტყვასიტყვითი გადაცემა მოქმელის მიერ, ხოლო იმპლიციტური/არაპირდაპირის შემთხვევაში არის მინიშნებები. არაპირდაპირი გზით გამოხატულების შემთხვევაში, სტრუქტურასა და ფუნქციას შორის შესაბამისობა არაპირდაპირია (Yule 1996; Krekel 1981).

სამეტყველო აქტებზე დაკვირვება და მასში გადმოცემული „ილოკუციური“ ძალა მიზნად ისახავს კომუნიკაციის ინტენციის და მისი გავლენის დადგენას ადრესატზე, რაც ადრესანტსა და ადრესატს შორის ფონისეული ცოდნის ფონზე ხორციელდება.

ინგლისური და ქართული ენების ემპირიული მასალის შედარებითი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამეტყველო აქტ-

თა გამოყენების სიხშირე და მათი ურთიერთმიმართება თითქმის იდენტურია ორივე ენაში. ნათლად ჩანს, რომ სამეტყველო აქტები – რეპრეზენტატივი და დირექტივა რაოდენობრივად ჭარბობენ სხვა დანარჩენ აქტებთან შედარებით. კომისივი პირდაპირი დაკითხვისგან განსხვავდება პროცენტული მაჩვენებლით. იგი ჯვარედინი დაკითხვის ქართულ მასალაში უფრო მეტი რაოდენობით გამოიკვეთა, ხოლო ინგლისურ ვარიანტში პირდაპირ დაკითხვაში ჭარბობდა. ექსპრესივი და დეკლარაციაც თითქმის მსგავსი პროცენტულობით აღინიშნა.

***პირდაპირი დაკითხვა (პდ) და ჯვარედინი დაკითხვა (ჯდ)
ემპირიული მასალის ინგლისურ ვერსიებში A = Answer;***

Q = Question;

რეპრეზენტატივი

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესებზე მხარეების მთავარი მიზანია, მოწმეებისგან მიიღონ ფაქტობრივი ინფორმაცია (მოჰყავთ წარსული ფაქტები), რომლის გადმოცემის დროს ისინი ხშირად მიმართავენ ვერბალურ ქმედებებს, როგორცაა: მწამს (believe), ვიცი (know), მახსოვს (remember, recollect), ვფიქრობ (think) და სხვ. ასევე ვხვდებით რეპრეზენტატივის ტიპის ზმნების მრავალფეროვან ტიპებს. ისინი სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით ან პერფორმატიული ზმნების გარეშე არის გადმოცემული. ამიტომ ეს მასალა ორ ტიპად წარმოვადგინე. კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო დისკურსში პროცენტული მაჩვენებლით დომინირებს რეპრეზენტატივის სამეტყველო აქტი.

პერფორმატიული ზმნის შემცველი პირდაპირი რეპრეზენტატივები ქართულ ენაში შეგვხვდა: ვიცი/არ ვიცი, თუ არ ვცდები, ვვარაუდობ; ინგლისურ ემპირიულ მასალაში მოცემულია შემდეგი ზმნებით: believe, think, know, remember, have recollection (recollect), represent.

განვიხილავ მოცემულ მაგალითებს:

(1) „პროკურორი: როდის გამოართვა (აიპოდი), **თქვენ იცით?**

(პდ)

მოწმე: დაახლოებით, **თუ არ ვცდები** (რეპრეზენტატივი) ჩვენ ესე გვითხრა, ერთი კვირის წინ.

პროკურორი: კაი, თქვენი იქ მისვლა რითი იყო განპირობებული, თვითონ მარტო რომ მისულიყო ურიგო იქნებოდა? (დირექტივი)

მოწმე: **არ ვიცი**, (რეპრეზენტატივი) ესე ამბობდა, რომ თუ შეგიძლიათ, გადმომყევითო, მეგობარი იყო და ჩვენც გადავყევით. ნუ, რატო გვთხოვა, ეს აღარ ჩავეძიეთ.

მოცემულ მაგალითში პროკურორის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომლის ინტენციაც არის, რომ მოწმეს ათქმევინოს ის, რაც მას სურს, მოწმე პასუხობს მიახლოებითი კონტექსტით: **„დაახლოებით, თუ არ ვცდები“**, **„არ ვიცი“** – ფაქტიურად ამ კონკრეტულ მაგალითში პერლოკუცია ვერ განხორციელდა. ამის მიზეზია ის, რომ პროკურორი კვანძის გახსნისკენ ნელ-ნელა მიიწევს, რაც ჩანს მის შეკითხვებშიც: „თქვენ იცით?“ კითხვითი ფორმის რეპრეზენტატივი და როცა ვერ მიიღო სრული პასუხი, აქვე იყენებს თანხმობით ფრაზას: „კაი“ ანუ რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი ეტაპი გავიარეთ, გადავდივართ მეორეზე.

ინგლისური ვარიანტის შემდეგ მაგალითში რეპრეზენტატივის ტიპის სამეტყველო აქტები კარგად გამოიკვეთა პერფორმატიული ზმნით. ჯეიმს ერლ რეი, რომელიც იყო მსჯავრდადებული მარტინ ლუტერ კინგის მკვლელობაში, თავის სასამართლო პროცესზე ამბობს, რომ მას რამდენიმე მეტსახელი ჰქონდა და პირველად მან მექსიკაში შეიცვალა სახელი. ერლ რეი თავის მოსაზრებას ამყარებს პერფორმატივით: **I believe, I think** რითაც ცდილობს სასამართლო დააჯეროს თავისი ნათქვამის სიცხადეში.

(2) „Q: Probably the first one (aliases) I used was in Mexico in 1955, **I believe it was. I think**I used James O'Connor“ (კდ)

ჯვარედინი დაკითხვის დროს ხდება იმავე ინფორმაციის გადამოწმება სასამართლოზე მეორე მხარის მიერ. რადგან შეკითხვები არის ინფორმაციული, ადრესატს უმეტესწილად Yes/No – დიახ/არა პასუხი უწევს. ამიტომ ხშირია Tag Question / კუდი კითხვების ტიპის წინადადებების გამოყენება. ქართულ ვარიანტში ჯვარედინი დაკითხვის იურისტები ხშირად აკეთებენ მოწმის გამონათქვამის პერიფრაზს და ძირითადად უსვამენ პირდაპირ კითხვებს.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში, რომელიც არის იურისტის პასუხი მოწმის გამოთქმულ აზრზე, რომ ანაბეჭდები გადადის ერთი მხარიდან მეორე მხარეზე, იურისტი იყენებს პერფორმატი-

ულ ზმნას: (მე) „ვიცი“ მხოლოდითი რიცხვის, პირველი პირის რეპრეზენტაცივს, და ამტკიცებს, რომ მან ეს იცის. შემდგომში უკვე იყენებს იმავე ზმნას: (ჩვენ) „ვიცით“ მრავლობითი რიცხვის პირველი პირის პერფორმაცივს. ზმნის მსგავსი ცვლილება ინკლუზიურ ფორმაში ხშირად მეორდება სასამართლოზე, რადგან ასეთი ფორმების გამოყენებისას იურისტი მიუთითებს სასამართლოს ძალაუფლებაზე შეფარვით. მრავლობითი „თ“ რიცხვის ნიშანი აძლიერებს იურისტის პროპოზიციულ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ მოწმეს არა მხოლოდ ის, არამედ მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები უსმენენ და მათ მოწმის მიერ გამოთქმული შეხედულება კარგად აქვთ შესწავლილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწმემ ვერ გადმოსცა სრულყოფილად სათქმელი, რაზეც იურისტი კიდევ ერთხელ ითხოვს დამატებით პასუხს „ძალაუფლების“ გამოყენებით.

(3) (ჯდ) „...არა, **ეგ ვიცი**(რეპრეზენტაცივი)... **ვიცით, რომ გადადის ქალბატონო... ყველამ კარგად ვიცით ეგ** (რეპრეზენტაცივი), მაგრამ მე მინდა ახსნა... მე მინდა ახსნა იმის, რომ... მე მინდა თქვენი ხედვა იმის, (კომისივი) რომ...“

ქვემოთ მოცემულ მაგალითში იურისტი კითხვას უსვამს მოწმეს, რომლითაც ითხოვს დეტალების დადასტურებას.

(4) „Q: Mr. King, when you met the first time with Mr. Jowers, he apologized to you for any part he may have played in this, **didn't he?**

A. **Yes, he did.**“ (რეპრეზენტაცივი) (ჯდ)

ხშირია რეპრეზენტაცივის გადმოცემა პერფორმაცივით, რაც აზრის გამყარების ერთგვარი საშუალებაა. პერფორმაცივის გზით კიდევ უფრო გაძლიერდა იურისტის მიერ გადმოცემული პროპოზიციული აზრის არსებობა, რაზეც მოწმე პასუხობს დადებითად. ინტენცია გამართლდა.

(5) „Q. **I believe** (რეპრეზენტაცივი) he also told you that he was -- he had an agreement or had been asked by Mr. Liberto to handle some money and he had handled money before on other occasions before this. **Do you recall that?** (რეპრეზენტაცივი)

A. **Yes, I do.**“ (რეპრეზენტაცივი) (ჯდ)

დირექტივა

დირექტივები რიგითობით რეპრეზენტაცივს უტოლდება. შეიძლება ითქვას, რომ იგი სასამართლო პროცესზე, ზოგ შე-

მთხვევაში, დომინანტი სამეტყველო აქტია ინტენციის მისაღწევად. დირექტივების გამოყენებას უმეტესწილად ცდილობენ იურისტები ან მოსამართლეები, რომლებიც წარმართავენ სასამართლო პროცესს. დირექტივის გამოყენებით მოსაუბრე ცდილობს, აკონტროლოს სიტუაცია და სხვებს აიძულოს, გააკეთოს ის, რაც სწორად მიაჩნია. ზოგჯერ თავაზიან ან ნაკლებ თავაზიან ფორმასაც მიმართავენ იურისტები. ქართულ და ინგლისურ ვარიანტებში უმეტესწილად გვხვდება დირექტივები პერფორმატივების გარეშე, ასევე ვხვდებით დირექტივებს პარაფრაზირებული ფორმით ან პერფორმატიული ზმნებითაც.

(1) პროკურორი მოწმეს: „**დამამთავრებინეთ შეკითხვა...** (დირექტივა) იოსებიძის 65-ში რომ მიხვედით თექთურმანიძესთან შესახვედრად, რომელი საათი იქნებოდა?“ (პდ)

ზემოთ მოყვანილ ქართულ მაგალითში იურისტი მოწმეს აწყვეტინებს საუბარს მიმანიშნებელი ფრაზით, რაც მან გადმოსცა დირექტივის სამეტყველო აქტით იმპლიციტურად.

ამ შენიშვნით ინტენცია მიღწეულია და ასევე გამოიხატება სასამართლო სტრუქტურის ძალაუფლება, რომ ის მართავს არსებული პროცესს.

ინგლისურ მასალაში ხშირია მოწოდების გამომხატველი შემდეგი ტიპის არაპირდაპირი დირექტივი, როგორცაა **LET US + VERB**. ქართული ეკვივალენტი არის „მოდით+ზმნა“, რაც ქართულ ემპირიულ მასალაში არ აღმოჩნდა, თუმცა შესაძლოა იყენებდნენ ამ ფორმას პროცესების დროს. რაც შეეხება ინგლისურენოვან მასალას, მისი გამოყენება საკმაოდ ხშირია. **LET US + VERB** ცნობილია, როგორც დეონტიკური ლინგვისტური მოდალობა, რომელიც გამოხატავს, თუ როგორი უნდა იყოს სამყარო გარკვეული ნორმების, მოსაუბრის მოლოდინის ან სურვილის მიხედვით. დეონტიკური გამონათქვამები აჩვენებს, რომ სამყარო არ შეესაბამება სტანდარტებს ან მოსაუბრის იდეალური სამყაროს ხატს. ამიტომ დეონტიკური მოდალობა გამოხატავს გარკვეულ ქმედებებს, რომელთა შესრულებით შეიცვლება სამყარო, რათა ის ჭეშმარიტების იდეალს დაუახლოვდეს. (Hermeren,1978)

(2) Let + me + verb – „**Let me ask you something about that...**“ (პდ)

(3) Let + us + verb – „**Let’s go back when you were in Los Angeles**“ (პდ)

ორივე მაგალითში შერბილებულ დირექტივას მიმართავს იურისტი, რითაც ცდილობს სიტუაცია საჭიროებისამებრ წარმართოს.

ჯვარედინი დაკითხვის დროს დირექტივით ხორციელდება სასამართლო ძალაუფლება უფლებამოსილი პირების მიერ სასამართლო პროცესზე.

(4) „მოსამართლე: **ერთ წუთით, ქალბატონო ელენე, მოისმინეთ შეკითხვა და შემდგომ უკვე ზრძანეთ პასუხი**“ (დირექტივა) (ჯდ).

აქვე ერთგვება ადვოკატიც, რომელიც შენიშვნას აძლევს მოწმეს, რადგან მის მიერ გადმოცემული აზრი არათანმიმდევრულია და ძირითადი აზრისგან გადახვეულია.

(5) „ადვოკატი: **თქვენ ჩემს შეკითხვას არ პასუხობთ და ეგრევე პასუხობთ**“ (დირექტივა) (ჯდ).

ინგლისურში ვხვდებით ჰიბრიდულ სამეტყველო აქტებს, რომლებშიც მოცემულია დირექტივა და რეპრეზენტატივის აქტები. დირექტივა ამ შემთხვევაში თავაზიანობის ინდიკატორია, რომელიც გამოხატულია კონსტრუქციით **Let + object pronoun – me**, ნებართვას იღებს მოწმისგან და გადადის დიალოგის ახალ ეტაპზე. ასევე გვხვდება მოდალური ზმნით **can + you + verb + us**.

(6) „Q. **Let me ask you**, (დირექტივა) (ჯდ) Mr. King, you had talked to Mr. Jowers and Ambassador Young, too, about immunity for him, **did you not, Sir?**“ (რეპრეზენტატივი-დირექტივა) (ჯდ)

A. Yes, we did.“(რეპრეზენტატივი) (ჯდ)

(7) „Q. **Can you tell us this:**Did you ever have any meeting with either Mr. Campbell or Mr. Gibbons from the District Attorney's Office?“ (დირექტივა) (ჯდ)

კომისივი

კომისივი – ეს ის სამეტყველო აქტია, რომელიც გულისხმობს, რომ მთქმელი თავის თავს აიძულებს, რაიმე გააკეთოს მომავალში. განვიხილოთ მაგალითები:

ორივე ენის შესწავლილ მასალაში თანაბრად ხდება პროცესების დაწყება, რაც გულისხმობს აუდიტორიისთვის 1. სასამართლო წესების გაცნობას და 2. მოწმისთვის კანონის წაკითხვას, რის მიხედვითაც მან უნდა თქვას სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, რაზეც მოწმე პასუხობს, რომ ის მზადაა, ილაპარაკოს

სიმართლე. ეს აქტი შემდგომში პერლოკუციურ შედეგად იქცევა მაშინ, როცა მოწმე ბიბლიაზე ხელის დადებით ამბობს:

(1) – **I swear !**“ – „**ვფიცავ!**“ (პდ)

კომისიების გამოყენების ფორმები სხვადასხვაგვარად გამოიკვეთა ინგლისურ მასალაში. ხშირად არ გვხვდება პირდაპირი, ექსპლიციტური ტიპის კომისიები, რომლებიც რომელიმე კონკრეტული პერფორმატიული ზმნით გადმოიცემა. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში იკვეთება კომისიის გამოყენება როგორც იურისტის, ასევე მოწმის გამონათქვამებში. იყენებენ მომავალი დროის ფორმებს ძირითადად, ფრაზულ ზმნებს და ა.შ.

(2) „**Q.I'm going to ask you some questions and I would like you to answer them.**“ (პდ)

(2) მაგალითში იურისტი ეუბნება ჯეიმს ერლ რეის, რომ მან უნდა დაუსვას მოწმეს რამდენიმე შეკითხვა (გამოიხატა მისი ინტენცია) და ასევე მისი სურვილი, რომ მოწმემ გასცეს პასუხი ამ შეკითხვებზე. გამოყენებულია **I + be going to + verb** და **I + would like + personal pronoun**. მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი მიუთითებს, რომ მთქმელის ნათქვამი აუცილებლად შესრულდება, რომ ეს მისი გადაწყვეტილებაა.

ქართულ ვერსიაში კომისიები კიდევ უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება. იურისტი მოწმეს უსვამს პირდაპირი ტიპის შეკითხვებს, ნაკლებად თავაზიანი ფორმებით.

(2) „მოწმე : მართო ორი ადამიანი არ დგას, იქ ხალხი დგას და შიგნით იყვნენ ისინი, ვინც კამათობდნენ. მე იქვე ვიდექი (რეპრეზენტატივი)

პროკურორი: **იქვე რომ იდექით, იმიტომ გეკითხებით** (კომისივი). თქვენ იქვე იდექით, იქვე ხართ, ხომ, რა ხდება? რას კამათობენ! რა ფორმებშია ეს ურთიერთობა, ეს კამათი? აი, ეს უფრო დეტალურად აღგვიწერეთ!“ (დირექტივი) (პდ)

პროკურორმა ხაზი გაუსვა მიზეზს (ინტენცია), რის გამოც ის უსვამს კითხვებს შეკამათების ირგვლივ. მან გამოხატა სურვილი, თუ რის გაკეთებასაც აპირებდა (პროკურორი) იგი ახლანდელი დროის ფორმით **„იქვე რომ იდექით, იმიტომ გეკითხებით“**.

ჯვარედინ დაკითხვაში კომისიის სამეტყველო აქტის გამოყენებას ქართულ ენაში აყალიბებს ადრესანტის დამოკიდებულება მის მიერ გადმოცემული პროპოზიციული აზრისადმი. ამ შემთხვევაში იურისტი უკონკრეტებს ექსპერტს, რომ მის პროფე-

სიონალიზმში ეჭვი არ ეპარება არა მარტო მას, არამედ სასამართლოსაც. ამიტომ იყენებს ინკლუზიურ ზმნას: „მაგაში ეჭვი არ შეგვაქვს ჩვენ“.

(4) „ადვოკატი: არა, ქალბატონო, (დირექტივა) მე კი არ გეუბნებით თქვენ, (დირექტივა) რომ ტყუილად დაწერეთ... ან არასწორი დაწერეთ... **მაგაში ეჭვი არ შეგვაქვს ჩვენ** (კომისივი). უბრალოდ, თუ შეგიძლიათ, აგვიხსნათ, რომ ერთი გასროლა მოხდა... (აწყვეტინებს)...“ (ჯდ)

ამით იურისტმა გაუსვა ხაზი იმას, რომ სასამართლო ენდობა ექსპერტის დასკვნას, თუმცა ბევრი რამ მაინც გაურკვეველია. ამიტომ განმარტების კიდევ ერთხელ მოთხოვნის შემდეგ მოწმე ისევ პასუხობს:

(5) „მოწმე: არ ვიცი... (რეპრეზენტატივი) ნუ, ეგ... **ვერ გატყუოთ** (კომისივი) ...იყო და... როგორ იყო, არ ვიცი... (ყოყმანი), გადადის გეუბნებით, **გატყუოთ, რომ გადადის** (კომისივი)...“ (ჯდ)

ჯვარედინ დაკითხვაში მოწმე კითხვას სვამს სიტუაციის ცვლილების კუთხით; გამოხატულია მომავალი დროის *be going to* კონსტრუქციით.

(6) „Q. Okay. Did they ever explain to you as to why they were so against having this rifle tested?

A. Yes. They basically said, and I don't recall the exact outcome of the conversation, but essentially they felt it would be a waste of time, that the rifle had been tested previously and it was inconclusive. **So why is it going to change now?**“ (კომისივი) (ჯდ)

ექსპრესივი

ექსპრესივი ის სამეტყველო აქტია, რომლითაც გამოიხატება მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, დამოკიდებულება ან განწყობა. რადგან სასამართლო დისკურსი მიეკუთვნება მკაცრად ფორმალურ რეგისტრს, ამიტომ პროცენტულად ძალიან მცირე მაჩვენებლით გამოიკვეთა ექსპრესივის არსებობა ორივე ენაში.

ექსპრესივი არსებობს ორი ტიპის: მორალური დამოკიდებულების, ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი აქტები.

პირდაპირ დაკითხვაში ქართულ ვარიანტში ვხვდებით მორალური დამოკიდებულების გამომხატველი ექსპრესივების ვერ-

ბალურ აქტებს, როდესაც იურისტი ითხოვს მოწმისგან ინფორმაციის განმეორებას.

(1) „ადვოკატი: **ბოდიშს ვიხდი**, (ექსპრესივი) ვის შორის მოხდა ეს შელაპარაკება?“ – (პდ)

ინგლისურ ვერსიაში გამოიკვეთა ორივე ტიპის ექსპრესივი. შემდეგ მაგალითში მოცემულია პეფორმატიული ზმნა to want უარყოფით ფორმაში, რითაც იკვეთება მოწმის ემოციური დამოკიდებულება იურისტის მიერ ხშირად დასმული პირადული შეკითხვების მიმართ, რაზეც მოწმე უარს აცხადებს. მაშინ, როცა იურისტები შემალვით ცდილობენ, რომ მოწმეს ჰკითხოთ ყველაფერი ამომწურავი პასუხის მისაღებად.

(2) „A. ...Yes. But **I really don't want** to go into too many of these personal questions that doesn't have anything to do with the Martin Luther King case.“ (პდ)

იგი იყენებს ზმნის ექსპლიციტურ პერფორმატივს, რითაც აყალიბებს თავის პოზიციას.

ემოციურ ექსპრესივებთან შედარებით უფრო ხშირია მობალური დამოკიდებულების ექსპრესივების გამოხატველი ვერბალური აქტები. შემდეგ მაგალითში იურისტი იხდის ბოდიშს კითხვის გამეორების მიზნით. მსგავსი მაგალითები ჭარბობს პროცესების დროს.

(3) „Q. All right.**I'm sorry**.And when you were on probation, Mr. Ray, where were you living?“ (პდ)

(4) „Q. Okay. were black people in the area where you would be transferred in the cellblock area?

A. I was talking – **excuse me**,are you talking about Jefferson City?

Q. Yes, sir.“ (პდ)

ჯვარედინ დაკითხვაში ქართულ მასალაში შეგვხვდა მორალური დამოკიდებულების გამოხატველი ექსპრესივი:

(5) „...უკაცრავად... (ექსპრესივი) მე გეტყვით...“ (კომისივი) (ჯდ)

ემოციური ექსპრესივების გამოხატვა იშვიათია სასამართლო პროცესზე, რაც ასევე გამოხატავს თავაზიანობას.

(6). „A. Fine. How about yourself?

Q. Fine. **Thank you**. (ექსპრესივი) Mr. King, you and I have talked about this matter quite a few times, haven't we?

A. Yes, we have.“ (ჯდ)

დეკლარაცია

დეკლარაციის ტიპის სამეტყველო აქტები ექსპრესივის მსგავსად მცირე რაოდენობით მაჩვენებელს ავლენს, თუმცა დეკლარაცია ძალიან მნიშვნელოვანი სამეტყველო აქტია სასამართლო პროცესებზე, რადგან მისი გზით ხდება განაჩენის გამოტანა და, შესაბამისად, ადამიანის გარესამყაროს შეცვლა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სასამართლო პროცესზე დეკლარაცია გამოიკვეთა ბოლო ნაწილში, რომელშიც ხდება ვერდიქტის გამოტანა. მოსამართლის ან ნაფიცი მსაჯულების მიერ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ ბალდებულები უკვე დამნაშავედ ცხადდება, არის დეკლარაციის სამეტყველო აქტი მიუხედავად იმისა, მართლა დამნაშავეა თუ არა ბრალდებული.

ქვემოთ მოცემულია ქართული ემპირიული მაგალითი, სადაც დეკლარაცია გადმოცემულია წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი წინადადების ფორმებით ქართულ ენაში.

(1) მოსამართლე: „სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ----- სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრის თავისუფლების აღკვეთა 10 წლით“;

(2) მოსამართლე: „ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – **პატიმრობა გაუქმდეს!**“

„ბრძანებითი წინადადება გამოხატავს მოქმელის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც ის ავალებს ამა თუ იმ პირს“ (მიქიაშვილი, 1998). ორივე შემთხვევაში დეკლარაცია ცვლის ადამიანის გარესამყაროს ან უარყოფითი, ან დადებითი კუთხით.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში მოცემულია დეკლარაცია, როგორც სამეტყველო აქტი განხორციელებული ნაფიცი მსაჯულების მიერ (მარტინ ლუტერ კინგის განმეორებითი სასამართლო პროცესი, რომელზეც მისი აწ გარდაცვლილი მკვლეელი ჯეიმს ერლ რეი უდანაშაულოდ ცნეს).

(3) „THE JUDGE: Let me ask you, do all of you **agree with** this verdict?

THE JURY: **Yes** (In unison)

THE COURT: In answer to the question did Loyd Jowers participate in a conspiracy to do harm to Dr. Martin Luther King, your answer is yes. Do you also find that others, including governmental agencies, were parties to

this conspiracy as alleged by the defendant? Your answer to that one is also yes. And the total amount of damages you find for the plaintiffs entitled to is one hundred dollars. **Is that your verdict?**

THE JURY: **Yes** (In unison)“.

დეკლარაციის აქტის შესრულება განხორციელდა ერთი სიტყვით -**Yes**, რომელიც მოიცავს მთელ თხრობით წინადადებას.

სასამართლო დისკურსის განხილვისას პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვების დროს სამეტყველო აქტების რაოდენობის გრაფიკული გამოსახვა.

ცხრილი №1 – პირდაპირი დაკითხვა (ინგლისური და ქართული ენები)

სამეტყველო აქტები	რაოდენობა
რეპრეზენტატივი	18 / 21
დირექტივა	12 / 18
კომისივი	7 / 2
ექსპრესივი	2 / 1
დეკლარაცია	1 / 2

ცხრილი №2 ჯვარედინი დაკითხვა (ინგლისური და ქართული ენები)

სამეტყველო აქტები	რაოდენობა
რეპრეზენტატივი	26 / 13
დირექტივა	13 / 18
კომისივი	2 / 8
ექსპრესივი	3 / 1
დეკლარაცია	2 / 1

ამდენად, როგორც კვლევამ ცხადყო ორივე ენაში ჭარბობს რეპრეზენტატივების და დირექტივების დაბალანსებული გამოყენება სხვა დანარჩენ სამ აქტთან შედარებით. მივედით საინტერესო შედეგებამდე, რადგან ზემოთ ხსენებული დომინანტი სამეტყველო აქტების გამოყენება ამტკიცებს ძალაუფლების გამოყენებას სასამართლოს მიერ კანონის ფარგლებში. რეპრეზენტატივით ხორციელდება ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სასა-

მართლოზე როგორც საგნობრივად, ასევე მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე; შემდგომ ხდება მათი განხილვა და სხვადასხვა პერფორმატიული ზმნით დამაჯერებლობის სპექტრში მოქცევა, რაც ასევე პერლოკუციურ ეფექტს ემსახურება. ხოლო დირექტივა ქმნის სასამართლოს ძალაუფლებრივ სახეს, რომელშიც მოწმე ან სხვა პირი დირექტივას ვერ გასცემს, რაც ასევე კარგად არის ნაჩვენები მაგალითებში. როგორც დომინანტი, ისე სხვა დანარჩენი სამეტყველო აქტები საინტერესო შემთხვევებს გვთავაზობენ სასამართლო დისკურსის განხილვის დროს, რაც მათ განასხვავებს სხვა ტიპის დისკურსისგან.

ლიტერატურა

გამყრელიძე, 2003 – გამყრელიძე თ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, 2003.

ვაგნერი, ლე ჩენგი, 2011 – Exploring Courtroom Discourse: The language of power and control, K213. W337 2011.

ვინიევი, 2008 – The Expert Witness and Courtroom Discourse: Applying Micro and Macro forms of Discourse Analysis to Study Process and the „doings of doings“ for Individuals and for Society, 2008.

ვისკონტი, 2009 – Speech Acts in Legal Language; 2009.

ვუდი, 2012 – Courtroom Discourse as Verbal Performance: Describing the Unique Sociolinguistic Situation of the American Trial Courtroom, 2012.

კონდორავდი, ლოერი 2011 – Performative Verbs and Performative Acts, 2011.

ლოპეს ალვარეს, 2005 – Performative Speech Act Verbs in Present Day English, 2005 *Interlinguistica*.ISSN 1133-8941. 16 (2), 2005, pp. 685-702.

მირაზანაშვილი, 2011 – მირაზანაშვილი ი., პოლიტიკური დისკურსის ზოგიერთი პრაგმატიკული მახასიათებელი, 2011.

მიქიაშვილი, 1998 – მიქიაშვილი ო., ქართული ენა, 1998.

ოიში, 2006 – Austin’s Speech Act Theory and the Speech Situation, 2006.

ოპეიბი, 2012 – The Acts of a Speech Act: An Examination of a Courtroom Discourse, 2012.

- ოსტინი, 1962** – How to Do Things With Words, 1962.
სზისა, 2002 – Speech Acts in Context, 22 (2002) 421-436.
სერლი, 1969 – Speech Acts: An Essay In the Philosophy of Language, 1969.
სერლი, 1979 – Studies in the Theory of Speech Acts, 1979.
ფეირქლაფი, 1989 – ფეირქლაფი ნ., Language and Power, 1989.
ჰავორთი, 2006 – The Dynamics of Power and Resistance in Police Interview Discourse, 2006.
ჰოლტრაფეს, ლასკი, 1999 – Linguistic Power and Persuasion, 1999.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

1. http://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/7716/EJLS_2007_1_2_15_BER_EN.pdf?sequence=3
2. https://www.researchgate.net/publication/300854451_Chapter_12_Speech_act_theory_and_the_analysis_of_conversation
3. http://www.linguisticsnetwork.com/wp-content/uploads/Hearing-Between_Style-Switching-in-a-Courtroom-Setting-Fuller-1993_compressed.pdf

ELENE TSATSUA

Peculiarities of Linguistic Realization of Speech Acts in Courtroom Discourse

Summary

The paper presents a contrastive study of English and Georgian courtroom discourse from the standpoint of Speech Act Theory. The methods of quantitative as well as qualitative analysis have been applied to the data with the purpose of identifying speech acts and stating frequencies of their usage in courtroom discourse. Special emphasis has

been placed upon the linguistic means characteristic for the 5 speech acts in the given discourse genre.

The analysis has shown that in the data under discussion all the 5 types of speech act are evidenced, however, representatives and directives prevail; this can be explained by the fact that in criminal law cases presentation of facts and evidence (conveyed by representatives) and instructions and recommendations (expressed by means of directives) are of particular relevance. The importance of declaratives is revealed mostly in the final session of the trial (in declaring a verdict). English and Georgian courtroom discourse is characterized by a rare use of expressives and commissives. The results of the study are reflected in Tables.

სუზი ცერცვაძე

სამეტყველო აქტები სასტუმროს რეკლამაში

(ინგლისურენოვანი ინტერნეტგასაუბრე დაპროექტი)

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს სამეტყველო აქტთა გამოყენების სპეციფიკა და მათი მნიშვნელობა სასტუმროს რეკლამაში. ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის კვლევები სამეტყველო აქტთა თეორიაში (სერლი, 1976; ოსტინი, 1962) და დისკურსის ანალიზში (ჰეჩი, 1994). ემპირიულ მასალად გამოყენებულია ვებგვერდზე, **booking.com**, განთავსებული სასტუმროს რეკლამები (400).

როგორც ცნობილია, სამეტყველო აქტების თეორიის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია ოსტინის ნაშრომში **‘How to do Things with Words’** – **„როგორ უნდა ვიმოქმედოთ სიტყვების მეშვეობით“**. ოსტინის სამეტყველო აქტების თეორიაზე დაყრდნობით სერლმა შეიმუშავა სამეტყველო აქტთა კონფიგურაცია, რომელიც შედგება შემდეგი ილოკუციური აქტებისგან:

I. ასერტიფიკა – სამეტყველო აქტი, რომელშიც ნათქვამის მნიშვნელობა გარკვეულ რეალობას შეესაბამება და, რაც, მთავარია მთქმელს ჭეშმარიტად მიაჩნია და ცდილობს მსმენელის დარწმუნებას მტკიცების გზით, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უტყუარია.

II. დირექტიფიკა – აღნიშნული ილოკუციური აქტით მთქმელი ცდილობს მსმენელს გარკვეული ქმედების შესრულებისკენ უბიძგოს. შესაბამისად, დირექტიფიკა შეიძლება გამოიხატოს ბრძანების ფორმით, თხოვნით, მოთხოვნით, მითითების ან/და ინსტრუქციის მიცემით, ნებართვის გაცემით, გაფრთხილებით და რჩევა-დარიგებით.

III. კომისიფიკა – სამეტყველო აქტი, რომლითაც მოსაუბრე დებს მომავალში გარკვეული აქტის განხორციელების პირობას, ე. ი. ვალდებულებას იღებს საკუთარ თავზე, რომ იმოქმედებს, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც დაპირებით, ასევე ფიცის დადებით და შეთავაზებით.

IV. ექსპრესივი – ილოკუციური აქტი, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ემოციურ დამოკიდებულებას გარკვეული მოვლენისადმი. ექსპრესივებია: მილოცვა, მადლობის გადახდა, მადლიერების გამოხატვა, ჩივილი, მოზოდიშება, სინანულის გამოხატვა, თანაგრძნობის გამოხატვა, მისამძიმრება.

V. დეკლარატივი (მაგ.: დეკლარატივებია ბრძანების წერილობითი გაცემა, მონათვლა, შეუღლება, რომელთაც ოსტინი **პერფორმატივებს** უწოდებს¹) ეს არის სამეტყველო აქტი, რომელმაც შეიძლება შეცვალოს უკვე არსებული რეალობა, ე.ი. ისეთი სამეტყველო აქტი, რომელიც ახალ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ გვიცხადებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარატივის წარმომთქმელი არის პასუხისმგებელი და გარკვეული უფლებამოსილების მქონე პირი (სერლი, 1976).

ვებგვერდზე (booking.com) წარმოდგენილ სასტუმროთა რეკლამებზე დაკვირვებამ გამოავლინა, თუ რა ფუნქცია აკისრია თითოეულ სამეტყველო აქტს რეკლამირების საქმეში. კვლევამ ცხადყო, რომ სასტუმროს რეკლამაში რეალიზდება სერლის მიერ მოცემული ხუთი სამეტყველო აქტიდან ოთხი, დეკლარატივების გამოკლებით.

I. რეპრეზენტატივი

სამეტყველო აქტი, რომელიც სასტუმროს რეკლამაში ახდენს ფაქტის კონსტატაციას და ასახავს მთქმელის მიერ აღწერილ ობიექტურ რეალობას. რეპრეზენტატივით რეკლამის ტექსტში წარმოდგენილია გარკვეული რეალობა, რომელშიც, რეკლამის განმთავსებელი (რომელიც შეიძლება იყოს ერთი პირი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ევალება სასტუმროს რეკლამირება) წარმოაჩენს, რომ თავად დარწმუნებულია და რომლის სიმართლეშიც ვებგვერდის სტუმრის დარწმუნებასაც ცდილობს. სწორედ ამიტომ, მთქმელის რწმენიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ მისი ნათქვამი ჭეშმარიტებაა, თუმცა სრული შესაძლებელია იყოს სუბიექტური, თავსმოხვეული და მცდარი. შესაბამისად, ამ სამეტყველო აქტის (ისევე როგორც დანარჩენი ილოკუციური აქტების) დანიშნულებაა საკომუნი-

¹ პირველად ლინგვისტიკაში ტერმინი პერფორმატივი ოსტინმა შემოიღო (ინგლ. **Performance** – ქმედება, საქციელი, შესრულება) ისეთი ზმნებისთვის, რომლებიც გვაწვდის არა მხოლოდ ინფორმაციას, არამედ მათი საშუალებით ხორციელდება გარკვეული ქმედებები. ენაში ზევრი პერფორმატივია: ვგულისხმობ, ვაპირებ, მჯერა და ა. შ. (ოსტინი, 1962).

კაციო აქტში მონაწილე ვებგვერდის მკითხველის დარწმუნება მიქმელის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიმართლეში. რის მისაღწევადაც **რეპრეზენტატივით** დეტალურად არის ასახული სასტუმროში არსებული პირობები და შეთავაზებული მომსახურება. რეკლამის ტექსტის დასაწყისში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სასტუმროს მოსახერხებელ მდებარეობაზე, რასაც დიდი როლი ენიჭება მის ღირსეულად წარმოჩენაში, ხოლო რეკლამის ტექსტის პირველი წინადადება ხშირად იწყება წარსულის მიმდევობით (**'Located', 'Situating'**):

Starhotels Business Palace

'Just 50 m from Porto di Mare Metro Station and a 10-minute walk from Rogoredo Train Station, Starhotels Business Palace has a gym with panoramic city views, free WiFi throughout, and a spacious outdoor area.'

Ellara, a Hilton Grand vacations Hotel - Center Strip

'**Located** on the Las Vegas Strip, Elara Hilton Grand Vacations Hotel Center Strip is connected to the miracle Mile Shops.'

ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა მომგებიანია რეკლამირების კუთხით, განსაკუთრებით როდესაც სასტუმრო სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის ან/და ტრანსპორტის სიახლოვეს მდებარეობს. ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითიდან პირველ შემთხვევაში ვხედავთ, რომ სასტუმრო აშენებულია მეტროს სადგურთან ახლოს, მეორე სასტუმროს რეკლამა კი მაღაზიათა ქსელთან ახლო მდებარეობით ცდილობს კლიენტის მოხიზვლას. ეს, რასაკვირველია, გულისხმობს ნაკლები ხარჯის გაწევასა და დაზოგილ დროს, რაც ხელსაყრელია სტუმრისთვის და კარგად ჩანს სტუმრების მიერ დაწერილი კომენტარებიდან, რომლებითაც ისინი დადებითად აფასებენ 'ელარას' და კმაყოფილებას გამოხატავენ მის მდებარეობაზე. ეს მიგვანიშნებს მათ მზადყოფნაზე, რომ რეკომენდაცია გაუწიონ სასტუმროს.

Marcia (United States of America) – *I would definitely stay here again!! Love it! Perfect location in Vegas!!!*

Biao (United States of America) – *Very convenient location. Walking distance to the City Center, Ballagio, etc. Many good restaurants within walking distance too.*

Pierre-Jacques (France) – *Very nice and helpful staff.*

რეპრეზენტატივი გვაწვდის ფაქტობრივ ინფორმაციას მხოლოდ დადებით მახასიათებლებზე, ყველა მნიშვნელოვან დეტალზე

ამახვილებს ყურადღებას, რაც კონკრეტულ ობიექტს გამოარჩევს და არცერთ შემთხვევაში უარყოფითი კუთხით არ წარმოგვიდგენს. ზედმიწევნით აღწერს სასტუმროს მიერ შეთავაზებული მომსახურების პირობებს, როგორებიცაა: გამორჩეული პერსონალი, რომელიც ხასიათდება მომსახურების მაღალი დონით; თანამედროვე, სხვადასხვა ფერში გადაწყვეტილი ინტერიერი და ხედები, რომლებიც ფანჯრებიდან იშლება; აღჭურვილობა, შესაფერისი ავეჯი თუ თეთრეული და სხვ., მაგ.: სასტუმრო **'Ekici'**-ის ყველა ოთახის ინტერიერში, როგორც რეკლამაში ვკითხულობთ, თბილი ტონალობის ფერები ჭარბობს, თითოეულ ნომერს საკუთარი სააბაზანო ოთახი აქვს აბაზანით, გათბობა-გაგრილების სისტემით, ამასთან აღჭურვილია ყავისა და ჩაის მოწყობილობით; ექსტერიერს რაც შეეხება, აქ სტუმრისთვის საინტერესოა ხედები, რომლებიც ფანჯრებიდან იშლება, სასტუმროს მდებარეობა და მასთან ახლოს მდებარე დაწესებულებები.

▪ ინფორმაცია სასტუმროს **ინტერიერისა** და **ექსტერიერის** შესახებ

Ekici Hotel

'All rooms in Ekici Hotel are **modern** and warmly decorated. They have **luxurious** private bathrooms with the baths, climate control and coffee and tea facilities.'

Best Western Albergo Cavalletto

Some rooms offer **charming** views of the gondolas in the Orseolo basin.'

▪ ინფორმაცია **მომსახურებისა** და **აღჭურვილობის** შესახებ

Ibis Amsterdam Centre

'Each air-conditioned room at ibis Amsterdam Centre comes with ibis Sweet Beds and a flat -screen TV. The private bathroom is fitted with a shower and toilet.

Breakfast is served every morning in the breakfast area. A wide variety of restaurants, bars and cafes can also be found in the direct area of the hotel.'

ონლაინრეკლამაში მოწოდებული კომუნიკაციის ყოველი კონკრეტული აქტი სრულდება ამ აქტის პოტენციურად მონაწილე პარტნიორის გამოსაწვევად. შესაბამისად, მოყვანილ წინადადებებში ადრესატის ყურადღების მიპყრობის მიზნით გამოყენებულია **ზედსართავები: modern, luxurious, charming** და სხვ., რომელთა საშუალებით წარმატებით მიიღწევა დასახული მიზანი. გამოიკვეთა აღნიშ-

ნული სამეტყველო აქტის **ორი** უმთავრესი **ფუნქცია: ინფორმაციის მიწოდება** და ვებგვერდის **სტუმრის დარწმუნება** მიწოდებული ინფორმაციის სიმართლეში, რაც ხორციელდება არა მხოლოდ ლექსიკურ დონეზე, არამედ ვებგვერდზე განთავსებული სხვადასხვა ვიზუალური საშუალების განთავსებით.

II. დირექტივი

დირექტივი, ე.ი. ქმედების შესრულების მოთხოვნა, საიტზე ხორციელდება გარკვეული სახის მომსახურების შეთავაზებით, საჭირო რჩევებისა და ინსტრუქციების მიწოდებით, რაც ინტერესს იწვევს მკითხველის მხრიდან და გარკვეულწილად სტიმულსაც აძლევს, რომ იმოქმედოს სასტუმროს დასაჯავშნად, რადგან ნდობის ხარისხი მასში უკვე გამტკიცებულია ერთგვარი საფეხურების გავლის შედეგად რეკლამის აღქმის პროცესში, რომელიც მოიცავს შემდეგ ხუთ საფეხურს: 1. **ყურადღება**; 2. **ინტერესი**; 3. **სანდობა**; 4. **სურვილი** და 5. **მოქმედება** (კორტლენდი, 1989).¹ ვებგვერდზე შესული პოტენციური კლიენტის ყურადღებას იპყრობს წარმოდგენილი ფოტოების მრავალფეროვნება, სხვადასხვა ფერში მოცემული განსხვავებული ზომის, ფორმის თუ ფერის შრიფტით დაბეჭდილი ინსტრუქციები, მოწოდებები.

აქედან გამომდინარე, ინფორმაციული თვალსაზრისით, რეკლამირებული სასტუმრო პოტენციური სტუმრის თვალში უნაკლოდ გამოიყურება და უღვიძებს ინტერესს, რომ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

დირექტივისთვის გამოყენებული ზმნებია: **ask** (შეკითხვის დასმა), **command, order** (ბრძანების გაცემა), **request, plead** (თხოვნა), **pray** (ლოცვა), **entreat, beg** (ვედრება) და ასევე, **invite** (მიწვევა / მიპატიჟება), **permit** (ნების დართვა) და **advise** (რჩევა-დარიგება). აღნიშნულთაგან ვებგვერდზე რეკლამებში ხშირად გამოიყენება: **რჩევა – დარიგება, მიწვევა – მიპატიჟება, თხოვნა, შეკითხვის დასმა.**

▪ ‘More than just hotels...**discover** pure comfort with homes & apartments’;

▪ ‘**Celebrate** your business or family party in our banquet facilities up to 120 guests’;

¹ რეკლამის აღქმის საფეხურებრივ პროცესთან დაკავშირებით იხ. ს. ცერცვაძის ნაშრომში „რეკლამა და რეალობა“, საენათმეცნიერო მიუზანი, № 39, თბ., 2015, გვ. 123–125.

▪ **‘Enjoy, celebrate or conduct** your business meetings at this hotel, which arranges everything under one roof to meet your expectations!’;

▪ **‘Find** deals to experience the world’.

მოცემულ წინადადებებში, **‘ზმნეობს, discover, celebrate, enjoy, conduct, find,** დახმარებით, **დირექტივი,** ერთი მხრივ, რჩევის მიცემით ცდილობს გამოიწვიოს მკითხველი და გაააქტიუროს, მეორე მხრივ, კი უბიძგებს გადაწყვეტილების მიღებისკენ, რომ დაჯავშნოს კონკრეტული სასტუმრო და ცდილობს დააჯეროს, რომ მისი მოლოდინი აუცილებლად გამართლდება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი აიძულებს ადრესატს იმოქმედოს და განახორციელოს ადრესანტისთვის სასარგებლო ქმედება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ვებგვერდზე დირექტივი წარმოდგენილია როგორც სამეტყველო აქტი, რომელიც გამოიხატება არა უბრალოდ თხოვნით ან მოთხოვნით, ინსტრუქციებისა და რჩევა-დარიგებების სახით, არამედ რეალურად ხდება მკითხველისთვის გარკვეული აქტის შესრულების ბიძგის მიმცემი.

გარდა ამისა, booking.com -ზე ხშირად ვხვდებით **გაფრთხილებებს** ფასებთან და სასტუმროს დაჯავშნის თარიღებთან დაკავშირებით: **only one left** on our site! Book this apartment, **prices may go up,** so secure your reservation today; **Limited supply** in Amsterdam: 207 apartments like old Town 1 Apartment are already unavailable on our site! ზოგ შემთხვევაში სასტუმრო ამცნობს სტუმრებს, რომ არ დაუშვებს ცხოველებს და არც პარკირების შესაძლებლობაა: **Pets are not allowed! No parking available!** ხშირად მოწვევაც აკრძალულია, ხოლო ჯავშანს თუ გააუქმებთ გადასახდელი თანხის სრული ანაზღაურება დაგევალებათ: **You will be charged** the total price if you cancel your price! **Smoking is not allowed.** რა თქმა უნდა, მოყვანილი გაფრთხილებებიც ვებგვერდის სტუმართან კომუნიკაციის დამყარებას და დაჯავშნისთვის დათანხმებას ემსახურება.

ვებგვერდზე ასევე ხშირია მიმართვის შემცველი სათაურები, რომლებიც, როგორც წესი, პირდაპირ და ღიად მოუწოდებენ პოტენციურ კლიენტს, რომ ისარგებლოს სასტუმროს მომსახურებით მაგ., **‘Stay in the Heart of Prague’; ‘Right in the Heart of Copenhagen’; ‘Stay in the heart of Amsterdam’** ამგვარ სათაურს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შეთავაზებული მომსახურების გამიზნული და შედეგობრივი რეკლამირებისთვის, რადგან სათაური მაშინაა ეფექტური როცა ლაკონიური და ინფორმაციულია და ამასთან შეიცავს პოტენციუ-

რი მომხმარებლისთვის სასურველ და მისაღებ ინფორმაციას. მომხმარებლისადმი სწორად შერჩეული მოწოდება განსაზღვრავს მომსახურების წარმატებით რეკლამირებასა და მიღებულ სარგებელს, რაც მიიღწევა მაშინ, როცა მომხმარებელს არაფერი რჩება სათქმელი სასტუმროს საწინააღმდეგოდ, როგორც **პიერის** შემთხვევაში: *'Nothing negative. Don't hesitate, the best location I've ever seen in Vegas and great value for money'* – **Pierre-Jacques** (სტუმარი საფრანგეთიდან).

III. კომისიო

კომისიო, ილოკუციური აქტია, რომლის დროს რეკლამის განზრახვა მიიპყროს საიტის მომხმარებლის ყურადღება ხორციელდება გარკვეული ქმედების შესრულების პირობის დადებით და ვალდებულების აღებით, რომ მომავალში შესრულდება დანაპირები.

ონლაინრეკლამაში **კომისიო** არაპირდაპირი ხასიათისაა, ადრესანტი არ დებს გარკვეული ვალდებულების შესრულების პირობას პირდაპირ, თუმცა, როდესაც იგი **რეპრეზენტატივით** წარმოადგენს სასტუმროში არსებულ ვითარებას, ხდება პირობის დადების იმპლიკაცია, როგორც ეს მოცემულ რეკლამაშია: 'Intel Hotels Amsterdam Centre offers rooms with free Wi-Fi and satellite TV, just a 5-minute walk from Amsterdam Central Station', აღნიშნული რეკლამა ზედმიწევნით აღწერს შეთავაზებულ პირობებსა და მომსახურებას და ამავე დროს, **დირექტივის** მეშვეობით უბიძგებს ადრესატს სასტუმროს დაჯავშნისკენ (**'Make sure you explore the popular Trastevere and its cafes and trattorias, sit down on the Spanish Steps or just relax and enjoy Rome's picturesque and sunny atmosphere.'**) რაც ადვილად მიიღწევა ლექსიკურ დონეზე, **ზედსართავების (პოპულარული, თვალწარმტაცი, მზიანი)** და **ზმნების (დაისვენეთ, ისიამოვნეთ, დასხედით, გამოიკვლიეთ)** ხმარებით, ცხადია, რომ სტუმარს უთანხმდება სასტუმროს მაღალ ხარისხზე და შესაბამისად იღებს ვალდებულებას, რომ დადებული პირობა აუცილებლად იქნება შესრულებული.

ქვემოთ მოცემულ წინადადებებშიც კარგად ჩანს კომისიის ვალდებულებითი დატვირთვა: **Whatever accommodations you're looking for, we've got them; Reliable Info** – Guests say the description and photos for this property are **very accurate; 95%** of guest reviewers had their expectations of this property met or exceeded. მიუხედავად იმისა, რომ არსად ვხვდებით სიტყვას **'promise'**, მოცემული წინადადებები

ირიბად ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ფაქტზე, რომ სასტუმროს მომსახურებით დაინტერესებული ნებისმიერი კლიენტის გემოვნებას დააკმაყოფილებს და გვაჯერებს, რომ მოწოდებული ინფორმაცია სანდოა. სიტყვის 'accurate' მოყვანა და სტუმრების დიდი უმრავლესობის დადებითი შეფასებები, რომ მათი იმედები გამართლდა, ზოგ შემთხვევაში კი ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ზრდის ნდობის ხარისხს და ბუნებრივია, მყისიერი დაჯავშნის ალბათობაც იმატებს. ამგვარად, კომისივის, როგორც სამეტყველო აქტის ფუნქცია, რომ საიტის სტუმარს ინტერესი გაუღვიძოს, ხორციელდება იმპლიციტურად (დაფარულად, მინიშნების გზით), რაც შეიძლება დავუკავშიროთ **ბერნშტაინისეული** რეკლამის ტექნიკას (**Soft sell**), რომელიც გულისხმობს საქონლის ან/და შეთავაზებული მომსახურების რეკლამირებას არაპირდაპირი და შედარებით ნაკლებ აგრესიული გზით მომხმარებლის დასარწმუნებლად¹.

IV. ექსპრესივი

ვებგვერდზე მოცემული **ექსპრესივების** მიზანი, დირექტივების მსგავსად, მომხმარებელზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენა და მისთვის გარკვეული ქმედების შესასრულებლად ბიძგის მიცემაა.

იმისათვის, რომ მკითხველმა ზუსტად მიიღოს კონტექსტში მოწოდებული შეტყობინება მთქმელის მიერ ნაგულისხმევი მნიშვნელობით და რომ წარმატებით შედგეს კომუნიკაცია ადრესანტსა და ადრესატს შორის, სამეტყველო აქტებში გამოყენებულია არა მშრალი, არაფრის მთქმელი, არამედ დადებითი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები. ასეთი ლექსიკური ერთეულებით იქმნება იმიჯი, რომელიც არწმუნებს ადრესატს შეთავაზებული პროდუქტისა თუ მომსახურების სანდოობაში. მომხმარებლის დასაინტერესებლად ვებგვერდზე ყველაზე დიდი სიხშირით გამოყენებული ზედსართავებია: unforgettable, unique, favourite, fantastic, beautiful, mesmerizing, relaxing, charming, beautiful, spacious, tropical, regional, good, modern, legendary, private, free, elegant, bright, classic, delicious,

¹ **ბერნშტაინის** თანახმად, **რეკლამის დისკურსი** ორ მთავარ პრინციპს ემყარება: **Hard sell** – რეკლამირების მეთოდი, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს მომხმარებლის დარწმუნებას, რომ შეთავაზებული პროდუქტი სასურველია და ნამდვილად ღირს შესაძენად; **Soft sell** – რეკლამირების მეთოდი, რომელიც იმპლიკაციის გზით ცდილობს პროდუქტის გაყიდვას ან/და შეთავაზებული მომსახურებით მომხმარებლის მოხიზვლას.

perfect, demanding, quiet, various, stunning, panoramic, great, gorgeous, popular, large, stylish, neutral, native, fresh, organic, attached, small, eternal, peaceful, luxurious, versatile, picturesque, sunny, everlasting, continental, personal, safe, standard, air-conditioned, comfortable, warm, famous, distinct, excellent, special, near, secret, clean, efficient, cheap, trendy, wide, biological, seasonal. წარმოდგენილი ზედსართავებიდან ზოგი, როგორც ვხედავთ, ნეიტრალური ხასიათისაა (biological, tropical, regional, private, neutral, quiet, attached, standard, air-conditioned, personal, near) თუმცა, ისინი, კონტექსტში დადებითი სემანტიკის მატარებელი ხდება. მაგ., 'Each day, guests can enjoy a **100 % biological** breakfast buffet that mainly offers **seasonal** products.' წარმოდგენილ წინადადებაში მოცემულ ორივე ზედსართავს, **ბიოლოგიური** და **სეზონური**, საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს, უფრო მეტიც, განსაზღვრავს მთელი წინადადების შეტყობინების მთავარ არსს და წარმატებით ასრულებს რეკლამის ფარულ მიზანს აიძულოს პოტენციური კლიენტი, ამ და სხვა გასაგები მიზეზებით დაჯავშნოს რეკლამირებული სასტუმრო.

ვებგვერდზე სასტუმროს რეკლამირებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას ვიზუალიზაცია, რაც მოიცავს შემდეგი საშუალებების გამოყენებას: ინტერიერისა და ექსტერიერის **ფოტოები**, **ფერები**, სხვადასხვა ზომის, ფორმისა თუ ფერის **შრიფტი**, **რუკები**, და **სიმბოლოები**, რომლებმაც შეიძლება გააძლიერონ სამეტიყველო აქტის ილოკუციური ძალა.

რუკების საშუალებით მარტივდება სასტუმროს ადგილმდებარეობის განსაზღვრა და, გარდა ამისა, წარმოდგენა გვექმნება სასტუმროს სიახლოვეს მდებარე ტრანსპორტის საშუალებებსა და მნიშვნელოვან ობიექტებზე. **სიმბოლოებით** კი ხდება სხვადასხვა ინფორმაციის უსხარტესი და უმარტივესი გზით გადმოცემა, რაც ადვილად გასაგებს ხდის მიწოდებულ ინფორმაციას.

ვებგვერდზე მოცემული რეკლამის ტექსტის **შრიფტი** განსაზღვრული ზომით არის წარმოდგენილი. როგორც წესი, სათაური შედარებით დიდი და მუქი შრიფტით იბეჭდება (მაგ.: **Trident Bandra Kurla**), ვიდრე რეკლამის ტექსტი (მაგ.: 'The 5-star Trident Bandra Kurla provides an outdoor swimming pool and full spa services. Concierge services and room service are available 24 hours. On-site parking is free'). განსხვავება არა მხოლოდ ზომასა და ფორმას შორის, არამედ შრიფტის ფერებიც მრავალფეროვანია. რეკლამის ტექსტი შავი ფერის

შრიფტით იბეჭდება, ხოლო ინსტრუქციები და მითითებები, რაც ვებგვერდზე მრავლად გვხვდება, სხვადასხვა ფერითაა წარმოდგენილი. მაგ.: გაფრთხილებები წითელი და შავი ფერის შრიფტითაა დაბეჭდილი: **Only 2 left on our site! Booked 3 times for your dates in the last 12 hours! You missed it! In high demand – only 1 left on our site! Usually sold out – you’re in luck! Guests love...** ხოლო სასიამოვნო სიახლეები და შეთავაზებები მწვანე ან ყვითელ ფერში იბეჭდება: **Reliable info – Guests say the description and photos for this property are accurate; 94 % of guest reviewers had their expectations of this property met or exceeded; Great Value Today; Outstanding value for money on the dates you have chosen.**

ვებგვერდზე ვხვდებით სასტუმროს ექსტერიერისა და ინტერიერის უძრავ-მოძრავ **ფოტოებს**, რომლებიც ერთგვარი სტიმულებია და გამოიყენება სუბიექტის ყურადღების მიზიდვის მიზნით. ადამიანი ვერ უწევს წინააღმდეგობას კაშკაშა, ფერად, მოძრავ უჩვეულო გამლიზიანებლებს და მისი ყურადღება უნებურად წარიმართება ასეთი გამლიზიანებლებისკენ. ფოტოს საშუალებით მომხმარებელს ინფორმაცია არავერბალური გზით მიეწოდება, ფოტო მას ამლევს საშუალებას ყოველგვარი დეტალი საკუთარი თვალით შეამოწმოს, რაც რეკლამისადმი ნდობის ხარისხს ზრდის. ერთი შეხედვით, მათი მიზანია წარმოგვიდგინოს ამა თუ იმ სასტუმროში არსებული მდგომარეობა, მეორე მხრივ კი, მათში ფარული მნიშვნელობაა ჩადებული, რაც გულისხმობს სასტუმროს მიერ შეთავაზებული პირობების ისე წარმოჩენას და მიწოდებას, რაც მომხმარებლის ინტერესებზე იქნება გათვლილი. სწორედ ამიტომ, ფოტოები შეიძლება ჩავთვალოთ **ირიბ სამეტყველო აქტად**, რადგან ფარულად, იმპლიკაციით ახდენს მომხმარებლის ჩაბმას რეკლამის წასაკითხად.

სტუმარზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით გამოყენებულ ხსენებულ ვიზუალურ საშუალებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ფერებს**. რადგანაც კავშირი ფერებსა და გრძნობებს შორის საკმაოდ ძლიერია, ფერები განსაზღვრავენ შესაბამისი განწყობის შექმნას. სასტუმროში ფერებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ფერების მნიშვნელობა თავად სასტუმროს თუნდაც ადგილმდებარეობის აღწერისასაც კი თვალსაჩინოა. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძირითადად, დომინანტური ფერების შერჩევისას მნიშვნელობა ენიჭება რო-

გორც ქვეყანას, რომელშიც სასტუმრო მდებარეობს, ასევე, კონკრეტული ქვეყნის კლიმატურ ზონას (სურ. 1, 2).

Trident Bandra Kurla (ქვეყანა – ინდოეთი)



სურ. 1



სურ. 2

ზემოთ წარმოდგენილი ორივე ფოტო ეკუთვნის ერთ-ერთ გამორჩეულ ინდურ სასტუმროს, რომელშიც ინტერიერის ძირითად ფერს წითელი წარმოადგენს. წითელი ფერისაა სასტუმროში წარმოდგენილი რბილი ავეჯი, აქსესუარები და ტექსტილი. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წითელი ფერი საკმაოდ პოპულარულია ინდოეთში. წითელი ინდოელი ხალხისთვის სიწმინდისა და ერთიანობის სიმბოლოა. ლ. კენტის ფერთა ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის თანახმად, **ცეცხლისფერი და სისხლისფერი წითელი** იწვევს სითბოს შეგრძნებას, მისგან გამომდინარე

გამოსხივება ღრმად იჭრება ადამიანის სხეულის ქსოვილში, რაც ზრდის კუნთურ დამაბულობას და, მამასადამე, სისხლის წნევასაც და სუნთქვის რიტმსაც (გრიგოლავა, 1967).

ემპირიულ მასალაზე დაკვირვება იძლევა საფუძველს ვთქვა, რომ იმის მიხედვით, თუ სასტუმრო რომელ ქვეყანაში მდებარეობს ან რომელი ქვეყნის სახეს წარმოაჩენს, რა თვისებებით ხასიათდება, როგორია მისი მდებარეობა, გასათვალისწინებელია შესატყვისი ფერები, რაც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სასტუმროს მიერ შეთავაზებულ მომსახურებასთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ კონკრეტულ ფერში გადაწყვეტილი ინტერიერი ვებგვერდზე შესული დამთვალიერებლისთვის სხვადასხვა ემოციის გამომწვევი იქნება, რაც საინტერესოდ და ხშირ შემთხვევაში მიმზიდველ ობიექტად აქცევს რეკლამირებულ სასტუმროს.

ამგვარად, წინამდებარე სტატია განიხილავს სამეტყველო აქტების მნიშვნელობას სასტუმროს რეკლამირების საქმეში. ემპირიული მასალა (400 სასტუმროს რეკლამა) მოპოვებულია საკმაოდ ცნობილ და გამოყენებად ვებგვერდზე, **Booking.com**.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს სერლის მიერ შემუშავებული სამეტყველო აქტთა კლასიფიკაცია, რომელიც, როგორც ცნობილია, ხუთ სამეტყველო აქტს მოიცავს, რომელთაგან მოცემულ ვებგვერდზე რეალიზდება შემდეგი: რეპრეზენტაციები, დირექტივები, კომისივები და ექსპრესივები. განხილული სამეტყველო აქტებიდან თითოეულს, გარდა ინდივიდუალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფუნქციისა, ასევე გამოუვლინდა საერთო ფუნქცია, რაც გულისხმობს სასტუმროს ეფექტიან რეკლამირებას. ხშირია ჰიბრიდული სამეტყველო აქტები. სამეტყველო აქტთა პერლოკუციურ ძალას აძლიერებს რეკლამაში გამოყენებული ვიზუალური საშუალებები.

ლიტერატურა

გრიგოლავა, 1967 – გრიგოლავა, ფერი და სამუშაო გარემო, „მეცნიერება და ტექნიკა“, № 10.

კიმი, 2007 – Kim, M., Discourse Features and Marketing Strategy in American Magazine Advertising, Proceedings of the Fifteenth Annual

Symposium about Language and Society-Austin, Texas Linguistic Forum 51: 95-102.

კორტლენდი, 1989 – Courtland, Bovee L. & Arens, William, Contemporary Advertising, Boston: IRWIN Homewood.

მური, 2013 – Murray, P.N., How Emotions Influence What We Buy, <https://www.psychologytoday.com/blog/inside-the-consumer-mind/201302/how-emotions-influence-what-we-buy> (მოპოვების თარიღი – 10.03.2014).

ოსტინი, 1962 – Austin, J., How To Do Things With Words, Oxford: Clarendon Press.

პერი, 2006 – Perry, S. Ogilvi on Advertising, JOMC 170 Book Report.

სერლი, 1976 – Searle John R., A Classification of Illocutionary Acts, Language in Society, Vol. 5, No. 1, Cambridge University Press.

სიმონა, დეჯიკა-კარტისა, 2015 – Simon, S., Dejica-Cartis D., Speech Acts in Written Advertisements: Identification, Classification and Analysis, Social and Behavioral Sciences, Volume 192, 234–239.

ჰეჩი, 1994 – Hatch, E., Discourse and Language Education, Cambridge: Cambridge University Press.

SUZI TSERTSVADZE

Speech Acts in Hotel Advertisements (based on the English internet data)

Summary

The paper examines 400 samples of hotel advertisements accumulated from the internet webpage *booking.com* from the perspectives of Speech Act theory and Discourse Analysis. The study aims at stating specificity and frequency of Speech Act usage in online hotel advertisements. The observations have shown that 4 out of the 5 Speech Acts (namely: representatives, directives, expressives and commissives) are evidenced in the data under discussion. Representatives (giving detailed

information about the location, interior and exterior of a particular hotel and the conditions offered) are mainly encountered in the descriptive part of an advertisement. Persuasive utterances (directives conveyed mostly by the imperative mood) are in the channel open and close parts of the text. In the body of the text they intermingle with representatives. It can be said that commissives are generally of indirect nature; by painting a very positive picture of a hotel and offering a high-quality service the addressor expresses their commitment. The analysis has shown that hotel advertisements are abundant in extreme adjectives and, generally, in lexis with positive semantics- i.e. representatives, directives and commissives are of hybrid type as they are combined with expressive.

ენო ციხიზვილი

-ო სუფიქსიანი II კავშირებითის კარალელური
წარმოების შემთხვევები საშუალ ქართულში

II კავშირებითი II სერიის ერთ-ერთი ძირითადი მწკრივია. აღნიშნულ მწკრივს **-ა**, **-ე**, **-ო** სუფიქსები აწარმოებს. ამჯერად მხოლოდ **-ო** ბოლოსართიან II კავშირებითზე ვისაუბრებთ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ეს შესაბამისობა (**-ე** სუფიქსიანი წყვეტილი – **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითი) მყარია (გოგოლაშვილი 1984, 81). ხსნებული მიმართება უგამონაკლისოა საშუალო ქართულის ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებშიც, განურჩევლად ჟანრისა და თემატიკისა. **-ო** ბოლოსართს დაირთავენ II კავშირებითში წყვეტილის როგორც III, ისე IV ყალიბის ზმნები. ესენია გარდამავალი ზმნები, საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნები, პრეფიქსიანი და სტატიკური ვნებითები:

არ **დავთმობთ**, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა **მოვუგვართა** (ვეფხ., 717, 3);

თუ **მიბრძანობთ**, **მოგაწსენობთ**, რაცა ვიცოდეთ (ამ., 14, 3);

შემომფიცე აწვე, რომელ ვისის სიყუარული აღარ გქონდეს და არცაღა ოდეს **დაეკარო** (ვის., 174, 7);

შენ არა **განიძარცვო** ცოდვა და **ეგო** უკურნებლად, არცაღა გველად საგონებელ იყო (საბა, სწავლ., 159, 487);

ვაზის მრგველთან ის არ **ვაქო**, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,

მასზე სული არ **წარვსწყმინდო**, რა გინდ ჯორციტ **დავიკარგო** (დავითიანი, გვ. 50. 169, 4);

რა **შიემატობთ**, რა **ირგობთ**, სულ ხმით ყვირილით იქმოდით?

თვარა ყოველმან სიცრუვე იზღვიოთ, მწარის იქ მოდით (არჩ., I, გვ. 14. 98, 4);

აწ **განვისვენობთ** და ხვალე ვიტყოდეთ სხვათათვის ჰსწავლათა (ბატონიშ., II, 146);

ნუ უგულებელს ჰყოფ ჯარსა ანუ კარაულსა ძმისა შენისასა, რომელი დაცემულ იყოს გზასა ზედა, არამედ **შეწიო** მას და **აღად-გინო** (სამ. ძეგლ., I, 116);

არ ხარ შენ კადნიერ ბრძოლად მეფისა, არამედ მე **გებრძოლო** მონა მონასა (ქ. ცხ., I, 189, 11);

მოიყიდე სხუად უმძიმესი ძელი და აღიტვრთე ზურგითა შე-
ნითა, **მოაწიო** წინაშე ტაძრისა ჩემისა. და ამისი რა მყოფელი **მო-
გწყვდო** უეჭუელად ყოვლითურთ, რადცა არს შენი (აბუს. ტბ., 61, 93).

როცა **-ო** სუფიქსიან II კავშირებითზე ვსაუბრობთ, სხვა პრობ-
ლემათა გვერდით ჩვენი ყურადღების არეში ფორმოზრივი პარალე-
ლიზმებიც ექცევა. II კავშირებითის გამოხატვაში მომხდარი ზოგი
ცვლილების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენისას ზ. სარჯვე-
ლაძე ამბობს: „ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში შეინიშნება
ცვლილებები II კავშირებითის ალომორფთა განაწილებაში... ხდება
აგრეთვე **-ო** ალომორფის გავრცელება თავდაპირველი **ა**-სა და **ე**-ს ნა-
ცვლად“ (სარჯველაძე 1984, 451-452). საშუალო ქართულის ჩვენ მიერ
მოკვლეულ მასალაში ამგვარი ფაქტების აღნუსხვა არ გაგვჭირვებია.
შევეცადეთ, მოგვნიშნა კონკრეტული მაგალითები, რომელთა არსე-
ბობა რეალურია არა მხოლოდ სხვადასხვა ძეგლში და სხვადასხვა
ავტორთან, ისინი ზოგჯერ ერთ მწერალთანაც გვხვდება. პარალე-
ლური ფორმალარმოების შემთხვევები სულ რამდენიმე ზმნასთან
დავადასტურეთ:

ვიუზნო // ვიუზნა

-ო ბოლოსართი ამ ზმნის II კავშირებითთან ვნახეთ „ამირან-
დარეჯანიანში“:

აწ წავიყუანოთ შინა და მუნ **ვიუზნოთ**, ნუთუ არა გაგუცეს გზა
(ამ., 206, 6).

სხვა ხელნაწერში იგივე ზმნა იმავე შესიტყვებაში **-ა** დაბოლო-
ებით გვხვდება. **-ა** ბოლოსართიან ზმნებს შევხვდით „ვეფხისტყაო-
სანში“, არჩილის, იოანე ბატონიშვილის, სულხან-საბას თხზულე-
ბებში:

კვლაცა მითხრა: „რა **გეუზნა** მტყუანსა და შენ მუხთალსა“
(ვეფხ., 517, 3);

მათ რო **იუზნან**, ჩვენ რა გვრჯის, ვინცა დაათროს არაყმა?
(არჩ., II, 67, 4);

კარგი, მერე **ვიუზნათ** ამგვარებისთვის (ბატონიშ., I, 69).

უსწრო // შევესწრა

აღნიშნული ზმნის II კავშირებითში **-თ** ბოლოსართია გამოყენებული სულხან-საბას, არჩილის თხზულებებში, „ქართლის ცხოვრებაში“:

და თქვენ **უსწროთ** საკმრად თქვენდა ყოფად (საბა, სწავლ., 195, 602);

აწ ჩუენცა **უსწროთ** და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შესხმელთა (ქ. ცხ., II, 69, 17).

თხუთმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ **დაასწროს** (არჩ., I, გვ. 6. 30, 1).

-ა სუფიქსი კი ბევრ ძეგლში შეგვხვდა:

კაცმან ვერ **ასწრას** თვალისა დახაფვა, დაწამწამება (ვეფხ., 292, 1);

მორიელის ნაკბენარსა, სჯობს, **მომასწრა** ფაზარ-ხუფო (დავითიანი, გვ. 65. 272, 2);

ვამე თუ, სულო, **გისწრას** ღამემა

და შეგაშინოს გზაზედ რამემა! (დავითიანი, გვ. 222, 289, 1);

მასვე ღამესა წავიდენ, ხვალ ჩვენმან ძმამ არ **დაგვასწრასო** (საბა, ს.ს., გვ. 127);

იმერეთს არ **გარდაგასწრას**, დაცევ ტყე ან უგზებია (არჩ., II, 545, 2);

და თუ მზემ **უსწრას** და გათენდეს, დღისით მზისით თუ უკელმწიფოდ მოკლას, მის მაგივრად ის უნდა მოკუდეს (სამ. ძეგლ., I, 303);

თუ პურობას ღამე **შემოესწრას** (სამ. ძეგლ., II, 85, 31);

შევიპყრო // შევიპყრა

-თ ბოლოსართიანი ფორმები:

არა გულისხმაჰყოფ სიკვდილსა ქრისტესსა შენთვის, რათა

განცვიფრებამან **შევიპყროს** (საბა, სწავლ., გვ. 30, 38);

ვისაც შვილმან შეაგინოს და ავად **მიეპყროს** მამასა მისსა (სამ. ძეგლ., 206);

აქაც **-ა** სუფიქსიანი ფორმები ჭარბობენ აშკარად:

ქალი **შევიპყრა**, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო (ვეფხ., 226, 2);

მნებავს, რათა მრთელი **შევიპყრათო** (ამ., 5, 7);

ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური **დააპყრას** ესეთისა უნებლისა ყოფასა გულდამწუარი და დაუთმობელი (ვისრ., 279, 24);

ვინც უპატიოდ **მეიბყრას**, ცოლიც მისი ჰგავს ბალასა (თ. I, გვ. 142, 4, 4);

ნუ შვილო, ადამის ტომი ხრიკიანია, არ **შეგაბყრასო** (საბა, ს.ს., გვ. 131);

კაცი თუ ეშხმან **შეიბყრას**, მიმოწმეთ არის წამება (არჩ., I, გვ. 129, 24, 1);

შე-თუ ვინმე იბყრას ქალი ქალწული... (სამ. ძეგლ., I, 119);

და თაყუანი-სცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, **დაუბყრას** ჭელი მარჯუენე კათალიკოზმან (სამ. ძეგლ., II, 51);

ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან **დაიბყრას** უპატიოსნესი საჯდომი? (ქ. ცხ., II, 80, 9);

რათა შეკრბენ ერთად და **შეიბყრან** ალათემურ და მიჰგვარონ ულო ყაენს (ქ. ცხ., II, 252, 12);

რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი **აღუბყრა** და შევეწიო მათ და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ (ქ. ცხ., I, 38, 13);

არამედ **შევიბყრა** ყუავი ისი, მზრდელი ჩემი, შეეჭამო და განვისუენო ორ დღე (ქ. ცხ., I, 190, 16);

აწ წარმოემართე მანდით შენ და აქათ მე და ორთავე შევმუსროთ აბაღა, და ჩუენ **დავიბყრათ** ქუეყანა მისი (ქ. ცხ., II, 258, 9).

ვსცნო // ვსცნა

-ო ბოლოსართიანი II კავშირებითის სულ რამდენიმე ფორმა შეგვხვდა. ისინია იოანე ბატონიშვილის „კალმასობასა“ და სულხან-საბას „სწავლანში“:

და ვითარ გისწავიეს, მინდა **გამოვსცნო** (ბატონიშ., II, 21);

რათამცა **სცნო** შენ წესი და განზრახვაჲ დამთხვეულისა მის ავქსონისა (ბატონტშ., II, 236);

ქვეყნიერნი მეფენი უკეთუ მსახურთა თვისთა ვითარ წარმავალსა კეთილსა უყოფენ და იგი არა განეკრძალება, ვითარი პატიჟი მიიღოს მას ზედა, ვითარი ბოროტი **შეაცნოს?** (საბა, სწავლ., 172, 530).

-ა სუფიქსიანი ფორმები კი თითქმის ყველა ძეგლში ვნახეთ:

მისი ვერა **ვცნა** ჭორადღა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად (ვეფხ., 184, 4);

ნუთუ ვინმე ყმა დარჩომილიყოს მისი და მისით **ვცნათო** (ამ., 19, 3);

რომე მისი გულის-ნადები ვერცა მისმან პერანგმან **სცნას** და ვერცა მისისა თავისა თამამან (ვის., 265, 9);

ბოლოდ **სცნათ** ყოვლთა – არა ვარ მოშაირეთა ძმობილი (თ. I, გვ. 60. 3, 4);

რათა **სცნას** ხელმწიფემან, თუ რა გვარად გაწვრთნილი მყო-
ლებია (თ. II, 149, 28);

დამკარით პირსა და ტკაცი მიქმენით, თუ **სცნათ** ვინც არი!
(ბეს., გვ. 88);

შენ თვალები ღმერთმან მისთვის მოგცა, – ხედო სახედარი,
სულ **გამოსცნა** ავი-კარგი, რაც ნასახი სახედ არი (დავითიანი, გვ.
171. 11, 2);

მათი სამსახური ვითა **სცნას**, რას მიიჭირვებენ მისთვის (საბა,
ს.ს. გვ. 30);

მაშინ **სცნათ**, ოდეს შეხვიდეთ, რა ძალნი აქვან ამ ორთა სი-
ტყვათა (საბა, სწავლ., 61, 49);

თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ **მიცნან**, ვინც წინ მიდგა (არჩ.,
II, 650, 3);

და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებლისა და დიდებისა მისი-
სა დიდებულებისა და მისისა იმპერიისა **ვცსცნა** საქმედ ანუ ჰაზრი,
მყის განვაცხადო იგი (სამ. ძეგლ., II, 475);

აწ უკვე მსწრაფლ მოვედით, რათა უმჯობესი წესი და სჯული
გამოვარჩიოთ და **ვსცნათ**, თუ რად ჯერ არს (ქ. ცხ., I, 40, 38).

შეიმეცნოს // შეიმეცნას

პარალელიზმი ამ ზმნასთანაც დადასტურდა. არჩილი **-ო** ბო-
ლოსართიან ფორმას მიმართავს, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, პოე-
ტი ასეთ ფორმას რითმის საჭიროებითაც იყენებდეს:

ესე მასა ჰგავს, ვინ მოყვასად არავინ არ **შეიმეცნოს**,

რა თუ მზე სურვილით ვისმე აქადგან იქ აიკოცნოს (არჩ., I, გვ.
83. 2, 3).

იოანე ბატონიშვილი **-ა** სუფიქსიან წარმოებას არჩევს:

გინდა **შეემეცნათ** ამა მუმიათა ხასიათთა და თქვენს ლექსი-
კონში განმარტება ამათი დაწეროთ (ბატონიშ., II, 243).

საინტერესოა, რომ II კავშირებითის პარალელური **-ა** და **-ო**
ბოლოსართიანი ფორმები ერთდროულად ერთსა და იმავე ავტორ-
თან შევნიშნეთ. ამ მხრივ სულხან-საბა ორბელიანი და არჩილი
გამოირჩევიან. უფრო მეტიც, ფორმოზრივი პარალელიზმის ფაქტი
სულხან-საბას ერთ კონკრეტულ თხზულებაშიც დადასტურდა.

პარალელური ფორმები არჩილის სხვადასხვა თხზულებაში ვნახეთ. პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ და იამბიკო ლექსებში -**ო** ბოლოსართია:

თხუთმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ **დაასწროს** (არჩ., I, გვ. 6. 30, 1);

ფერხით მსუბუქმან ფეხმძიმეს დგენაზედ ადგილ **წასწროს** (არჩ., I, გვ. 6. 30, 4);

ერიდებოდეს, ცოდვაში სიკვდილსა არ **შეესწროსა** (არჩ. I, გვ. 120. 14, 2).

-ა ბოლოსართი პოემებში და სხვა ლირიკულ ლექსებში აღმოჩნდა:

რადას **შევესწრა**, ან თუ **დავესწრა**

სიჭაბუკისა ქვე დამდებარე? (არჩ., 68, 7);

ვინ მადლს ელოდეს, მასმია, **შეესწრას** დიდსა ცოდვასა (არჩ., I, გვ. 87. 38, 1).

„სწავლანში“ პარალელური ფორმაწარმოების შემთხვევა კონკრეტულ ზმნასთან დადასტურდა. აქ 1 -**ო** ბოლოსართიან ზმნასთან 6 -**ა** სუფიქსიანი ფორმა დავითვალეთ:

არა გულისხმაჰყოფ სიკვდილსა ქრისტესსა შენთვის, რათა განცვიფრებამან **შეგიპყროს** (საბა, სწავლ., 30, 38);

ხოლო იუდა იჭირვის და ქსოვს ბადესა ვერაგობისასა, რათა ზაკვით **შეიპყრას** უფალი (საბა, სწავლ., 146, 445);

წინამავალ ექმნებოდა იუდა ერთა უსჯულოთათა, რათა **შეიპყრას** ძე ღმრთისა (საბა, სწავლ., 148, 451);

უკეთუ კაცსა ცოდვა არა ენებოს და იძულებით სხვამან **შეიპყრას** და ცოდოს? (საბა, სწავლ., 292, 161);

ამბორს-უყოფდა იუდა პირსა მოძღვარისასა სიცრუით, რათა **შეიპყრან** ერთა მათ, ხოლო თქვენ ამბორს-უყავით ფერკთა წინამძღვართა თქვენთათა სიყუარულით, რათა ერთა შეიყვარონ (საბა, სწავლ., 148, 451);

რა-მე **მიუპყრათ**, მმანო ამისთვის განემზადენით: რამე უთხრათ? რა-მე მიუგოთ? (საბა, სწავლ., 70, 179);

ვითარცა აბედი **მიუპყრა** სიმრავლესა ნაკვერცხალთასა და მოედვას ცეცხლი, ეგრეთვე უთმინოება რა იხილონ ცოდვათა სიმრავლემან, ზედა შეეწებნენ (საბა, სწავლ., 111, 321).

„სიბრძნე სიცრუისაში“ ამ ზმნის მხოლოდ **-ა** სუფიქსიანი ფორმებია:

სადაც ხელი ჯდეს მეღწიანი კართა, იგი იქმნება და **შევიპყრათ**, და რაც გენებოს, ჰქმენო (საბა, ს.ს., გვ. 108);

ნუ შვილო, ადამის ტომი ხრიკიანია, არ **შეგიპყრასო** (საბა, ს.ს., გვ. 130);

შენს დროში ცოლ-ქმარნი ერთმანერთის ყოფისათვის გაიყვანონ და **შეიპყრან** და დაატყვევონ ვის ჟამად ქმნილაო? (საბა, ს.ს., გვ. 150).

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში ვიუზნო//ვიუზნა პარალელური წარმოების ზმნებიც გვხვდება. „სწავლანში“ **-ო** ბოლოსართიანი ზმნაა, „სიბრძნე სიცრუისაში“ კი **-ა** სუფიქსიანი ფორმებია:

ხოლო გარეშე და მსოფლიო სიტყვა და ზრახვა არა **ვიუზნოთ** (საბა, სწავლ., გვ. 21);

მე და ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დაუტყვე, რომ დადუმებით ვიყო და არა **ვიუზნა** (საბა, ს.ს., გვ. 81);

რა გინდ ბევრი **იუზნა**, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია (საბა, ს.ს., გვ. 22);

მის მსგავსად, თვით ის იყო და აწ პატრონის ჩემის შვილი წაგიგვრია და ვითღა **ვეუზნათო?** (საბა, ს.ს., გვ. 55).

სულხან-საბას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ეპოქის ავტორ-შემოქმედთა შორის. მისი თხზულებები გვაძლევს საშუალებას, გვერდი-გვერდ ვიხილოთ ძველი და ახალი გრამატიკული ფორმები. მათთვის დამახასიათებელია გრამატიკულ მოვლენათა პარალელიზმი, ანუ ძველი, ახალი და სასაუბრო ქართულის ელემენტების ერთდროულად ხმარება, თუმცა არის ძველი ქართულის მთელი რიგი გრამატიკული თავისებურებებისა, რომლებიც მხოლოდ „სწავლანისათვის“ არის დამახასიათებელი. „სწავლანში“ გამოვლინდა **-ო** სუფიქსიანი ფორმათა დიდი ნაწილი. გასაგებია, რატომაც იჩენს თავს შერჩეული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობის მიღმა ავტორის თანამედროვე მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ახალი ფორმები.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში დავადასტურეთ რამდენიმე ზმნა, რომელთაც II კავშირებითის სავარაუდო პარალელურ (-ა//ო) ფორმათაგან მხოლოდ **-ა** ბოლოსართი აქვთ:

შევიგნა (/შევიგნო)

რა შემოვიდენ ინდოეთს, **შევიგნა** მათი გვარობა (ვეფხ., 534, 2);

მეფე ბრძანებს: „რა **შევიგნათ**, გული ჩვენი რათ იხსნების?“ (ვეფხ.);

ანუ მოვკვდე ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ. II, 140, 8);

მე უგუნური ნუ გგონივართ, ვერა **შევიგნა** რა (საბა, ს.ს., გვ. 130).

მოგიტხრა (//მოგიტხრო)

ათისავ თვითო **მოგიტხრა**, რომელი რისაც ქმნელია (დავითიანი, გვ. 32. 39, 3);

ვითარცა დასნეულდეს კაცი სხეულითა და **მიუტხრას** კელოვანსა მკუნალსა, მისის წამლისა მიერ განიკურნოს სხეული (საბა, სწავლ., 289, 134);

მამაო, იოანე, დიდად მსურს, რომ შემოკლებით **მომიტხრა** ცხოვრებად და წამებად ამა მოწამეთად (ბატონიშ., II, 75);

ხოლო აწ ვიწყო და **მოგიტხრა** ყოველივე (ქ. ცხ., I, 77, 14);

მოგიტხრა თქუენ საკვრველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოისა მიერ (აბუს. ტბ., 61, 96).

დახშას (//დახშოს)

ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ **დაგვიხშან** კარია (ვეფხ., 1379, 4);

თუმც ბაგე **დახშას**, თვალეზი ციმციმებს, წამს არ იფარავს (არჩ., I, გვ. 138. 33, 2).

დაფლას (//დაფლოს)

უკეთუ უპოვარი გლახაკი მოკვდეს, სხვამან უყიდოს მონაგებისაგან თვისისა და მითივე შემოსოს და **დაფლას** (საბა, სწავლ., 109, 314).

გიგრძნას (//გიგრძნოს)

აწ ამხანაგთა არ **გიგრძნან**, წადი, მათთანან მიდია (ვეფხ., 429, 3);
სულითა ზედა აქა მოიტანე, რომელ ვერავინ **გიგრძნასო** (ვის., 122, 13);

ვირემ არ უკუვიყრები, ვერ **იგრძნან**, სმიდენ რეტადო (თ. I, გვ. 117. 3, 4);

მტერთა არ **გიგრძნან** საწადი აშკარად ანუ აზრითა (დავითიანი, გვ. 56. 208, 4);

და უწყო თხრა ქუემე ზღუდესა, და ენება, რათა ეგრეთ შევიდენ, ვერ **აგრძნან** (102, 4).

მეორე მხრივ, გამოვლინდა ზმნები, რომელთაც II კავშირებითი შესაძლო პარალელური ფორმებიდან მხოლოდ **-ო** ბოლოსართით ეწარმოება : **მოვრწყო** (**//მოვრწყა**), **დავრგო** (**//დავრგა**), **მოვიმოკო** (**//მოვიმოკა**):

მოვრწყოთ კალონი იგი, სადა განიბილწებიან გვამნი ჩვენნი ცრემლითა (საბა, სწავლ., 187, 587);

თუ კაცმან უჯეროდ და ურიგოდ ჭარბობით **მორწყოს** ბოსტანი (ბატონიშ., I, 36);

ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს **რგოს**, **მორწყოს**, ახიოს (ვეფხ., 702, 2);

ხე რა მართლიდ არ **დარგო**, სიმრუდე მუნვე ეტყობის (არჩ., I, გვ. 156. 161, 1);

რომელმან მიწაში **დარგოს** ვენახი ანუ ხილნარი და მისმა დამნერგველმა და მისი გასყიდვა მოინდომოს (სამ. ძეგლ., I, 137);

ეგნატიმ თუ არ მიშველოს, მე **მოვიმოკო**, რაცა ვთესე (თ. I, გვ. 145: ე-4).

საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში კონკრეტული ზმნის შემთხვევაში დასტურდება ფაქტები, როცა **-ო** სუფიქსი II კავშირებითის **-ე** ბოლოსართიან ფორმებს ენაცვლება.

„ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულების XVII საუკუნის ნუსხაში „განვერი“ ზმნის II კავშირებითის ძველი ფორმა გვხვდება:

და აწ მოვედ ჩუენდა, მიილე ნაწილი შენი, თუ-არა მოვიდეთ შენდა, სადაც იყო და ვერ **განერე** კელთაგან ჩუენტა ცოცხალი (ქ. ცხ., I, 46, 8).

იგივე **-ე** ბოლოსართიანი ფორმაა ჯუანშერის ისტორიის ჭალაშვილისეული ხელნაწერის ახალ ნაწილში, რომელიც 1731 წლითაა დათარიღებული:

აწ უკეთუ შენვე გამოხვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხუდენ ჩემგან ბრძოლანი ფიცხელნი, რომელთაგან ვერღარა **განერე** (ქ. ცხ., I, 154, 12).

თუმცა XV საუკუნის ანასეული და XVI საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხებში იმავე მონაკვეთში იგივე ზმნა უკვე **-ო** ბოლოსართითაა წარმოდგენილი (განვერო).

-ო სუფიქსითვე გვხვდება ხსენებული ზმნა ბესიკისა და არჩილის თხზულებებში:

რათა და შენც **განერო** საფუძველით ნატეხისა მტყორცსა მრავალ თვე-წელ-მდღევნელი (ბეს., 85, 23);

განვერო ცრუსა ენასა, ხელი ვყო საამებელთა (არჩ., I, გვ. 93. 97, 1).

შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილულ ენობრივ მასალაში **-ო** სუფიქსიანი II კავშირებითის წარმოება განსხვავებულ ვითარებას არ გვიჩვენებს. -ო ბოლოსართიან ფორმებს -ე სუფიქსიანი წყვეტილი შეესატყვისება. რაც შეეხება პარალელური ფორმების არსებობას, მართებულად მივიჩნევთ დაკვირვებას, რომელიც ახალი ქართულისთვისაა გამოთქმული და რომლის მიხედვითაც, იქ, სადაც ხსენებული კანონზომიერება არ მოქმედებს, გვხვდება პარალელური წარმოება. ასეთ შემთხვევებში კი პარალელიზმი (**-ე/-ო**) დასტურდება შესაბამისი წყვეტილის ფორმებშიც (გოგოლაშვილი 1984, 80-81).

პარალელური ფორმების განაწილებაში კონკრეტული კანონზომიერება არ შეგვინიშნავს, თუმცა რომელიმე ავტორის მიერ პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის არჩევანი შეიძლება ზოგჯერ სალექსო საზომითაც იყოს განპირობებული. ცხადია, იმავეს ვერ ვიტყვით პროზაულ ტექსტზე. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ფაქტში აისახება ზმნურ ფორმაწარმოებაში მიმდინარე ყალიბთა მონაცვლეობის ტენდენცია.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი, 1984 – გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

დამოწმებული წყაროები და შემოკლებათა განმარტებანი

აბუს. ტბ. – აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიაზე, 1233 წ. ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941.

ამ. – „ამირანდარეჯანიანი“, გამოსაცემად მოამზადა, მოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბ., 1967.

არჩ. I – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1936.

არჩ. II – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1937.

ბატონიშ. – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, 1948.

ბეს. – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, ტფილისი, 1932.

დავითიანი – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1955.

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, თბ., 1966.

ვის. – „ვისრამიანი“, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ, თბ., 1962.

თ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1934.

თ. II – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, თბ., 1932.

სამ. ძეგლ. I – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., I, 1963.

სამ. ძეგლ. II – ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., II, 1965.

საბა, მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959.

საბა, ს.ს. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბ., 1959.

საბა, სწავლ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1963.

ქ. ცხ.I – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., I, 1955.

ქ. ცხ.II – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., II, 1959.

NINO TSIKHISHVILI

**Instances of Parallel Formation to Subjunctive II with the
-Suffix -o in Middle Georgian**

Summary

In the Middle Georgian data Subjunctive II formed with the suffix -o regularly corresponds to the forms of the Aorist with the suffix -e (*davikargo – davikarge*). There are also instances of parallel formation when one and the same verb takes the suffix -o as well as the suffix -a to form Subjunctive II (*viubno-viubna*). In such instances the corresponding Aorist forms also have parallel forms (*viubne – viubenØ*).

Samples of parallel formation have been encountered in Archil's and Sul Khan-Saba's works, though, no regularities in the distribution of the given phenomenon have been stated; however, in some instances the choice of one of the two forms can be conditioned by the peculiarities of versification.

ნინო ციხიჯილი

იულიუს ასფალგი – ქართული კულტურის მკვლევარი
(დაბადებრიდან 100 წლისთავის ბაშო)

იულიუს ასფალგი დაიბადა 1919 წლის 6 ნოემბერს ბავარიაში. ადგილობრივი სახალხო სკოლისა და თრაუნშთაინის ჰუმანიტარული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სხვადასხვა დროს ეუფლებოდა ფილოსოფიასა და კათოლიკურ თეოლოგიას, სამხედრო სამსახურში ყოფნისას მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო და 1945 წელს საფრანგეთში ტყვედ ჩავარდა. ცამეტოვანი ტყვეობის შემდეგ ი. ასფალგი მიუნხენის უნივერსიტეტში კათოლიკური თეოლოგიისა და ორიენტალისტიკის შესწავლას შეუდგა, ამას მოჰყვა სადოქტორო დისერტაცია, 1952 წელს კი დაიცვა საჰაბილიტაციო ნაშრომი ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიაში. გერმანელი ორიენტალისტი იკვლევდა ეთიოპურ, სირიულ, არაბულ, სომხურ და ქართულ ენებსა და ამ ერების ძველ ქრისტიანულ ლიტერატურას. იგი იყო მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც სხვა დისციპლინებთან ერთად კითხულობდა ქართველოლოგიის სხვადასხვა კურსს. ძველი ქართული ენა და საეკლესიო ლიტერატურა მისი ვიწრო სპეციალობა გახდა. ის აქტიურად თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერებთან და საქართველოსაც რამდენჯერმე ეწვია. მისი ერთ-ერთი სტუმრობის შესახებ მოკლედ გადმოგვცემს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წლის ნომერი, საგაზეთო სტატიას ფოტოც ახლავს (შეყილაძე, 1965). ბოლოს ი. ასფალგი 1977 წლის გაზაფხულზე ჩამოვიდა საქართველოში ქართული ხელოვნების მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასასწრებად, რომელზეც სამეცნიერო მოხსენებებთან ერთად დაგეგმილი იყო გამოფენებისა და მუზეუმების მონახულება და ასევე ქართული ხელოვნების ძეგლების დათვალიერება. ამ სიმპოზიუმის დეტალებსა და შთაბეჭდილებებს ის თავადვე გვიამბობს ჟურნალ „Oriens Christianus“-ში დაბეჭდილ პატარა სტატიაში (ასფალგი, 1978).

ი. ასფალგი დაუდალავად იკვლევდა ქართულ საეკლესიო ლიტერატურას, ძველ ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას, ეკლესიის ისტორიას, ძველ ქართულ ხელნაწერებს და წარწერებს, ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანებს. ის მასალებს ქართულის შესახებ სისტემატურად აქვეყნებდა როგორც დამოუკიდებელ გამოცემებად, ისე სტატიების სახით სხვადასხვა გამოცემაში, როგორიცაა „Lexikon des Mittelalters“, „Kleines Wörterbuch des christlichen Orients“, „Theologische Realenzyklopädie“, „Le Museon“, „Bedi Kartlisa“, „Oriens Christianus“, „Byzantinische Zeitschrift“. თითქოს ყურს უგდებდა ქართული კულტურის მაჯისცემას, გერმანელი ორიენტალისტი ხსენებულ ჟურნალებში რეცენზიებით ეხმაურებოდა ამ სფეროში გამოქვეყნებულ ნაშრომებს, ქართველ მეცნიერთა იუბილეებსა და სხვა საიხლეებს.

ჯერ კიდევ 1965 წელს ი. ასფალგი გერმანიაში **ქართველოლოგიური კვლევების ისტორიით** დაინტერესდა და ჟურნალში ამის შესახებ მოკლე მიმოხილვა „ქართული კვლევები გერმანიაში“ („Über die georgischen Studien in Deutschland“) დაბეჭდა. ავტორი საუბრობს გერმანიის იმ უნივერსიტეტებზე, რომელთაც ქართველოლოგიური კვლევები უკავშირდება. აქ ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ გერმანელი და ქართველი მეცნიერები (ასფალგი, 1965). ერთ-ერთი მათგანის, კ. ჩხენკელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მან წერილიც გამოაქვეყნა (ასფალგი, 1964), ხოლო ციურისში გამოცემულ მის გერმანულ-ქართულ ლექსიკონს ცალკე სტატია უძღვნა ჟურნალში „Byzantinische Zeitschrift“ (ასფალგი, 1964).

ი. ასფალგმა ჯეროვნად შეისწავლა **საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორია** და რამდენიმე გამოკვლევაც დაწერა. „თეოლოგიური ენციკლოპედიის“ („Theologische Realenzyklopädie“) XII ტომში მეცნიერმა უამრავ წყაროსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით ექვსგვერდიან ნაშრომში საკმაოდ ოსტატურად ჩაატია საქართველოს ვრცელი ისტორია. ძირითად მომენტებზე ყურადღების გამახვილებით ავტორმა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ეფექტი შექმნა, როცა მაყურებელი (ამ შემთხვევაში – მკითხველი) მინიმალურ დროში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ ინფორმაციას იღებს. ეს პატარა ნარკვევი დაყოფილია 6 მონაკვეთად. ზოგად მიმოხილვას მოსდევს საქართველოს გაქრისტიანებაზე საუბარი. ავტორი რატომღაც ლეგენდებს უწოდებს საქართველოში ანდრია პირველწოდებულის ქადაგებას და მცხეთაში ქრისტეს კვართის დაუნჯებას. უცნაუ-

რია ავტორისეული ლოგიკაც. თურმე, ქართველებს ამ „ლეგენდების“ რეალობად წარმოჩენა იმისთვის დასჭირდათ, რათა წარმოაჩინონ ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა და ანტიოქიის პატრიარქს დაუსაბუთონ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობა. ქრონოლოგიურად ვითარდება თხრობა შემდეგ თავებშიც – 3. *სომხური ეკლესიისაგან დაშორებამდე*; 4. *1000 წელს საქართველოს სამეფოს გაერთიანებამდე*; 5. *1801 წლის საქართველოს რუსეთთან შეერთება*; 6. *ქართული სახელმწიფოს განვითარება დღემდე*, რომელიც ამჟამინდელი პატრიარქის, ილია II-ის აღსაყდრებით მთავრდება (ასფალგი, 1984).

საქართველოსა და ქართული ეკლესიის თემა გაცილებით ლაკონურად ი. ასფალგმა წარმოადგინა წიგნში „*ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი*“ („*Kleines Wörterbuch des Christlichen Orients*“). აქ ავტორმა ქართული მონასტრებისა და ქართული ბერმონაზვნობის თემა ცალკე მონაკვეთებში მიმოიხილა. საქართველოს მოქცევის შემდეგ პირველი ქართველი ბერი IV საუკუნის მე-2 ნახევარში მოღვაწე ევგარიოს პონტიკოსი უნდა ყოფილიყო. წარმომოებით ქართველი იყო V საუკუნის ცნობილი პიროვნება, პეტრე იბერიც. აქედან მოყოლებული ქართველი სულიერი მამების გარჯა არ შეწყვეტილა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. უცხოეთისკენ მათი სწრაფვაც ასკეტური იდეალის რეალიზება იყო. გელათისა და იყალთოს სამონასტრო აკადემიები კი ქართული მეცნიერების აკვნად იქცა (ასფალგი, 1975).

1960 წელს ჟურნალში „*Bedi Kartlisa*“ დაიბეჭდა სტატია „*ქართული ეკლესიის უახლესი ისტორიისა და საეკლესიო წელთაღრიცხვისათვის*“ („*Zum Kirchenjahr und zur neusten geschichte der georgischen Kirche*“). სტატიაში ავტორი მიესალმება ამავე წლის ქართული ეკლესიის ლიტურგიკული კალენდრის გამოსვლას. საქმე ეხება კალენდარს, რომელშიც მოცემულია საეკლესიო წლის ყოველი დღის ლიტურგიკული მონაცემები და მოკლე ჰაგიოგრაფიული შენიშვნები. ბერძნულ-ორთოდოქსულ საეკლესიო წელს არსებითად შეესაბამება ქართული საეკლესიო წელი, რომელიც, თავის მხრივ, გავრცობილია ქართველი წმინდანების დღესასწაულებით. მეცნიერი დაწვრილებით მიმოიხილავს კალენდრის შინაარსს. საეკლესიო დღესასწაულების გარდა, აქ არის ე. წ. „ხალხური კალენდარიც“, ანბანთრიგზე დალაგებული ჩამონათვალი წმინდანებისა, მარხვის დღეებისა, მსგეფისა, ჩამონათვალი გარდაცვალებულთა ხსენების

დღეებისა, ეპარქიათა ჩამონათვალი, 1917 წლიდან მოყოლებული საქართველოში ჩატარებული ცხრა სინოდის თანმიმდევრული ჩამონათვალი და ასევე ქართული ეკლესიის წინამძღოლთა ტრადიციული სია. თუმცა ის გამოცემის ნაკლად თვლის იმას, რომ ამ წიგნში არ არის არანაირი სტატისტიკა სასულიერო პირებისა და მორწმუნეთა რაოდენობის, ტაძრების და რელიგიური ცხოვრებისა და მსგავსი საკითხების შესახებ (ასფალგი, 1960).

ქართულ ენას კარგად დაუფლებულმა გერმანელმა ორიენტალისტმა **ქართულ ენასა და დამწერლობასაც** მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი. ქართულ ენაზე საუბრისას ავტორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „ქართული ენა ზანურთან და სვანურთან ერთად მიეკუთვნება სამხრეთკავკასიურ ენათა თვითმყოფად ჯგუფს – ქართველურს. თავისი მორფოლოგიური ტიპის მიხედვით ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფლექსიური ნიშნების მქონე აგლუტინაციური ენა. იგი არ იცნობს გრამატიკულ სქესს; ბრუნვათა შორის არის ერგატივიც, რომელიც აორისტიფუმიანი გარდამავალი ზმნის სუბიექტს მიემართება; აწმყოს ფუძე უმეტესად გავრცობილია, ხოლო აორისტის ფუძე – გაუვრცობელი; ერთსა და იმავე ზმნურ ფორმაში შესაძლებელია აფიქსებით გამოიხატოს სუბიექტური და ობიექტური პირები. ქართულში ე.წ. ნასესხები ლექსიკა შევიდა ჯერ ირანულიდან, სომხურიდან და ბერძნულიდან; მოგვიანებით – არაბულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან; თანამედროვე ეპოქაში – განსაკუთრებით, რუსულიდან, თუმცა, ქართული ენა საკუთარ თავისებურებას ყოველთვის ინარჩუნებდა“. მეცნიერი ეხება ენის პერიოდიზაციის პრობლემასაც, საუბრობს ე.წ. „ხანმეტობასა“ და „ჰაემეტობაზეც“: „მე-5 საუკუნიდან ქართული უკვე ლიტერატურის ენაა. ძველი ქართული კლასიკური ენა აღწევს დაახლოებით მე-13 საუკუნემდე და ამის შემდეგ ყალიბდება ახალი ქართული ენა“ (ასფალგი, 1975; ასფალგი, 2002). გერმანელი მკვლევარი ამ შემთხვევაში მხარს უჭერს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის შესახებ არსებულ ერთ-ერთ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ენის განვითარებაში არ არსებობს საშუალო პერიოდი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა ძველი ქართული ენის უშუალო გაგრძელებაა (ჩიქობავა, გიგინეიშვილი). მეცნიერმა განსაკუთრებით კარგად შეისწავლა ძველი ქართული ენა და რენე ცვოლანეკთან ერთად 1976 წელს 76-გვერდიანი სახელმძღვანელო „ძველი ქართულის გრამატიკა“ („Altgeorgische Grammatik“) გამოსცა. მიუხედავად აღმოჩენილი მცირეოდენი

უზუსტობებისა, გერმანელმა ლინგვისტმა ვინფრიდ ბოედერმა საკმაოდ კარგი შეფასება მისცა წიგნს: „სიმაძავედ უნდა ჩაითვალოს დღეს ძველი ქართული გრამატიკის დაწერა. წინამდებარე გრამატიკა ასეთ პატარა მასშტაბში ატევს უმნიშვნელოვანესი ფაქტების საკმაოდ სრულ სურათს. რედუქციის კვლევისას განსაკუთრებულ მოხერხებულობას მოითხოვს არსებით საკითხებზე კონცენტრირება, რაც აქ ნამდვილად მიღწეულია... წიგნში შესულია ქართული ანბანი და ძველი ქართული ფონემების სქემა, სახელური და ზმნური მორფოლოგია. აქვია დერივაციული აფიქსებისა და ნაწილაკების მიმოხილვა და ათ გვერდზე მეტი სინტაქსი. ამას მოსდევს სიტყვათა ანბანური საძიებელი და გრამატიკულ მორფემათა ე. წ. *Index a tergo*. წიგნის გამოყენებას მნიშვნელოვნად აადვილებს წიგნის შუაში განთავსებული სარჩევი, რაც საშუალებას იძლევა ხელის ერთი წავლებით სასურველ ადგილზე გადაიშალოს ის... იმედია, ბევრ მკითხველს შეიძენს იგი და ამ მკითხველისთვის ეს წიგნი იქნება სტიმული, ღრმად შეისწავლონ მომაჯადოებელი ქართული ენა და ლიტერატურა“ (ბოედერი, 1976, გვ. 372-374). ი. ასფალგი ქართული დამწერლობის პრობლემასაც შეეხო, მის წყობაზე, წარმოშობასა და განვითარების ეტაპებზე 1975 წლის ერთ-ერთ ლექსიკონში მოკლედ ისაუბრა. მან მოიყვანა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული გადმოცემა. სომხური გადმოცემის მიხედვით, ქართული ანბანი განვითარდა სომხურისგან, სხვა გადმოცემით (საუბარია მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის წყაროზე), ქართული ანბანი შექმნილია დამოუკიდებლად ქრისტემდე. 1984 წელს გერმანელმა მკვლევარმა სხვა ნაშრომშიც აღნიშნა, რომ სომეხი ისტორიკოსის, კორიუნის ცნობით, სომხეთიდან საგანგებოდ მოწვეულმა მესროპ მაშტოცმა ქართველებსაც შეუქმნა ანბანი, თუმცა არ უხსენებია ის განსხვავებული გადმოცემა, რომ ადარაფერი ვთქვათ ქართველ მეცნიერთა იმ დროისათვის უკვე არსებულ არაერთ ნაშრომზე, რომლებშიც გამოკვლეული და დამტკიცებულია ქართული ანბანის თვითმყოფადობის უტყუარობა. ი. ასფალგი ხომ პირადად იცნობდა ქართველ მეცნიერებს, ხელი მიუწვდებოდა სპეციალურ ლიტერატურაზე და საქართველოშიც რამდენჯერმე იყო ნამყოფი.

როგორც ვთქვით, **ქართული ლიტერატურა** და, კერძოდ, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა ი. ასფალგის კვლევის ძირითადი სფერო იყო. მან მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გერმანულ ენაზე გამოსცა „*ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია*“ (1955),

რომელიც კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის“ I ტომს ემყარება („Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze“). კეკელიძის ნაშრომთან შედარებით თარგმანს ზოგი რამ გამოაკლდა, ზოგი, პირიქით, დაემატა. წიგნი შედგება შესავლისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალში პარაგრაფებადაა წარმოდგენილი დამხმარე წყაროები; ქართული სალიტერატურო ენა და საწყისები ქართული ლიტერატურისა; ქართული საეკლესიო მწერლობის მთავარი პერიოდები; განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში. პირველ ძირითად ნაწილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია 74 ორიგინალური მწერალი და მთარგმნელი, მეორე ნაწილი კი – უცნობი ავტორების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს შეიცავს. მიხეილ თარხნიშვილის გარდაცვალების შემდეგ ი. ასფალგი აღნიშნული წიგნის II ტომის თარგმნას იერომირ იედლიჩკასთან ერთად შეუდგა, მაგრამ იერომირ იედლიჩკას გარდაცვალებამ ეს საქმე დააბრკოლა (ასფალგი, 1955).

ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა წრმოადგინა ი. ასფალგმა წიგნში „ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი“ („Kleines Wörterbuch des Christlichen Orients“) (ასფალგი, 1975). ეს მიმოხილვა, ოდნავ სახეცვლილი, კვლავ დაიბეჭდა 2002 წლის „შუა საუკუნეების ლექსიკონის“ („Lexikon des Mittelalters“) IV ტომში. ავტორი დასაწყისში საუბრობს ჯერ თარგმნილ ლიტერატურაზე, რომელშიც უკვე მოჩანს ბიბლიის თარგმანები, აპოკრიფები, ლიტურგიული ტექსტები. XI საუკუნისთვის ქართულ თარგმანებში უკვე პატრისტიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილია წარმოდგენილი და, როგორც ავტორი ამბობს, მათ შორისაა ნაკლებად ცნობილი ავტორების ნაწარმოებები, ანდაც ნაწარმოებები, რომლებიც სხვა ენებზე არ გადათარგმნილა. მკვლევარი შემდეგ მიმოიხილავს ორიგინალურ სასულიერო ლიტერატურას. აქ ცალ-ცალკე საუბრობს ჰაგიოგრაფიულ, ჰიმნოგრაფიულ და საეკლესიო სამართლებრივ ტექსტებზე. იგი საერო მწერლობიდან ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ საისტორიო თხზულებებსა და საერო პოეზიაზე. ი. ასფალგი ახსენებს ასევე ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდებს პირობითი სახელწოდებებით, როგორებიცაა „აღმოსავლური პერიოდი“, „ოქროს ხანა“, „ვერცხლის ხანა“.

მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გამოცემული წიგნის შემდეგ ი. ასფალგმა ამ წიგნის ერთგვარი მიმოხილვა გამოაქვეყნა ჟურნალში

„Bedi Kartlisa“. სტატიის სათაურია „ქართული საეკლესიო მწერლობა, მიმოხილვა მ. თამარაშვილის ახალი წიგნისა“ („*Die Kirchliche georgische Literatur, Ein Überblick aufgrund des neuesten Buches von P. M. Tarchnischvili*“). აქ დეტალურადაა აღწერილი წიგნის შედგენილობა და შინაარსი. ავტორის შეფასებით, ეს წიგნი არის „მეცნიერულად საიმედო და შეძლებისდაგვარად სრული წარდგენა ქართული საეკლესიო მწერლობისა, რასაც მადლიერებით მიესალმება არამართო მეცნიერება. იგი განკუთვნილია იმისათვისაც, რომ ფართო წრეებს გაუჩინოს ინტერესი და ცოდნა ქართველი ხალხისა და მისი უძველესი ლიტერატურისა“ (ასფალგი, 1957, გვ. 45).

ცალკე უნდა აღინიშნოს „*მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონი*“ („*Lexikon der Weltliteratur*“), რომელშიც შესულია ი. ასფალგის ოცამდე წერილი ქართველ მწერალთა შესახებ. აქ წარმოდგენილი არიან არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის მწერლები და პოეტებიც (ასფალგი, 1975).

აღსანიშნავია **ძველი ქართული თარგმანებისადმი** გერმანელი ორიენტალისტის ინტერესი, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი საჰაბილიტაციო ნაშრომის, „*მცირე წინასწარმეტყველთა (ამოსი, მიქაია, იონა, სოფონია, ზაქარია) ძველი ქართული თარგმანების*“ („*Georgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Sophonias und Zacharias*“) შინაარსი (ასფალგი, 1961).

2002 წლის „*შუა საუკუნეების ლექსიკონში*“ („*Lexikon des Mittelalters*“) ბიბლიის ქართულ თარგმანებზე საუბრისას ი. ასფალგი ამბობს, რომ „ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანი შეიქმნა სომხურ თარგმანთან მჭიდრო დამოკიდებულებაში, რომელმაც, თავის მხრივ, ძველი სირიული ვარიანტები ქართულ ენაზე გადმოიტანა“ (ასფალგი, 2002/ა, გვ. 94-95). იგივე აზრია გამეორებული მიხეილ თარხნიშვილთან ერთად გამოცემულ ზემოხსენებულ წიგნში: „ოთხთავის უძველესი თარგმანი, რომელიც სომხურის გავლენას განიცდის, ჩვენამდე მოღწეულია ე.წ. ადიშის ოთხთავის (897 წ.) სახით (ასფალგი, 1957, გვ. 48).“ ვფიქრობ, კრიტიკას ექვემდებარება სომხური დედნებიდან ქართული ბიბლიის უძველესი თარგმანის მომდინარეობაზე დაბეჯითებული საუბარი. მით უმეტეს, რომ არსებობს ამ დარგის სპეციალისტთა განსხვავებული არგუმენტირებული თვალსაზრისები. ერთი თვალსაზრისით, IV საუკუნის შუა წლებისათვის უკვე არსებობდა ე.წ. „პროტო ვულგატა“, რომელიც მთლიანად ბერძნულ რედაქციას ეფუძნებოდა და, თუ რომელიმე გვიანდელ

რედაქციაში მაინც მოჩანს სომხურის კვალი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ სომხური დედანი ედო წინ ქართველ მთარგმნელს. ქართველი რედაქტორები ცდილობდნენ ზოგიერთი სახარებისეული გამონათქვამის დაზუსტებას არა მხოლოდ ბერძნული ორიგინალის მიხედვით, არამედ მათთვის ხელმისაწვდომი სომხური თარგმანის მიხედვითაც. ყველა წყაროს გათვალისწინების მცდელობა – ეს არის ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომა თარგმანისადმი და ე. წ. „გლობალური მონუმენტურობის“ ნიმუში (ჭელიძე, 2016). ადიშის სახარების წარმომავლობაზე ახარანაული ფიქრობს, რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში სომხურის მიხედვით უნდა შესრულებულიყო ბიბლიის ტექსტის ახალი თარგმანი თუ რეცენზია, რაც მონოფიზიტი ქართველებისათვის უნდა ყოფილიყო განსაზღვრული (ხარანაული, 2012).

1975 წელს გამოცემულ წიგნში „ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი“ („*Kleines Wörterbuch des Christlichen Orients*“) ი. ასფალგი, წიგნის ფორმატიდან გამომდინარე, ძალზე სქემატურად მიმოიხილავს და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგენს **ქართული წარწერების** ისტორიას. იგი ცალ-ცალკე საუბრობს სამშენებლო წარწერებისა და ფრესკული წარწერების შესახებ. ყველაზე ძველია მე-5 საუკუნის შუა წლების ბეთლემში გათხრებისას აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერები. ფრესკული წარწერებიდან უძველესია მე-6 საუკუნის საჰაკდუხტის წარწერა. ამავე წიგნში ი. ასფალგი ასევე ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლება **ქართულ ხელნაწერებზეც**, თუმცა, როცა მის მიერ გამოყენებული ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურისა თუ წყაროების სიას გადაავლებ თვალს, გასაგები ხდება შესრულებული სამუშაოს მასშტაბი და სიღრმე. მეცნიერი ჩამოთვლის საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ ხელნაწერთა ლოკაციის ადგილებს, მერე საწერ მასალასა და დათარიღების სისტემაზეც ამბობს ორიოდ სიტყვას. იმ დროის მონაცემებით, 10 000-მდე ხელნაწერს უნდა მოიცავდეს ქართულ ხელნაწერთა მთლიანი ფონდი. ძირითადი შემადგენლობა თბილისსა (8000) და ქუთაისშია (700). ამას ემატება რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში შემონახული რამდენიმე ასეული ხელნაწერი. ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი შემადგენლობაა ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ძველ მონასტრებში, სადაც ქართველი ბერები ქართული სულიერებისა და მწიგნობრობის აღორძინებისათვის ოდესღაც იღვწოდნენ. ესენია ივერიონის მონასტერი

ათონის მთაზე, სინას მთის მონასტერი და ბერძნული პატრიარქატი იერუსალიმში. სინას მთის ეკატერინეს მონასტერში ინახება სიძველისა და შინაარსის მიხედვით ფასდაუდებელი 8 ნ ხელნაწერი, ხოლო ბერძნული პატრიარქატი ინახავს იერუსალიმის ყოფილი ქართული მონასტრის არანაკლები მნიშვნელობის 161 მანუსკრიპტს (ასფალგი, 1975). ი. ასფალგი ქართულ ხელნაწერებზე საუბარს კიდევ ერთხელ უბრუნდება თავისი ერთ-ერთი წიგნის შესავალში, ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურებს შორის ქართული ლიტერატურა ყველაზე გვიან მოექცა ევროპული კვლევების მხედველობის არეში. ევროპაში გარკვეული ცოდნა არსებობდა სირიული, ქრისტიანული არაბული, კოპტური და სომხური ლიტერატურის შესახებ მაშინ, როცა აქ ქართული მწერლობა არც ისე კარგად იყო ცნობილი. ეს გასაკვირია მით უფრო, რამდენადაც საქართველოს არ ჰქონია ურთიერთობის დეფიციტი დასავლეთის ქვეყნებთან. იგი მკითხველისთვის აკეთებს საგანგებო ექსკურსს, ქრისტიანულ სამყაროსთან საქართველოს ხანგრძლივი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ამსახველს. და ამის შემდეგ სვამს კითხვას: ამდენსაუკუნოვანი ურთიერთობისას რატომ ჩააღწია დასავლეთში ასე ცოტა ქართულმა ხელნაწერმა? (ასფალგი, 1963). კითხვაზე პასუხი მარტივია: ჩვენი წინაპრები სიცოცხლეზე მეტად უფროთხილდებოდნენ ამ ხელნაწერებს, რადგან მტრების შემოსევებსა თუ სხვა კატაკლიზმებს გადარჩენილი პალიმფსესტები და პაპირუსის ფრაგმენტები მათ ეროვნულ და რელიგიურ იდენტობასთან ასოცირდებოდა. ცალკეული შემთხვევების გარდა, მათი გაყიდვა-გასხვისება ეროვნული ღალატის ტოლფასი იყო. თვალწინ გვაქვს მაგალითი არც თუ შორეული წარსულიდან, როცა ბოლშევიკურ აგრესიას უცხოეთში გარიდებულ ქართულ საგანძურს შვილივით უპატრონა ექვთიმე თაყაიშვილმა. მოგვიანებით ქართულმა ხელნაწერებმა, როცა მათ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის სახით საიმედო თავშესაფარი გამოუჩნდა, ერთ ჰერქვემ მოიყარა თავი. თავად ავტორიც შენიშნავს: მართალია, ყოფილი მფლობელებისთვის ხელნაწერთა თბილისში ჩაბარება მტკივნეულიც იყო, მაგრამ მეცნიერებამ ამ ცენტრალიზაციით უდავოდ დიდი მოგება ნახა. დღეისათვის თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტი აერთიანებს თავის დროზე დამოუკიდებელ სამ კოლექციას. ესენია: ე.წ. A-კოლექცია, რომელიც ადრე თბილისის საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნოდა; S-კოლექცია, რომელიც უწინ 1879 წელს დაარსებული

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მფლობელობაში იყო; H-კოლექცია – 1907 წელს დაფუძნებული „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კუთვნილი; Q-კოლექცია, რომელიც „ახალი კოლექციის“ სახელითა ცნობილი. ინსტიტუტი პერმანენტულად ადგენს მეცნიერულად დამუშავებულ დეტალურ კატალოგებს, რეგულარულად აქვეყნებს ძველი ტექსტების კრიტიკულ გამოცემებს და თავისთავად ჟურნალში „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“ ბეჭდავს სათანადო სტატიებს. გერმანელი მეცნიერი ყურადღებით ადევნებდა თვალს ინსტიტუტის ყველა აქტივობას, ხელნაწერთან დაკავშირებულს, და ამ სიახლეთა შესახებ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს აქტიურად აქვეყნებდა ჟურნალში „Oriens Christianus“, რომლის გამომცემელიც წლების განმავლობაში თვითონვე იყო. მაგალითისათვის მოვიყვანთ ჟურნალის მე-60 და 62-ე ტომებში მის მიერ დაბეჭდილ რეცენზიებს, რომლებშიც ი. ასფალგი დასავლეთის სამეცნიერო საზოგადოებას ინსტიტუტის მიერ ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კატალოგის გამოცემას აუწყებს. ავტორი სიხარულით აღნიშნავს გამოცემების ღირსებას: „ახალი აღწერილობები, როგორც ამ ტომში შესულმა პირველმა ასმა ხელნაწერმა გვიჩვენა, შეესაბამება ახალი კატალოგიზაციის ძირითად პრინციპებს და აკმაყოფილებს ყველა სამეცნიერო მოთხოვნას: აქ არის გამოწვლილვითი კოდიკოლოგიური ინფორმაციები, ცალკეული ტექსტების მონაცემები ავტორით, სათაურით, ინციპიტით, ექსპლიციტით, შენიშვნები გამოცემებზე, დამატებითი ლიტერატურა, კოლოფონების სრულყოფილი რეპროდუქცია და დანართების გაშიფრვა შესაძლებისდაგვარად“ (ასფალგი, 1976, გვ.197). ი. ასფალგი ეხმაურება ხელნაწერთა წიგნად გამოცემებსაც. 1970 წელს ვახტანგ იმნაიშვილმა გამოსცა *ათანასი ალექსანდრიელის „წმინდა ანტონის ცხოვრების“ კიმენტური რედაქცია*; რომლის ტექსტიც მე-9, მე-10, მე-11 საუკუნეების ხელნაწერებშია შესული. რეცენზენტი გამოცემის მთავარ ღირსებად თვლის სხვა დედნებთან შედარების გზით ტექსტის კრიტიკულ დამუშავებასა და გამოცემული ტექსტის ენობრივ თავისებურებათა დეტალურ კვლევას (ასფალგი, 1972). გერმანელ ორიენტალისტს შეუძნეველი არ დარჩენია არც ჭილ-ეტრატის იადგარის სრული გამოცემა, რომელიც აკაკი შანიძემ 1977 წელს გამოაქვეყნა. რეცენზიის ავტორი აღნიშნავს როგორც გამოცემული წიგნის, ისე თავად ხელნაწერის ღირსებებსაც: კოდიკოლოგიური თვალსაზრისით, ხელნაწერი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ აქ

ჭილის ფურცლები ეტრატის ფურცლებთან ერთსა და იმავე ადგილას მონაცვლეობენ ისე, რომ ჭილი, თავისი სიმტკიცეიდან გამომდინარე, გამოყენებულია ათფურცლედის შიდა და გარეთა ფურცლებად, მათ შორის კი ყოველი მესამე პერგამენტია. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, იგი დიდად საინტერესოა უამრავი აბრევიატურით და შემოკლების ხერხებით ისეთ სიტყვებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ ექვემდებარებიან შემოკლებას. თავად წიგნი მნიშვნელოვანია ჰიმნოლოგებისთვის და ფილოლოგებისთვის (ასფალგი, 1978/ბ).

1963 წელს ი. ასფალგმა ვისბადენში გამოსცა წიგნი „ქართული ხელნაწერები“ („Georgische Handschriften“). წიგნში წარმოდგენილია 15 ქართული ხელნაწერი, რომლებიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქის წიგნსაცავებშია დაცული. მისი ღირსება სწორედ ისაა, რომ აქ პირველად ქართული ხელნაწერები აღწერილია თანამედროვე მეცნიერული პრინციპების მიხედვით. გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: ქართულ ხელნაწერთა ი. სიმონისიეულმა მიმოხლვამ და მათი კატალოგიზაციის მიზნით ჩატერებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ გერმანიამდე ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა ჩააღწია, რომლის აღწერილობაც ამ კატალოგშია წარმოდგენილი. მანამდე ბერლინის ყოფილ პრუსიულ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში არსებობდა მხოლოდ სია ქართული ხელნაწერებისა, რომელიც მოიცავდა საბეჭდი მანქანით დაწერილ ერთ გვერდს, შედგენილს რ. მეკელაინის მიერ. ასეთივე მოკლეა ლაიპციგის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში კ. ვოლერის კატალოგში არსებული აღწერილობა ხუთი ქართული ხელნაწერისა.

ყოველ ხელნაწერს წინ უძღვის მოკლე ტექნიკური აღწერილობა, რომელშიც ხელნაწერის საკატალოგო ნომერსა და სიგნატურას, ასევე, ბიბლიოთეკის დაზუსტებას მოჰყვება ინფორმაცია ყდის, საწერი მასალის, ხელნაწერის ზოგადი მდგომარეობის, ფურცლების რაოდენობის, ფორმატის, სვეტებისა და სტრიქონების რაოდენობის, კუსტოდების, შრიფტის, თარიღის შესახებ; ამას მოსდევს ინფორმაცია მხატვრული გაფორმების შესახებ; დაბოლოს, დაზუსტებულია მონაცემები გადაწერის, გადაწერის დროისა და ადგილის, ხელნაწერის მოპოვებისა და წარმომავლობის შესახებ. ტექნიკურ აღწერილობას მოჰყვება ხელნაწერის შინაარსობრივი აღწერა, ანდერძ-მინაწერების ანალიზი და მოყვანილ ციტატებს შორის ზოგჯერ ავტორისეული კომენტარიც გვხვდება. ეს ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდება ეპოქის, შინაარსის, წარმომავლობის მიხედვით და უმ-

რავლესობა ფრაგმენტული ხასიათისაა. მათი უმეტესობა შესრულებულია ხუცურითა და მხედრულით, თუმცა იშვიათად გვხვდება ასომთავრულით დაწერილი ფრაგმენტებიც. ხელნაწერთა დათარიღებასა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაში ავტორს ხშირად ანდერძ-მინაწერები ეხმარება, ზოგჯერ კი სხვა რედაქციებთან შედარების მეთოდია გამოყენებული. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებთ მოკლედ. ამ ხელნაწერთაგან ყველაზე ძველი გოტინგენის პალიმფსესტური ფრაგმენტებია, რომლებიც პირველადი ქრისტიულ-პალიმფსესტური ტექსტისა, მისი ენის შესასწავლად დიდად საინტერესოა. ეს ფრაგმენტები გაჩუქებულია გოტინგენში. ღრმად ამოშლილ ტექსტზე ხუცური ასოებით შესრულებულია ქართული ტექსტი. მიუხედავად მისი მკვეთრად ფრაგმენტული ხასიათისა, ტექსტის იდენტიფიცირება შესაძლებელია. ის არის ბერ ალექსანდრე კვიპრელის (მე-6 ს.) მიერ წმინდა ჯვრის შესახებ ბერძნულად დაწერილი თხზულების ქართული თარგმანი. ეს ფურცლები, დიდი ალბათობით, დაწერილია კარგად ცნობილი ქართველი ბერის, იოანე ზოსიმეს მიერ, რომელიც მე-10 საუკუნეში პალესტინასა და სინას მთაზე მოღვაწეობდა. ხელნაწერი №11 შეიცავს პერგამენტის ფურცლებს, რომლებიც ასახავს წმინდანთა ცხოვრების ნაკრებს. ის მანამდე ლამაზი ხელით შექმნილი ვრცელი „მრავალთავი“ უნდა ყოფილიყო. პალეოგრაფიული დასკვნების მიხედვით, მათი გადაშწერი, დიდი ალბათობით, ბერი გრიგორი პროხორია, რომელიც ამავე დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღმდგენელია. ბიბლიის textus receptus-ი კი წარმოდგენილია №1 ხელნაწერში მარკოზისა და იოანეს სახარების ნაწყვეტებით, რომლებიც, სავარაუდოდ, მე-12-13 საუკუნეების ოთხთავს ეკუთვნოდა, და ასევე შემონახულია №14 ხელნაწერში ლექციონარის 2 ფურცლით. ასევე მრავალფეროვანია **მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებიც**. მაგალითისათვის უნდა დავასახელო 1728 წლის „ჟამნი“, რომელიც ასტრახანში მხედრული ანბანით გადაუწერია ვინმე ლუარსაბს. ხელნაწერის მინაწერებში ავტორს შეუნიშნავს მე-18 საუკუნის ზოგიერთი ტექსტისათვის დამახასიათებელი თავისებურება, როცა სიტყვაში თანხმოვანთა ჯგუფში ა ხმოვანი ხელოვნურად ჩაერთვის (მაგ. აღადგომა). ეს თავისებურება აღნიშნულია ქართული ტერმინით „ანმეტობა“. მრავალმხრივი თვალსაზრისით, ყურადსაღებია სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი ქართული ლექსიკონის ძველი ასლი (ხელაწ. №9), რომელიც უფლისწულმა თეიმურაზმა, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორ-

გი XII-ის, ვაჟმა 1836 წელს პრუსიის მეფე ვილჰელმ III-ს მასთან სტუმრობისას აჩუქა, როგორც ამას კატალოგის ავტორი უფლისწულის ხელით გაკეთებული წარწერიდან არკვევს. მეფემ ეს ხელნაწერი ალექსანდრე ჰუმბოლდტს აჩუქა. ჰუმბოლდტისგან კი ხელნაწერმა საჩუქრის სახით ჩაადგინა ბერლინის პრუსიულ სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. კატალოგის შესავლის ბოლოს ი. ასფალგი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ხელნაწერთა დიდ მნიშვნელობაზე და ამბობს, რომ ისინი, განსაკუთრებით კი შედარებით ძველი ხელნაწერები, იმსახურებენ ძალიან დეტალურ კვლევას. ავტორი წინათქმაში მადლობას უხდის გერმანელ და ქართველ კოლეგებს ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენებს ქართველ მეცნიერებს, აკაკი შანიძესა და ილია აბულაძეს, რომელთაც, მიუხედავად ტექსტის სიძველით გამოწვეული სიძნელეებისა, თვითონვე შესთავაზეს გერმანელ კოლეგას კორექტურის წაკითხვა. ავტორისავე სიტყვებით, ეს „სცილდება ბანალური დახმარების ჩარჩოებს და წარმოადგენს სასიხარულო მაგალითს საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობისა, რომელსაც საზღვრები არა აქვს“ (ასფალგი, 1963, გვ. IX). ი. ასფალგი მადლობას უხდის თავის უფროს მეგობარსა და ქართველოლოგიაში გზის გამკვალავს, მ. თარხნიშვილს, ვის ხსოვნასაც ამ წიგნს უძღვნის. ამ მადლიერების გამოხატულებათა ასფალგისავე ვრცელი წერილი მიხეილ თარხნიშვილის შესახებ, რასაც მისი ნაშრომების ბიბლიოგრაფიაც ერთვის (ასფალგი, 1959). ჩვენ კი მადლობას ვუხდით ბატონ ასფალგს იმ დიდი გარჯისათვის, ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის რომ გასწია და ამით თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანული სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობის გაღრმავებაში.

ლიტერატურა

ასფალგი, 1955 – Assfalg J., Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze. Bearbeitet von P. Michael Tarchnischvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg, Studie Testi 185, Cittadel Vaticano, 1955.

ასფალგი, 1957 – Assfalg J., Die Kirchliche georgische Literatur, Ein Überblick aufgrund des neuesten Buches von P.M.Tarchnischvili, *Bedi Kartlisa*, №23, Paris, 1957.

ასფალგი, 1959 – Assfalg J., P. Michael Tarchnischvili, *Bedi Kartlisa*, №32-33, Paris, 1959.

ასფალგი, 1960 – Assfalg J., Zum Kirchenjahr und zur neuesten Geschichte der georgischen Kirche, *Bedi Kartlisa*, Paris, 1960, №34-35.

ასფალგი, 1961 – Assfalg J., Georgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Sophonias und Zacharias, Texte aus den georgischen Handschriften Jerusalem Nr. 7 und 11 (11 Jh.). Athos Nr. 1 (A. D. 978). Sinai Nr. 37 (10 Jh. hg. und untersucht von Julius Assfalg, München, 1961 (Habilitationsschrift).

ასფალგი, 1963 – Assfalg J., Georgische Handschriften, Wiesbaden, 1963.

ასფალგი, 1964 – Assfalg J., Pierre Kita Tschenkeli, *Bedi Kartlisa*, №45-46, Paris, 1964.

ასფალგი, 1964/ა – Assfalg J., Rez. Zum K.Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Bizantinische Zeitschrift, 57, 1964.

ასფალგი, 1965 – Assfalg J., Über die georgischen Studien in Deutschland (kurzer Überblick), *Bedi Kartlisa*, №48-49, Paris, 1965.

ასფალგი, 1972 – Assfalg J., Rez. zu *Atanasi Aleksandrieli, Chovreba ycmidisa Antonisi*, hrsg. Von *Vachtang Imnaishvili* (Redaktor A. Shanidze), Oriens Christianus, Band 56, Otto Harrasowitz. Wiesbaden, 1972.

ასფალგი, 1975 – Assfalg J., Kleines Wörterbuch des Christlichen Orients, hg. Von Julius Assfalg in Verbindung mit Paul Krüger (+), Wiesbaden, 1975.

ასფალგი, 1975/ა – Assfalg J., in: Lexikon der Weltliteratur, hg. von G. Von Wilpert, Stuttgart, 1975.

ასფალგი, 1976 – Assfalg J., Altgeorgische Kurzgrammatik von R. Zwolanek in Zusammenarbeit mit Julius Assfalg, Freiburg, Schweiz und Göttingen, 1976.

ასფალგი, 1976/ა – Assfalg J., Rez. zu *T. Bregadze, M. Kavtaria, L. Kutateladze*, (Red. E. Metreveli), *Kartul chelnacerta agceriloba qofili saeklesio muzeumis (A) kolekciisa*, Oriens Christianus, Band 60, Otto Harrasowitz. Wiesbaden, 1976.

ასფალგი, 1978 – Assfalg J., Zweites Internationales Symposium über georgische Kunst, Tbilissi-Gelati, 25.-30. Mai 1977, *Oriens Christianus*, Band 62, 1978.

ასფალგი, 1978/ა – Assfalg J., Rez. zu *Elene Metreveli* (Red.), *Kartul chelnacerta agceriloba qofili saeklesio muzeumis (A) kolekciisa*, Oriens Christianus, Band 62, Otto Harrasowitz. Wiesbaden, 1978.

ასფალგი, 1978/ბ – Assfalg J., Rez. zu *A. Shanidze, A. Martirosovi, A. Jishiashvili, Chil-etratis Iadgari*, Oriens Christianus, Band 62, Otto Harrasowitz. Wiesbaden, 1978.

ასფალგი, 1984 – Assfalg J., Theologische Realenzyklopedie, Georgien, Band XII, Walter de Gruyter. Berlin. New York, 1984.

ასფალგი, 2002 – Assfalg J., Georgische Sprache und Literatur, in: Lexikon des Mittelalters, Band IV, München, 2002.

ასფალგი, 2002/ა – Assfalg J., Georgische Bibelübersetzungen, in: Lexikon des Mittelalters, Band II, München, 2002.

ბოედერი, 1977 – [Boeder W., Besprechung von:] Renée Zwolanek in Zusammenarbeit mit Julius Aßfalg: Altgeorgische Grammatik (= Orbis Biblicus et Orientalis. Subsidia Didactica 2). Freiburg/Schweiz: Universitätsverlag; Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht, 1976, Ostkirchliche Studien 26 (1977): 195-197 [abgedruckt in: Bedi Kartlisa 36 (1978): 372-374.

თურნავა, 1978 – თურნავა ს., საზღვარგარეთული ქართველოლოგია, თბ., 1978.

იმნაიშვილი, 1968 – იმნაიშვილი, იულიუს ასფალგი, „ლიტერატურული საქართველო“, 19 ივლისი, თბ., 1968.

იმნაიშვილი, 2001 – იმნაიშვილი ვ., იულიუს ასფალგი, „თბილისის უნივერსიტეტი“, №2, თბ., 2001.

რევიშვილი, 1977 – რევიშვილი შ., იულიუს ასფალგი და ქართული მწერლობა, „უცხოური ენები სკოლაში“, №1, თბ., 1977.

შეყილაძე, 1965 – შეყილაძე გ., ქართველ მეცნიერთა სტუმარი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 25 აპრილი, გვ.4.

ჭელიძე, 2016 – ჭელიძე ე., ბიბლიის წიგნთა უძველესი ქართული რედაქციები, 2016. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=590%3A2016.

ჭუმბურიძე, 1999 – ჭუმბურიძე თ., იულიუს ასფალგი-80, „ბურჯი ეროვნებისა“, №12(14), თბ., 1999.

ხარანაული, 2012 – ხარანაული ა., ჟურნალი „ქართველოლო-
გი“, №18, 2012.

NINO TSIKHISHVILI

**Julius Assfalg – an Explorer of Georgian Culture
(a centenary of his birth)**

Summary

Alongside philological and historical issues of the Christian East (i.e. Syriac, Palestinian, Coptic, Ethiopian, Armenian) Julius Assfalg, the well-known 20th century German orientalist, a Munich University professor, an Honorary Doctor of Tbilisi State University, tirelessly investigated Georgian culture.

The German Kartvelologist studied the ecclesiastical history of Georgia and the Georgian language and literature. He mainly focused on Old Georgian ecclesiastical manuscripts, biblical translations and inscriptions. He was also interested in the issue of the origin of the Georgian alphabet. Of particular relevance is Assfalg's work *Georgian Manuscripts* published in Wiesbaden. At different times Julius Assfalg participated in issuing Georgian dictionaries; he also wrote articles as well as published interesting materials on Georgia in different European journals thus regularly familiarizing scholars abroad with the results of Kartvelological studies. J. Assfalg cooperated both with the Georgian scholars living in Germany and those living in Georgia. At Munich University he delivered lectures on Old Georgian.

ბიოგრაფი ცოცხანიძე

ხმავსურთმოცე და სახმავსურთმოცე(თუშეთისა და ხმავსურთმის საკრალური
ურთიერთობის ისტორიიდან)

თუშეთისა და ხევსურეთის ურთიერთობის აქამდის აუხსნელმა ერთმა ტრადიციამ, რომელმაც მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდის მოაღწია, დიდი საფიქრალი გაუჩინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკვლევარ ეთნოლოგებს. საქმე ისაა, რომ თუშეთის სამი ხეობის – ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის – თითქმის ყველა სოფელთან არსებობდა ხევსურეთის ორი მთავარი სალოცავის – კარატის ჯვრის, იმავე გმირი კოპალა კარატიონისა და ხახმატის ჯვრის, იმავე გიორგი ნაღვარმშვენიერის ნიშები, რომლებიც ზოგან სალოცავის ყორეთა ნაშთების, ზოგან მხოლოდ ადგილთა სახელების სახით, დღემდე შემორჩენილი. ტრადიცია კი იმაში მდგომარეობდა, რომ ხევსურეთში საზაფხულო რელიგიური დღესასწაულების, ათენგნობების, დაწყებამდე ორიოდვე კვირის წინ, ამ ორი სალოცავის ხუცეები ააბამდნენ სალოცავების დროშებს და ადგილზე გარკვეული საღვთისმსახურო რიტუალების შესრულების შემდეგ ამ დროშებით ხელში თავიანთ ცხენ-ჯორებზე ამხედრებულნი, თითოეული რამდენიმე დასტურის თანხლებით, გაემგზავრებოდნენ თუშეთისაკენ, ხიდოტანის ქედის გავლით გადაივლიდნენ აწუნთის უღელტეხილს, ჩაუყვებოდნენ პირიქითის ხეობას, მოილოცავდნენ თითოეულ სოფელთან არსებულ კარატის ჯვრისა და ხახმატის ჯვრის ნიშებს, გადავიდოდნენ ჩაღმის ხეობაში, მივიდოდნენ დაღისტნის საზღვრამდის, სოფ. ჭერომდის, იქიდან შემობრუნებულნი, ჭანჭახონის ავლით, გადავიდოდნენ გომეწრის ხეობაში, ასევე მოილოცავდნენ გომეწრის სოფლებთან არსებულ „ხევსურთსალოცავებს“ და საბოლოოდ გავიდოდნენ გომეწრის ხეობის ბოლოს, ჯავახის ველზე. იქ სახევსურეთო გზის გადაღმა-გადმოღმა იყო ხახმატის ჯვრისა და კარატის ჯვრის ნიშები, აქ თუშები ხევსურებს გაუმართავდნენ გასაცილებელ სუფრას და ხიდოტან-ჭაწუნთის გადმოვლით თუშეთში გადმოსულნი ალაზნისთავის გავლითა და

ბორბალოს მთის გადავლით დაბრუნდებოდნენ ხევსურეთში, მიაბრძანებდნენ ხახმატისა და კარატის ჯვრების დროშებს თავ-თავიანთ ძირითად საბძანისებში. ამას თანვე მოჰყვებოდა „ათენგენობები“ და კარატის ჯვრის ხატობა ლიქოკის ხეობაში, ჭალაის სოფელთან, კოპალას მთავარ სალოცავში, ხოლო ხახმატის ჯვრისა – სოფელ ხახმატთან, გიორგი ნაღვარმშვენიერის სალოცავში.

თუშეთში გადმოსული ხევსურები მტკიცედ იცავდნენ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ სამოგზაურო მარშრუტს და ქვევის სავალდებულო წესებს, რომელთა დარღვევაც არაფრით არ შეიძლებოდა. უპირველეს ყოვლისა, თუშეთის სოფლებს მიახლოების-თანავე ისინი აიხსნიდნენ საომარ იარაღებს (მოგზაურობას შეიარაღებულნი იწყებდნენ, რადგან გზად მოსალოდნელი იყო მტერთა თავდასხმები, რაც არაერთხელ მომხდარა კიდევაც) და მხოლოდ ქმარ-ხანჯლების ამარა შემოვიდოდნენ თუშეთში. ხანჯალი, მოგეხსენებათ, საომარი იარაღი არაა, იგი მთიელი მამაკაცის მორთულობის ატრიბუტია. აქ მათ სასტიკად ეკრძალებოდათ ერთუერთმორის შუღლი. დამხვედრ თუშებთან გაუგებრობები კი გამორიცხული იყო, რადგან ისინი მათ, როგორც ღვთაებათა წარმომადგენლებს, მოკრძალებითა და მოწიწებით ექცეოდნენ. სხვა მტერთაგან „ჯვარიონების“ უსაფრთხოებაზე კი თუშებივე ზრუნავდნენ. ხევსურებს ამ პილიგრიმული მოგზაურობის მარშრუტზე ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდათ დადგენილი, სად მხოლოდ გავლით უნდა შეჩერებულიყვნენ და აღესრულებინათ სალოცავი წესები და სად ღამეთენებით უნდა დამდგარიყვნენ. თუშებიც ხევსურ ხუცესებს ერთგან თუ მხოლოდ **სანთელ-ზედაშესა** და **ხმიადებს** დაალოცვინებდნენ, მეორეგან **„ქვამ-საკლავს“** დაახვედრებდნენ და სუფრებსაც გაუშლიდნენ. თუშები იმ პერიოდს, როცა ხევსურთა ჯვარიონები თუშეთში გადმოდიოდნენ, „**ხევსურთმოეს**“ ეძახდნენ, მათ შესახვედრად ლუდის მოხარშვა-დაყენებას კი – „**სახევსუროებს**“. ასე რომ, „ხევსურთმოე“ და „სახევსუროებიც“ თუშთა რელიგიურ კალენდარში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს წარმოადგენდა.

თუშებს სწამდათ ხევსურთა სალოცავების მფარველობითი ძალების განსაკუთრებულობა და ამიტომ საგანგებოდ ემზადებოდნენ მათ მისაღებად და გასასტუმრებლად. ამასთან ხევსურ დეკანოზებს აღასრულებინებდნენ ზოგ საკრალურ რიტუალებს, რაც, მათი აზრით, მხოლოდ ამ უკანასკნელთ ჰქონდათ მორიგე ღმერთისაგან „მილოცვილი“. ასეთთა რიგს მიეკუთვნებოდა ე. წ. „დაკოჭვა“ ქონებისა,

ცხვარ-ბინისა, ახლად აშენებული სახლისა თუ ციხისა, ახალშენებულ-
ბული ძე-წულისა და სხვა. სამისოდ თუმი „ხევსურთმოცეთვის“
მოხარშავდა ერთ ქვაბ ალუდს, გაიჩენდა საკლავსაც – თეთრ, უნიშ-
ნო, კენტი წლოვანების მამალ ცხვარს – და როცა ხევსურთა ჯვარიო-
ნი მისი სოფლის სიახლოვეს არსებულ სალოცავში მოვიდოდა, იგი
დეკანოზთან გამოცხადდებოდა სანთელ-ზედაშითა და საკურთხი
ხმიადებით და სთხოვდა, რომ მისთვის „დაეკოჭა“ ახალაშენებული
სახლი, ცხვარ-ბინა, ძე-წული თუ სხვა რამ. დეკანოზი, რა თქმა უნ-
და, ამაზე უარს არ იტყოდა და შეასრულებდა „დაკოჭვის“ წესს. „და-
კოჭვა“, თვითონ სიტყვაც გვეუბნება, რომ მოქმედება დროშის ტარის
„კოჭთან“ ანუ მის ძირთანაა დაკავშირებული: იგი დროშის „კოჭს
მოჭკიდებდა“ ანუ დროშის ტარს ძირით დააყრდნობდა დასალოცავ
ობიექტს და ზედაშედ მოტანილი სასმლიანი ყანწით ხელში დრო-
შის რხევისა და ზარების ჟრიალის ფონზე წარმოთქვამდა საამდროო
ლოცვას ანუ სადიდებელს, დაკლავდა საკლავს, მისი სისხლით
„განათლავდა“ ხატის ნიშის ყორეებსაც და დაკოჭვის ობიექტსაც, მას
კი გასატყავებლად და „ასაფეშხოებლად“ გადასცემდა თავად მე-
ძღვნეს. ამით „დაკოჭვის“ ცერემონიალი შესრულებული იყო. ხევ-
სურთა ჯვარიონების მიერ ჩატარებული მაგიური ცერემონიებიდან
ერთი მნიშვნელოვანთაგანი იყო ველად, „მაქც-ფატერავით“, დაღუ-
პული კაცის სულის შინ მოყვანა. აქაურთა რწმენით, ეს უბედურება
მას ავსულებმა, იმ ადგილის დემონებმა შეამთხვიეს, სადაც იგი მო-
ხდა და გარდაცვლილის სული მათსავე ტყვეობაში რჩება მანამ, სა-
ნამ ჭირისუფალი სათანადო წესების შესრულებით მას არ დაიხსნის.
მთიელთა წარმოდგენით ხომ კოპალა კარატიონი „დევ-კერპთა“ და
ავსულთა წინააღმდეგ მებრძოლი უპირველესი ღვთაებაა და თუ არა
მას, სხვა ვის შეუძლია მათ ტყვეობაში მყოფი მიცვალებულის სუ-
ლის დახსნა. ამიტომ ელოდებოდნენ თუშები კარატიონთა ჯვარიო-
ნის გადმოსვლას, რათა დაეხსნათ თავიანთი მიცვალებულის სული
„პირმზორიანთა“ ტყვეობიდან და დაებრუნებინათ იგი თავისი ფუ-
ძე-კერისათვის.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ას წელს მიტანებული (მისი
თქმით, კიდევ გადაცილებული) სიდო კიტომვილისაგან ჩაწერილი
ტექსტი გვიამბობს, თუ როგორ გამოიხსნა ხევსურმა დეკანოზმა ზამ-
თარში ველზე ფათერაკით მომკვდარი დიკლოელი თუშის, თლუ-
მას, სული.

როცა მთაში მაცხოვრებელ თუშებს ზამთარში პირუტყვის საკვები ეცოტავებოდათ და გათავებისა ეშინოდათ, ოჯახის კაცები კარგ ამინდებში „ქუჩოზ“ – ქუჩის მოსატანად – დაიარებოდნენ. ქუჩი, ქალის თმასავით წმიდა და გრძელი ბალახი, მხოლოდ ისეთ ციცაბო და კლდოვან ადგილებში შემორჩებოდა, სადაც იგი ზაფხულში პირუტყვმა ვერ მოძოვა და ზამთარში თოვლმა ვერ დაფარა. ერთ დღესაც მეზობლები – თლუმა და ხაპრო – წასულან ქუჩის მოსატანად. გაყინულ, კლდოვან ადგილზე თლუმას ფეხი აუსხლტა, კლდეზე გადავარდა და მოკვდა. იგი სოფელმა კი მოასვენა და დაკრძალა საგვარეულრ სასაფლაოზე ამ დროს შესასრულებელი ყველა წეს-რიგის ჩატარებით, მაგრამ სული ხომ დარჩა იქვე, იმ ავსულთა ტყვეობაში, ვინც მას ეს მაცქი შეამთხვია. და აი ზაფხულში, როცა დიკლოში იქ არსებულ სახევსურო კარატის ჯვრის სალოცავში კარატიონთა ჯვარიონი მოვიდა, თლუმას ოჯახი წარდგა მის წინაშე სანთელ-საწირითა და სამსხვერპლო საკლავით და სულის შინ მოყვანა სთხოვა. ადგილზე სათანადო „წესრიგის დაყენების“ შემდეგ დეკანოზმა აიღო ხატის დროშა და წავიდა „სულის მოყვანად“. მას გზის მაჩვენებლად ხაპრო გაყვა, ვინც თან ახლდა იმ უბედურ დღეს თლუმას და ვინც იცოდა ადგილი, სადაც მან სული დალია. რომ მივუახლოვდით, ჰყვებოდა თურმე ხაპრო, სანამ მე ვაჩვენებდი, გადამასწრო, სირბილით მიიჭრა იმ ადგილზეო და ბორტვს დაუწყო გლეჯაო, თან იმახდაო: თქვე უწმიდურნო, ავსულნო, პირმზორიანებო, გამოუშვით თლუმას სულიო, მემრე დროშა აიღოო, არხევდა, აბერტყავდა და აჟრიალებდაო. სხვა იქ რა წეს-რიგი დაიყენეს და რა რიტუალები შეასრულეს, ეს სიღომ არ იცოდა. მას მხოლოდ ახსოვდა სურათი, როცა ეს სულის მომყვანნი გამოჩნდნენ: წინ ხაპრო მოდიოდა შიშველი ხმლით ხელშიო, იმ ხმალს მოიქნევდა და იმახდა: – მოვალთ და მოგყავს თლუმას სულიო. – მოხყავის კარატისჯვარსა, – დაიმახებდა ხევსურთა და თან დროშას შეაჟრიალებდაო. ეგრე ფეხჩქარა მოვიდნენ, შეცვივდნენ თლუმანთ ბანზეო, სადაც ხევსურმა ცხვარი დაკლა და ძირს გადმოაგდოო.

როგორც ვთქვით, ხევსური ჯვარიონნი თუშეთის მხოლოდ სამი თემის პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის სოფლებს შემოივლიდნენ, მეოთხე თემის, წოვათის სოფლებში ისინი არ შედიოდნენ – წოვათში ხევსურთა სალოცავები არ იყო. სამაგიეროდ ჯავახეში, როცა გომეწრელები ხევსურებს გასაცილებელ სუფრას გაუმართავდნენ, წოვები იქ მიდიოდნენ სამი წლის კურატით. წინ იმათი საკლავი უნ-

და დამდგარიყო. ხევსურები ჯერ წოვების მსხვერპლშეწირვისა და დალოცვის რიტუალს ჩაატარებდნენ და მერეღა გომეწრელებისასო. სუფრას საერთოს გაშლიდნენ და ერთად გაისტუმრებდნენ ხევსურებსო. თუშეთიდან ხევსურებს მიჰქონდათ სამსხვერპლო საკლავების „საწესოები“ – მარჯვენა მხრები ბეჭიანად და ტყავები. აგრეთვე თუში მლოცავისაგან ნებაყოფლობით და არსავალდებულოდ შენაწირი თითო მანეთი. ხორცი ათენგენობის დღესასწაულზე იხარჯებოდა, ფული და ტყავებისაგან მიღებული შემოსავალი კი სალოცავების კეთილმოწყობას ხმარდებოდაო. ხევსურ ჯვარიონთა თუშეთში მოგზაურობის ამ ტრადიციას მე-20 ს-ის 30-იან წლებში ბოლო მოუღო კომუნისტური ხელისუფლების ანტირელიგიურმა პროპაგანდამ თუ ძალდატანებამ ან ორივემ ერთად. ამ პერიოდიდან მოიშალა ხევსურთა და თუშთა ეს საკრალური ურთიერთობა.

ბოლო გაბრძოლებას ამ ტრადიციის აღსადგენად ადგილი ჰქონდა მე-20 ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარში. წელი ზუსტად არ მახსოვს. ხევსურ კარატიონთა ჯვარიონი გადმოვიდა თუშეთში და მოილოცეს კარატის ჯვრის ნიშები – მივიდნენ იმ სოფლებში, სადაც ეს სალოცავები იყო. როგორი იყო ამჯერად თუშების დახვედრა და ხევსურთა გასტუმრება, მე არ ვიცი. ჩემს სოფელში ხახმატის ჯვრის ნიშია და, ცხადია, „კარატიონები“ იქ არ მოსულან.

როგორც ამ სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ხევსურთა თუშეთის ტერიტორიაზე პილიგრიმობის ამ ტრადიციამ დიდი საფიქრალი და რამდენიმე პასუხგაუცემელი კითხვა გაუჩინა ეთნოლოგებს. პირველ ყოვლისა, ასახსნელი იყო თვით ამ მოვლენის არსი: რატომ დაიარებოდა ხევსურთა ორი ჯვარიონი თუშეთში მკაცრად განსაზღვრულ დროს და ასევე მკაცრად იცავდა ქცევის გარკვეულ წესებს – ეკრძალებოდა სოფლებში შესვლა, თუშეთის ტერიტორიაზე საომარი იარაღის ტარება და შუღლი. ერთ ხანობას მიიჩნეოდა, რომ ეს იყო ხევსურთაგან ოდესღაც თუშეთის დალაშქვრისა და დაბეგვრის ტრადიციის გაგრძელება. ამ დღეებში ხევსურები იღებდნენ მათი წინაპრებისაგან თუშთათვის დაკისრებულ ბეგარას.¹ მაგრამ იმის გამო, რომ თუშთა და ხევსურთა ეს საკრალური ურთიერთობა არ ჰგავდა ბეგრის ამღებისა და ბეგრის გადამხდელის ურთი-

¹ თ. თიაურბი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 57 და შმდ; В. В. Бардавелддзе, Древнейшее религиозное верование и обрядовое графическое искусство грузинских племён, 1958, გვ. 9.

ერთობას, იგი უფრო სასურველი სტუმრისა და გულითადი მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულებად გამოიყურებოდა, ეს აზრი უარყოფილ იქნა. ცხადია, ვერც ის მცირე ნებაყოფლობითი შენაწირი – დაკლული საკლავის მარჯვენა „მხარ-გვერდი“, მათივე ტყავები და თითო-ოროლა მანეთი თანხა – ჩათვლებოდა ბეგარად. მერე იფიქრეს, რომ ხევსურები ბეგარას იღებდნენ არა თუშებისაგან, არამედ თუშეთის გავლით ლეკებისაგან, და თუშეთში მოგზაურობის დღევანდელი ჩვეულება იმ შორეული მოვლენის გამოძახილიაო, მაგრამ ეს უსაბუთო ვარაუდიც მალევე იქნა უარყოფილი. ბოლო ახსნა ამ მოვლენისა ასეთია: ალბათ ოდესღაც მოხდა ხევსურთა დიდი მასის გადასახლება თუშეთში, სადაც მათ წაიღეს და დააარსეს ხევსურთა ძირითადი სალოცავების ნიშები. ეს ახალმოსახლენი შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას და „გათუშდნენ“. ის ნიშები კი შემორჩა, რომელთა მოსალოცადაც გადმოდიოდნენ გვიანდელი ხევსურები.

ხევსურთა თუშეთში მასობრივი გადმოსახლებისა და სალოცავების ნიშების თან წამოღების ვარაუდის დაშვებით მკვლევარნი თითქოს მისწვდნენ საკითხის გასაღებს, მაგრამ ლოგიკაში ბოლომდის ვერც ეს ახსნა ჩაჯდა: წესით წასული უნდა დაიარებოდეს მამა-პაპულ ხატებში სალოცავად და არა – პირიქით, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი: ხევსურეთის სალოცავების – ხახმატის ჯვრისა და კარატის ჯვრის ყმები „ბუდეხევსურეთიდან“ დაიარებიან თუშეთში ოდესღაც გადასახლებული ხევსურების მიერ დაარსებული ნიშების მოსალოცად მაშინ, როცა მათ დამაარსებელთა იქ ცხოვრების კვალიც კი წაშლილია. მკვლევრებმა აქვე გაიხსენეს ქართულ მატრიანებში დამოწმებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ მთიელეებში ამ სარწმუნოების ძალდატანებით გავრცელების მცდელობას ფხოველთა განრიდების ფაქტი, როგორც საბუთი ხევსურთა თუშეთში მასობრივი გადასახლებისა, მაგრამ ისინი აქ მხოლოდ მის დასახლებას დასჯერდნენ და არ გამოიყენეს იგი იმ ლოგიკური გზის დასაწყისად, რაც მათ, ჩვენი აზრით, უეჭველად მიიყვანდა გვიანდელ თუშეთში „ხევსურმოესა“ და „სახევსუროების“ ტრადიციის ფაქტობრივ ახსნამდის.

ერთადერთი მატრიანისმიერი ცნობა, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს თუშ-ხევსურთა ხსენებული ურთიერთობის ახსნას, ასეთია: როცა მირიანის მეფობის ხანაში, ე. ი. მე-4 საუკუნეში, ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, სამეფო კარმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქრისტეს სჯუ-

ლი გავერცელებინა ქვეყნის მთიანეთშიც, რისთვისაც მან იქ გაგზავნა საგანგებო მისია ქრისტეს სჯულის უპირველესი მქადაგებლის, წმიდა ნინოს, თანხლებით: „და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა, წარატანა მეფემან ერისთავი ერთი. მოვიდეს და დადგეს წოზენს და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყვთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭემშარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლის დება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი. გადმოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა, ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ იდეს. **ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს** (ლეონტი მროველი). მამასადმე, ქრისტიანობის ძალდატანებით გავრცელებას განრიდებულმა ფხოველებმა, რომლებიც გვიანდელი ხევსურების წინაპრები არიან, ერთიანად დატოვეს თავიანთი ქვეყანა და გადავიდნენ თუშეთში, სადაც მათ, ამ კუთხის გეოგრაფიული იზოლაციის გამო, ვერც ქრისტიანობის მქადაგებელი მისიონერი და ვერც ერისთავის ძალა ვერ მისწვდებოდა. გადასახლებული ფხოველები იქ ცალკე სოფლებად არ დასახლებულან. როგორც ჩანს, ისინი არ ფიქრობდნენ თუშეთში სადიდხნოდ დარჩენას, მართლაც, არც აქაური ტოპონიმიკური სახელები და არც გადმოცემები არ მიუთითებს თუშეთში ფხოველთა ცალკე დასახლებებად ცხოვრების კვალზე (მაშინ, როცა მის ტერიტორიაზე დიდოთა ცხოვრების კვალი ტოპონიმიკითაც დასტურდება და გადმოცემებითაც). ეტყობა, ლტოლვილ ფხოველთა ეს მასა თუშეთის ყველა სოფელმა გაინაწილა. დევნილი ხევსურები, ცხადია, ხევსურეთში დარჩენილ ჯვარ-ხატებში ვეღარ ივლიდნენ და იძულებული გახდებოდნენ, აქ გადმოეტანათ თავიანთი მთავარი სალოცავების – კარატის ჯვრისა და ხახმატის ჯვრის – ნიშები და იმათთან აღესრულებინათ თავიანთი რელიგიური საწესჩვეულებო რიტუალები. ესაა პასუხი იმ კითხვაზეც, რომელიც დაისმოდა მთიანეთის მკვლევარი ეთნოლოგების წინაშე: „რამ გამოიწვია ამ ჯვარ-ხატების ასეთი სიმრავლე და თითქმის მთელ თუშეთში გაფანტულობა?“ (თ. ოჩიაური): თუშეთის ყველა სოფელმა მიიღო ხიზნად ფხოველთა რამდენიმე ოჯახი, რომელთაც ბოლომდე შეინარჩუნეს ეთნიკური თავისთავადობა და დარჩნენ ფხოველებად ეთნოკულტურულადაც და სარწმუნოებრივადაც – აღიარებდნენ და ილოცავდნენ თავიანთ,

მათთან ერთად მიგრირებულ სალოცავებს. რამდენ ხანს გაგრძელდა ფხოველთა თუშეთში ცხოვრება, ისტორიისთვის ცნობილი არაა. ერთი კია, ჩანს იგი გრძელდებოდა არა ერთი და ორი საუკუნე, რის ნიშანსაც უნდა იძლეოდეს ენობრივი მონაცემი, განსაკუთრებით ამ დიალექტთა მეტყველების ინტონაციური იგივეობა და, ზოგადად, საკმაო სიახლოვე ენობრივი ანალიზის ყველა დონეზე.

ახლა კვლავ ხევსურთა ჯვარიონების თუშეთში მოგზაურობის შესახებ: თუშეთშიც, ფშავშიც და ხევსურეთშიც არის ტრადიცია, რომ საზაფხულო რელიგიურ დღესასწაულებისას ამა თუ იმ სალოცავის დრომამ უნდა შემოიაროს იმ სოფლის ყველა სალოცავის ნიში და ბოლოს დადგეს ძირითად სალოცავში. ეს ტრადიცია ზოგან დღესაც აღესრულება ხოლმე (თუშეთში – დოჭუში, ბედელაში, დადიკურთაში, დართლოში, ფარსმაში, გირევში; ხევსურეთში – ხახმატში, ლიქოკში, გუდანში... ფშავში – შუაფხოში, მუქოში, ცაბაურთაში...). ხევსურთა თუშეთში ცხოვრებისას მის ტერიტორიაზე გაიფანტა მათი ძირითადი სალოცავების – კარატის ჯვრისა და ხახმატის ჯვრის – ნიშები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხევსურები ვერ მიატოვებდნენ თუშეთში მათს სალოცავებს და მართლაც, სანამ ხახმატსა და ლიქოკში ამ ძირითადი სალოცავების დღეობები დადგება, ჯვარიონნი გადავლენ თუშეთში და მოილოცავენ იქ თითქმის ყველა სოფელთან არსებულ კარატისა და ხახმატის ჯვრების ნიშებს. ესაა ახსნა ხევსურთა და თუშთა ურთიერთობის იმ საკრალური ტრადიციისა, რომელმაც, როგორც დასაწყისში ვთქვით, საფიქრალი გაუჩინა ჩვენი დროის ეთნოლოგებს. არ მინდა კატეგორიულობაში ჩამომერთვას, მაგრამ, ჩემი აზრით, ფაქტის სხვა ახსნა თითქოს არ უნდა არსებობდეს.

**A Khevsurian Tradition and Some Terms Connected with it
(Khevsurtmoe and Sakhevsuroebi)**

Summary

The paper argues that the tradition of carrying the flags of Karati and Khakhmeti Crosses (two sacred places in Khevsureti) from Khevsureti to Tusheti before *Atangenoba* (the feast of Athenogenos), a Khevsurian religious festival, reflects the historical event – the flight of Pkhovians to Tusheti during the forceful conversion of these mountainous regions of Georgia to Christianity. The paper discusses the given tradition and the terms associated with it.

როინ ზიკაძე

ფუძისაშუალო წ ფონემით ზეპირკომუნიკაციური სახელდებითი
ჯგუფები ქართული ენის დიალექტებში

ქართული ენის ლექსიკური ფონდი საკმაოდ მდიდარია სახელდებითი ლექსიკით, რაც ენის ისტორიის უძველეს ფენებშივეა საძიებელი. ამ მხრივ ფრიად ღირებულ მასალას იძლევა ქართული ენის დიალექტები.

აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით საკითხავია, რა ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამა თუ იმ საგანს სახელს არქმევდნენ? (ჩიქობავა, 1952, 208). ამ კითხვაზე პასუხს თვითონ საგნის სახელწოდება იძლევა: „მრავლისაგან მრავალი საგნის სახელწოდება ამა თუ იმ კუთხით ასახავს ამ საგნის ნიშან-თვისებას“ (ჯორბენაძე, 1989, 142). მართებულად მიგვაჩნია, რომ „სახელდებისას ამოსავალი უნდა იყოს სახელისა და საგნის ურთიერთშეპირობებულობის პრინციპი, რასაც გვაფიქრებინებს მოტივირებული სახელწოდებების არსებობა ენაში“ (ჭიკაძე, 2017, 60). ამასთანავე, აღნიშნული საკითხის კვლევისას უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ არნოლდ ჩიქობავასეული შეგონება: „ამ სახის ძებნა-აღდგენა იმდენადვე ძნელი და სახიფათოა, რამდენადვე მიმზიდველი და საგულისხმო“ (ჩიქობავა, 1946, 64).

დიალექტებში ცხადად იკვეთება საგნის ბგერადობითი სახელდებითი შეპირობებული ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. ვინაიდან „ენის მასალას ბგერა წარმოადგენს“ (ჩიქობავა, 1952, 399), ქართული ენის დიალექტთა ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით განვიხილავთ საგნის ბგერადობით სახელდებებს წ ფონემის სემანტიკური განდასების საფუძველზე, სადაც ნათლად ვლინდება სიტყვის მნიშვნელობისა და ბგერის ორგანული შინაგანი კავშირი.

უნდა ითქვას, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღების გარეშე არ დარჩენილა წ ბგერის სემანტიკურ-სახელდებითი უნარის კვლევა როგორც საზოგადოდ ლექსიკურ-სემანტიკურ ველში (ჭიკაძე, 2017), ისე ზმნისწინებსა (ჰარუნ ჩიმქე, 2015) და ხმაბაძვით სიტყვებში (ფოჩხუა, 1974; ნადარეიშვილი, 1974).

ამჯერად, გამოვყოფთ **წ**-ფონემის შემცველი ფუძეებით შექმნილ სახელდებით ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს, რომლებშიც ერთიანდება ურთიერთმსგავსი ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა ნებისმიერი სიტხე, საგნის სიმცირე, სიწვრილე თუ წამახვილებული ფორმა...თუმცა „ესა თუ ის სიტყვა შესაძლებელია რამდენსამე ჯგუფში მოექცეს“ (ფოჩხუა, 1974, 78).

ამასთანავე, გასათვალისწინებელია: ფუძის საყრდენი **წ** ბგერა თავსართული პოზიციისაა თუ შუასართულისა.

წ ფონემის თავსართული პოზიცია:

ყოველგვარი ს ი თ ხ ი ს აღსანიშნავად ფშაურში გვაქვს **წყლეული**, ხოლო **წ უ მ პ ე ს ი – წუნწუხო**; მ ა რ ი ლ წ ყ ლ ი ს სახელდება კახურში, ფშაურში, თუშურში... არის **წაკი/წაკა**, ხოლო ქართლურსა და რაჭულში – **წათხი**, რომელიც ლეჩხუმურში **წყუთია**; გურულში **წაქი** არის შ რ ა ტ ი, ხოლო შრატის მოხდის შემდეგ დარჩენილი სიტხე – **წუქი**; ამავე დიალექტის მიხედვით **წურუქი/წურუკა** ნადულის გადანაწური სიტხეა; ტყემლის **წ ვ ე ნ ი ს** მნიშვნელობისაა **წო** (აჭარ.; იმერ.; ლეჩხ.), **წონ** (ინგილ.), **წოიო** (გურ.), **წუა** (ფშ.); **წოწონაქი** (ქიზიყ.) კი ტყემლის შეჭამადია.

გაწყალებული ჩირქის სახელად გვაქვს **წალა** (ქიზიყ.), **წარალი** (ლეჩხ.), **წბოლი** (ქართლ., იმერ., რაჭ.).

სხვადასხვა დიალექტში **წ** ვ ე თ ი ს შესატყვისი სახელებია: **წინწკალი** (კახ.), **წუნწკალი** (ქართ.), **წკინტოლი** (ფშ.), **წკუმპლი** (მესხ.), **წირტაი** (ხევს.).

საგნის სიმცირე-სიპატარავის გამომხატველია ქიზიყური **წიკლა**, **წიკლისტო**, **წიწწა**; მცირე ზომის ჭურჭელია **წუკატა** (გურ.), **წუმწუბა** (იმერ.), **წიწინაყი** (თუშ), **წიწანა** (ქართლ., მოხ.); თმისა და წვერის საგლეჯი პატარა ხელსაწყო ფშაურად არის **წუნწკალი/წეპწკალი**.

წიწილი (ქართლ.) მოუხნავი პატარა ნაკვეთია, ანდა პატარა, ნორჩი სანერგე მცენარე (ლეჩხ.). **წიაპა** (ფშ.) არის წ ი წ ი ლ ა ; **წალი** ნ უ კ რ ი ს საერთო სახელია ხევსურულში, მოხურში, თუშურსა და ქიზიყურში; სამაგიეროდ პატარა ჩიტი სხვადასხვა სახელით გვხვდება: **წუხა** (ფშ.), **წიორა** (ქიზიყ.), **წიპრანა** (ქართლ.), **წინტილა** (ინგილ.); პატარა წყაროს ჰქვია **წინწვილა** (იმერ.), პატარა ზვინს – **წერილა** (ხევს.), პატარა ნაკვეთი ხალს – **წივი** (მოხ., მთიულ.), ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ს – **წინწკალი** (ფშ.) / **წინწკელი** (ფშ.), ხოლო პატარა ხელურს – **წიპარტი** (ქართლ.).

წიპარტი ვრცლად აქვს განმარტებული გიორგი შატერაშვილს „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“, ხოლო თავისივე სიტყვის სალაროს – მამალხინეს – დაბეჯითებით ამეორებინებს ამ სიტყვას, რათა მკითხველის ცნობიერებაში აღბეჭდოს ნამგლის ერთი მოსმით გამოძკილი პატარა ხელეურის სახელწოდება – **წიპარტი**.

ქართული ენის დიალექტებში განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა წვრილი საგნების სახელდებანი. ყველანაირი წვრილი საგნის სახელწოდებაა **წენიკი** (ქართლ., კახ., ქიზიყ.), ხოლო წვრილი მცენარეულისა – **წრიოკი**; **წმორი** (ქსნის ხეობა) ჭაობის ბალახია. კახურში, ქიზიყურში, ფშაურსა და თუშურში წვრილი ტყის სახელდებია **წარაფი**, წვრილი ბუჩქნარისა – **წრულუან** (ინგილ.). გრძელი და წვრილი უტოტო ხე არის **წურწყტი** (ფშ.) ან **წიპლანკი** (ინგილ.); ხის წვრილი ტოტები – **წიფხი** (ქიზიყ., ინგილ.), **წიწკრი** (ფშ.). წვრილი ფიჩხის სახელწოდებანია: **წკვიმილი** (კახ.), **წკვირმალი** (ქიზიყ.), **წკიმილი** (კახ.), **წკიმაღ-წკუმაღი** (კახ.), **წკერი** (ფშ.), **წოწკი** (ფშ.).

სიწვრილის მნიშვნელობისაა ადამიანის ორგანოების შესატყვისი ლექსიკა: **წიბო** (გურ., აჭარ., ჯავახ.) – ნკენი; **წლიკვნი/წლიკუანი** (ფშ.) კანკები; **წენწული** (აჭარ.) – ნაწლავი; **წუწი** (მთიულ.) – წირპლი; ტანზე გამოწყარი წვრილი მუწუკები ქართლურში **წრიაპაა**, მთიულურში კი **წრიაკი**.

წვრილი და მაღალი კაცი აჭარულში მოიხსენიება როგორც **წლონი** ანდა **წიოყი**; ფშაური – **წლოკი/წლოკვი** – გველისწიწილაა, რომლის სინონიმებია: **წრიტი** (ლეჩხ.) და **წუწულა** (ქსნის ხეობა). მოხეურსა და მთიულურში წვრილად და მტკიცედ დაგრეხილ ძაფის სახელია **წრანკი/წრანკე**.

წვრილ ნამცეცებს თუშები უწოდებენ **წიკუი**-ს, გურულები წვრილ ლობიოს – **წილობიე**-ს; წიფლის წვრილი ნაყოფი ლეჩხუმურში არის **წიპწიპო**, ხოლო ქართლურში – **წიფი**; რაჭულში **წუთული** ურთხმელის თესლია.

წაწვეტებულ-წამახვილებულ საგანთა სახელებშიც **წ** ფონემა დომინირებს: **წკვერტი** (გურ., იმერ., მოხ., ქიზიყ.) – წვერი, წვერო; **წვიტი** (გურ. აჭარ.) – წაწვიტული, **წინწკაპური** (აჭარ.) და **წინწიბურო** (გურ.) – ხის კენწერო; **წობი** (ფშ.) წოწოლა ქუდია, **წაკატი** (აჭარ., გურ.) – წვეტიანი წერაქვი.

წ ფონემის შუასართული პოზიცია:

წყლისა და ყოველგვარი სითხის სახელდების ნიმუშებია: **ნწა** (ხევს.) – წყალი ბავშვის ენაზე; **მოწი** (თუშ.) – ფიჭვის წვენი; **მწურე** (ხევს., თუშ., ფშ.) – საქონლის შარდი; **მწიქა** – ნადულმობდილი სველის ნარჩენი. მლამე-მჟავე სითხეების სახელებია: **მწავე**(ფშ.), **კოწმახი** (მესხ.), **კოწარახი** (ხევს.), **კვაწარახი** (იმერ. გურ.), **კოწლისა** (ხევს.).

საკმაოდ მრავალია საგნის სიმცირის აღსანიშნავი სახელები: **პაწა, პაწე** (იმერხ., გურ.); **პაწაი/პინწაი** (ინგილ.); **ბეწო** (მოხ.); **ბეწიკუა** (ხევს.); **პაწვი** (ქიზიყ.); **პუწვი** (გურ.); **მაწკო** (ქიზიყ.) და **კვაწილა** (რაჭ.) ჩვილის სახელია, **კვაწინიე** კი – ინდაურის ჭუკისა; პატარა ქვაბის სახელია **ერაწი** ხევს.), **ერაწაუ/ერაწუნაყი** (თუშ.); **არაწი** (ინგილ.) პატარა ღვინის ჭურჭელია, **კვაწიანა** – პატარა ქოთანია; **კიწი** (კახ., ქიზიყ.) ყურძნის კუფხალია, **კიწილა** (ქიზიყ.) – პატარა ქილა, **კოწაი** მთიულ.) – მომცრო ჯამი; პატარა რუარის **კაწარა** (ქართლ.), ხოლო პატარა დაბალი ღობე – **კაწანი** (ინგილ.).

არანაკლები ინტენსივობისაა საგნის სიწვრილის გამო-მხატველი სახელდებანი. ყურადღებას იქცევს ისეთი მაგალითი, როდესაც ერთი და იგივე სახელი თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება სიწვრილის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა საგნის სახელად: **ბაწარი** მატყლის ძაფია თუშურში, ფშაურში, ქიზიყურში, ჯავახურსა და ინგილოურში; იგივე სახელი – **ბაწარი** – ხევსურულში თასმაა, რაჭულში, იმერულსა და გუდამაყურულში – წვრილი თოკი, ხოლო აჭარულში – ბილიკი; ღობეზე სავლელ ბილიკს კი ინგილოურში ჰქვია **კაწ**; წვრილი ფიჩხის აღსანიშნავად დიალექტები გვთავაზობენ მრავალფეროვან სახელდებას: **პიწვი** (გურ.), **კიწვი** (იმერ.), **კიწაწი** (ლექხ.), **კეწკარა** (მთიულ.), **კეწერი** (ქართლ.), **კუწუნა** (კახ.), **კუწკუნა** (ქიზიყ.), **წოწვი** (ფშ.).

ამასთანავე სიწვრილით ხასიათდება: **ბუწკნარი** (ქართლ., ქიზიყ.) – ჩირგვანი, **კეწეწა** (მთიულ.) – წვრილი ბალახეული, **კუწეწი** (ქართლ.) – ლობიოს ჩენჩო, **კონწილა** (აჭარ.) – წვრილად დაჭრილი თამბაქო, **კოწოლი** (თუშ.) – თმის ნაწნავი, **კოწოლა** (ქიზიყ.) – აწოწილი, **ბოწი** (ინგილ.) – ბეწვი, თმა, **ბუწი** (მთიულ.) – გამხდარი, გალეული საქონელი.

წამახვილებული საგანთა სახელდებანია: **ანწუხი** იმერულში წვეტიანი სარია; **კინწრიხო** მოხეურში მთის წვერია, ხოლო ქსნის ხეობაში – ხის კენწერო; ქიზიყურში კი ხის კენწეროს ჰქვია **კინწერი**.

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი აქვს სხვადასხვა საგანს სხვადასხვა დიალექტში; მაგალითად, **კირწლი** იმერულსა და რაჭულში არის წირკლი, მთიულურში – ჩეჩვის დროს საჩეჩელზე დარჩენილი მატყლი, ქართლურში – ძაფის წერტილოვანი ნაყარი ქსოვილზე.

ასე რომ, საკმაოდ ვრცელია და ფართო **წ**-ფონემის სემანტიკურ-სახელდებითი უნარი, რაც გამოვლინდა ქართული ენის დიალექტთა სათანადო ლექსიკური მასალის მიმოხილვითაც.

საანალიზო მასალა

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა (შეადგინა ალ. ღლონტმა), I, 1974; II, 1975; გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ლიტერატურა

ნადარეიშვილი, 1976 – ლ. ნადარეიშვილი, **წკ/კკ** კომპლექსიანი ხმაბადვითი სიტყვები ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1976.

ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბ., 1974.

ჩიქობავა, 1946 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, გამომცემლობა „სახელგამი“, თბ., 1946.

ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1952.

ჭიკაძე, 2017 – რ. ჭიკაძე, **„წ“** ფონემის სემანტიკური ველი სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, ლინგვისტური სჯანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017.

ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989.

ჰარუნ ჩიმქე, 2015 – ჰარუნ ჩიმქე, ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2015.

Naming Groups Conditioned by the Phoneme ζ

Summary

Historically, Georgian word stock is rich in different patterns of naming. In this respect, the dialects of Georgian (where sound symbolism is frequently employed to denote any type of liquid as well as thinness, smallness, pointed forms etc. of objects) are of particular value. Based on the type of lexis mentioned above, the paper examines instances of phonetical motivation conditioned by the phoneme ζ .

მანანა ხოჭორია

ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის
თავისებურებები თანამედროვე ესპანეთში

ტერმინი „ენობრივი სიტუაცია“ აღნიშნავს დროის კონკრეტულ მონაკვეთში და კონკრეტულ ენობრივ ერთობაში ენის არსებობისა და რეალიზაციის, მისი ფუნქციურ-სტილური გამოყენების ყველა ფორმის, აგრეთვე ამ ფორმების უთრეირთკავშირისა და ურთიერთქმედების ტიპებისა და ხერხების ერთობლიობას ერთი ენის შიგნით და სხვა ენებთან კონტაქტისას.

ენობრივი სიტუაცია წარმოადგენს ენების სუბსტანციური და რელაციური თვისებების დიალექტიკურ ერთიანობას.

ენობრივი პოლიტიკა კი, როგორც ცნობილია, შემუშავებულია მმართველი კლასის მიერ და გამოხატავს მის დამოკიდებულებას ენობრივი პრობლემების გადაწყვეტისადმი, რომელიც თანამედროვე ესპანეთში ძირეულად განსხვავდება ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფრანკისტული პრინციპებისაგან.

ენობრივი თავისებურება ესპანეთში ბევრად არის განპირობებული კასტილიელი, გალისიელი, კატალონიელი და ბასკი ერების თანაარსებობის ხასიათით, რომელთაგან თითოეულის თავისი ენა აქვს. შუა საუკუნეებში ამ, მაშინ ჯერ კიდევ ეროვნებებს, გააჩნდათ თავიანთი ადმინისტრაციული, ფინანსური და სამართლებრივი პრივილეგიები (fueros – ფუეროსი), რომლებიც სამართლებრივად განამტკიცებდნენ ეროვნულ ერთობათა განსაკუთრებულ სტატუსს¹. დროთა ვითარებაში ფუეროსი (fueros) დაიკარგა. კასტილიელმა ერმა ხელმძღვანელი მდგომარეობა მოიპოვა, ხოლო კატალონიელები, ბასკები და გალისიელები მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზე აღმოჩნდნენ დამოკიდებული. ფრანკოს დიქტატურის პერიოდში ცენტრალიზმმა განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო, რომლე-

¹ fueros – ფუეროსი (ესპ. (fueros – მრ. რ.) კანონთა კრებულება) – სამეფო აქტები, რომელთა ძალითაც პროვინციებსა და ქალაქებს (კერძოდ, ბასკების ქვეყანას) ენიჭებოდათ განსაკუთრებული უფლებები, გარანტიები, პრივილეგიები.

ბიჯ შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ ეროვნული თვითგამორკვევის ყოველგვარ გამოხატულებას. ბასკური, კატალონური და გალისიური ენები პრაქტიკულად კანონგარეშე აღმოჩნდნენ.

კატალონიის, ბასკთა ქვეყნისა და გალისიის ავტონომიუზაციის პროცესი განუყოფლადა დაკავშირებული ამ რაიონების ეროვნული ენების პრობლემასთან, სადაც მეტისმეტად რთული ენობრივი სიტუაცია ჩამოყალიბდა როგორც თვით ეროვნული ენების შიგნით, ასევე მათ ურთიერთკავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ესპანურ (კასტილიურ) ენასთან.

ენობრივ სიტუაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ისტორიული ოლქების დემოგრაფიული შემადგენლობა. საქმე ისაა, რომ ეროვნული უმცირესობით დასახელებული რეგიონები ჩვეულებრივ ეკონომიკურად ჩამორჩენილი არიან. ესპანეთში სხვაგვარი მდგომარეობაა. მხოლოდ გალისია შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ-აგრარული მხრივ ჩამორჩენილად, კატალონია და ბასკების ქვეყანა კი ესპანეთის ყველაზე განვითარებული ეკონომიკური რაიონები არიან ერთ სულ მოსახლეზე წლიური ნაციონალური შემოსავლის მაღალი მაჩვენებლით. ამან განაპირობა ის, რომ მაგალითად, 1960-1970 წლებში კატალონიის მოსახლეობა 1,2 მილიონი ადამიანით გაიზარდა. მათგან 720 ათასი გადმოსახლდა არაგონიიდან, ანდალუსიიდან, ესტრემადურიდან. ამჟამად კატალონიის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 6 მლნ მცხოვრებს, რომელთა 38% მის საზღვრებს გარეთ არის დაბადებული და, როგორც წესი, ესპანურ ენაზე ლაპარაკობს. ბასკეთში ცხოვრობს 2,2 მლნ-ზე მეტი ადამიანი. მოსახლეობის 35% ესპანეთის სხვა რაიონებიდან არის და თავის მშობლიურ ენად ესპანურს თვლის. კატალონიისა და ბასკეთის ბევრი ძირძველი მცხოვრები **ბილინგვია**.

1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლით ესპანეთის ლინგვისტურ სახესხვაობათა სიმდიდრე აღიარებულია საერთოეროვნულ კულტურულ საგანძურად, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემისა და სპეციალური დაცვის ობიექტი უნდა გახდეს. კასტილიური (ესპანური) ენა ცხადდება მთელი ესპანური სახელმწიფოს ოფიციალურ ენად და იმავდროულად აღიარებულია ავტონომიურ გაერთიანებთა უფლება ასევე ოფიციალურ ენებად გამოაცხადონ თავიანთი ეროვნული ენები.

კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის საფუძველზე ავტონომიურ გაერთიანებებში ესპანურთან ერთად გამოიყენება კატალონიის

პარლამენტის მიერ 1983 წლის 18 აპრილს დამტკიცებული „კანონი კატალონიის ლინგვისტური ნორმალიზაციის შესახებ“, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ „კანონს კატალანური ენის შესახებ“.

კანონში ხაზი აქვს გასმული კატალანური ენის როლს კატალანური მეცნიერებისა და კულტურის ჩამოყალიბებაში, ეროვნული თვითშეგნების გამოხატვაში. მასში წარმოდგენილია „კატალონიის ავტონომიური სტატუსის“ №3 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „კატალონიის საკუთარ ენას წარმოადგენს კატალანური“ და შემდეგ: „კატალანური წარმოადგენს კატალონიის ოფიციალურ ენას, ისევე, როგორც კასტილიური – მთელი ესპანური სახელმწიფოს ოფიციალურ ენას“.

კანონის თანახმად, საქმის წარმოება კატალონიის მთავრობისადმი დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიულ ორგანოსა და ორგანიზაციაში კატალანურ ენაზე წარმოებს. მიმოწერა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კასტილიურ ენაზე ხორციელდება. კატალონიის პარლამენტის ბრძანებულებები და დადგენილებები ქვეყნდება „ოფიციალურ გაზეთში“ ორ ენაზე: კატალანურსა და ესპანურზე.

კანონი ადგენს, რომ ტოპონიმები კატალონიის ტერიტორიაზე იწერება კატალანურ ენაზე. კანონის სპეციალურ ნაწილში რეგლამენტირებულია კატალანური ენის მდგომარეობა საშუალო და უმაღლეს სკოლებში. კატალანური ენა დაკანონებულია ყველა სასწავლო დაწესებულებასა და ცენტრში. სავალდებულოდ ცხადდება კატალანური და კასტილიური ენების სწავლება დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ყველა კლასში. სკოლის ყოველი კურსდამთავრებული თავისუფლად უნდა ფლობდეს ორ ენას: კატალანურსა და კასტილიურს. დადგენილია აგრეთვე, რომ მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ არ შეიძლება მიეცეს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც სათანადო დონეზე არ იციან კატალანური და ესპანური (კასტილიური) ენები.

სკოლებში სწავლება შეიძლება წარმოებდეს კატალანურ ან ესპანურ ენებზე. მშობლებს უფლება ეძლევათ შეარჩიონ შვილებისათვის შესაბამისი სკოლა. უმაღლეს სკოლაში მასწავლებლებს უფლება აქვთ წაიკითხონ ლექციები და ჩაატარონ სემინარული მეცადინეობები კატალანურ ან კასტილიურ ენებზე.

კანონის სპეციალური ნაწილი ეთმობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ოფიციალური ენების გამოყენების რეგლამენტაციას. კანონი ითვალისწინებს ფინანსური დახმარების აღმოჩე-

ნას იმ გაზეთებისა და ჟურნალებისათვის, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ კატალანურ ენაზე გამოდიან, აგრეთვე კატალანური გამომცემლობების გამტკიცებას, ეროვნული თეატრის, კინოსა და სხვა სანახაობრივი ღონისძიებების განვითარების სტიმულირებას, ფილმების დუბლირებისა და სუბტიტრების წახალისებას, კონსტიტუციის მიღებისთანავე დაიწყო კატალანური ენის თანდათანობით შემოდება კატალონიის დაწყებით და საშუალო სკოლებში. ეს პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა „ლინგვისტური ნორმალიზაციის შესახებ კანონის“ პროექტის გამოქვეყნების შემდეგ (1982). 1984 წლის თებერვლისათვის მთელი კატალონიელი მოსწავლეების 100%, რომელთა რაოდენობამ 1100000-ს მიაღწია, კატალანურ ენას სწავლობდა.

კატალონიის სკოლების 15%-ში გაკვეთილები მხოლოდ კატალანურ ენაზე ტარდება. დანარჩენ სკოლებში სამუშაო ენა ესპანურია. არასრულ საშუალო სკოლებში მეცადინეოები ენაში ტარდება საათების შემდეგი ბადის მიხედვით: კატალანური და ესპანური ენები – კვირაში სამ-სამი საათი. კვირის 2 საათი ეთმობა „ზოგადი ლინგვისტური სტრუქტურების“ (Estructuras lingüísticas comunes) შესწავლას. სხვა სიტყვებით, ესაა კატალანური და ესპანური ენების გრამატიკის გაკვეთილები, რომლებზეც ისწავლება მსგავსი გრამატიკული კატეგორიები, მაგალითად, არტიკლი, დროთა სისტემა, ნაცვალსახელთა ტიპები და ა. შ. ასეთი საგნის შემოდებამ შესაძლებელი გახადა არა მარტო დუბლირების თავიდან აცილება გრამატიკული მასალის ახსნისას, არამედ ამაღლა კიდევ სწავლების ლინგვისტური დონე. სრული საშუალო სკოლის კლასებში კატალანური და ესპანური ენების შესწავლისათვის გამოყოფილია სამ-სამი საათი კვირაში, ხოლო საუნივერსიტეტო მომზადების კურსისათვის – კვირის ორ-ორი საათი. ამასთან სასკოლო სწავლების ამ უკანასკნელ საფეხურზე, აგრეთვე მე-7 და მე-8 კლასებში ორი საგანი მთლიანად უნდა იკითხებოდეს კატალანურ ენაზე ესპანურ სკოლებში და, შესაბამისად, ესპანურზე – კატალონიურ სკოლებში.

ამ მოთხოვნათა შესასრულებლად საჭირო იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც კარგად ფლობდნენ კატალანურ ენას. კატალონიის მთავრობამ ეს პრობლემა გადაჭრა კატალანური ენის სწავლების კურსებისა და ყველა სასკოლო დონის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების დახმარებით. ასეთი უფასო ორწლიანი კურსები მუშაობენ 1980 წლიდან, როდესაც მასზე ჩაეწერა 9000 მასწავლებელი.

შემდეგ წელს კურსებზე შევიდა კიდევ 12000 მასწავლებელი, 1982 წლიდან კი მეცადინეობა დაიწყო კიდევ 20000-მა მასწავლებელმა. ლინგვისტური ნორმალიზაციის პროცესი გაცილებით რთულად მიმდინარეობდა ვალენსიის ავტონომიურ გაერთიანებაში. იგი გართულებული იყო იმით, რომ ამ ისტორიული ოლქის ნაციონალისტურმა წრეებმა დაიწყეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენება მოსახლეობის დასარწმუნებლად იმაში, რომ ვალენსიაში კატალანურის ახლომონათესავე მოღვაწეები და კულტურის წარმომადგენლები ეყრდნობოდნენ დასაქმებულ და სუბიექტურად ინტერპრეტირებულ ენობრივ ფაქტებს და უმთავრესად მიმართავდნენ ვალენსიელთა ეროვნულ გრძნობებს. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მაგალითად, ცნობილ ვალენსიელ ფილოლოგს, მანუელ სანჩეს გუარნერს, ვალენსიის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანსა და ბილინგვიზმის კომისიის თავჯდომარეს, რომელიც იცავდა მეცნიერულ სიმართლეს ვალენსიური ენის საკითხში, ნაციონალისტებმა საახალწლო საჩუქრის სახით გაუგზავნეს პლასტიკური ბომბი (1978). პაკეტი არ გახსნეს გუარნერის ოჯახის სიფხიზლის წყალობით. როგორც აღმოჩნდა, პრინციპული ლინგვისტობა არცთუ უსაფრთხო ყოფილა. მოსაზრებას ვალენსიური ენის დამოუკიდებლობის შესახებ მხარს უჭერდა ასევე ზოგიერთი კასტილიელი ლინგვისტიც. მაგალითად, მადრიდის უნივერსიტეტის პროფესორი მანუელ დელემა კონკრეტული მტკიცებულებების მოხმობის გარეშე აცხადებდა: „ვალენსიური და კატალანური – ეს პარალელური ენებია. ვალენსიური დამოუკიდებელი ენაა იმიტომაც, რომ მას თავისი პრომანული სუბსტრატი აქვს, იმიტომ, რომ სალაპარაკო ლათინურ ენას ვალენსიასა და კატალონიაში თავისი რეგიონული თავისებურებები ჰქონდა. და იმიტომაც, რომ ხაიმე I-ის დროს დაწყებულ კატალონიურ კოლონიზაციას არ ჰქონია ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორსაც მას პროკატალონიური თეორია მიაწერს.

დისკუსიაში ჩაერთო ბევრი ფილოლოგი და მათ შორის ისეთი დიდი ფიგურები, როგორებიც არიან ბატია-ი-მარგარიტი, ანტონიო ტოვარი და სხვ.

პრაქტიკულად საჭირო იყო პასუხის გაცემა ორ ურთიერთდაკავშირებულ კითხვაზე: რა განსხვავებები არსებობს იმ ენებს შორის, რომლებზეც კატალონიასა და ვალენსიაში ლაპარაკობდნენ და აქვთ თუ არა ამ განსხვავებებს თვისობრივ-დიფერენციალური ხასიათი, რომელიც ორი დამოუკიდებელი ენის არსებობას ადასტურებს?

დისკუსიის მასალების შეჯამებისას შეიძლება გამოვყოთ განსხვავებათა ათი ძირითადი სახეობა ვალენსიის ოლქის მცხოვრებთა მეტყველებაში ბარსელონისა და მისი პროვინციის კატალონიელთა მეტყველებასთან შედარებით:

- [d]-ს გამოტოვების შემთხვევები ხმოვანთა შორის პოზიციაში: (llavraor, cremá – llaurador, cromada);
- <<v>>-ს ლაბიოდენტალური არტიკულაციის ზონები ნებისმიერ პოზიციაში;
- [r]-ის სრულად წარმოთქმა (fer – fé);
- დაბოლოება „e“ თხრობითი კილოს აწმყო დროის ზმნების პირველ პირში (cante – canto);
- [i]-ს მიუღებლობა კავშირებითი კილოს აწმყოს დროის ზმნების დაბოლოებებში (cante, diga – canti, digui);
- კავშირებითი კილოს იმპერფექტის დაბოლოება – ara (cantare – cantes);
- ჩვენებითი ნაცვალსახელების სამი ფორმა ორის ნაცვლად (aste, eixe, aquell – aquest, aquell);
- ერთგვარი თავისებურება რიცხვითი სახელებისა (uit, dseet, disnou);
- „en“ წინდებულის ხმარება ესპანურ „con“ წინდებულის მნიშვნელობით (en – amb);
- ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება, ანუ, შესაბამისად, ვალენსიური სიტყვებისა და მნიშვნელობების არსებობა (aplegor, aixir, arribar, sortir).

დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობისა და სხვა მკვლევართა აზრით, ყველა აღნიშნული თავისებურება არ არღვევს კატალონიური ენის ფონეტიკურ და ლექსიკურ-გრამატიკულ ერთიანობას, ისევე, როგორც ამგვარი განსხვავებები ესპანური ენის მრავალრიცხოვან ვარიანტებსა და დიალექტებს შორის ვერაფერს აკლებენ მის მთლიანობას. ყველა გამოვლენილი განსხვავება თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, რომ კატალონიისა და ვალენსიის მეტყველებაში არ არსებობს სტრუქტურული განსხვავებები ძირითად ენობრივ დონეებზე და სხვა დიფერენციული ნიშნები, რომლებიც დაადასტურებდნენ ორი, თუნდაც ახლო მონათესავე ენის არსებობას. მითითე-

ბული თავისებურებები მოწმობენ მხოლოდ დიალექტურ დანაწევრებაზე ერთიანი კატალანური ენის შიგნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო პოლიტიკოსებმა ყურად იღეს მეცნიერთა მოთხოვნა და 1983 წელს ვალენსიაში საბოლოოდ მიღებულ იქნა დეკრეტი ბილინგვიზმის შესახებ, რომელიც ადგენდა კატალანური ენის აუცილებელ შესწავლას ვალენსიური დიალექტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მოდიფიკაციით. სახელწოდება el valenciano კვლავინდებურად რჩება ხმარებაში ისევე, როგორც el catalán. valenciano.

ასე რომ, ხანგრძლივი და მწვავე მსჯელობის შემდეგ ვალენსიაში დაიწყო ენობრივი სიტუაციის ნორმალიზაციისა და ბილინგვიზმის პოლიტიკის გატარების რთული პროცესი. 1982 წლის სექტემბრიდან სკოლებში შემოიღეს ბილინგვისტური განათლების გეგმები და ასევე შეიქმნა კატალანური ენის კურსების ქსელი იმ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული მუშაკებისათვის, რომლებიც არ ფლობდნენ მას.

გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობს ენობრივი ნორმალიზაცია ეკონომიკურად ჩამორჩენილ გალისიაში. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი გალისიაში კულტურული აღორძინების ეპოქას წარმოადგენდა. ამ პერიოდში გამოიკა მანუელ პინტოსის, როსალია დე კასტროს, ედუარდო პონდალის, მანუელ კუროს ენრიკესის, კაბალასისა და სხვათა ნაწარმოებები, მაგრამ ეს უკვე წარსულია. 1936-დან 1946 წლამდე გალისიურ ენაზე არ გამოცემულა არც ერთი წიგნი. 1946-დან 1956 წლამდე გაჩნდა მხოლოდ ექვსი-შვიდიოდე ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომი. ამგვარად 2500000-ზე მეტი გალისიელი მოკლებული იყო კულტურულ მემკვიდრეობას და ვერ ავითარებდა თავის ლიტერატურას.

გალისიური ენა გასაოცრად მონოლითურია. მასში პრაქტიკულად არ არის დიალექტები (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს აღმოსავლურ და დასავლურ კილოკავებს). გალისიური ენის ერთიანობა შენარჩუნებულია სასოფლო ზონებში. გალისიის 7 მსხვილი ქალაქი უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად ესპანურად მოლაპარაკე იყო. გათვალისწინებული უნდა იქნეს ერთი გარემოება: გალისია ესაზღვრება პორტუგალიას (სასაზღვრო ზოლი 1231 კმ-ზე გრძელდება). მეზობელ ქვეყანაში სახელმწიფო ენა გალისიის ახლომონათესავე პორტუგალიური ენაა და პრაქტიკულად მთელი სასაზღვრო გალისიური ზონა პორტუგალიურად მოლაპარაკეა. ზოგიერთი ისე-

თი გალისიური სოფლებისა და დაბების ბავშვები, რომლებშიც არ არის არც ესპანური და არც გალისიური სკოლა, სასწავლებლად პორტუგალიაში დადიან და იქ პორტუგალიის ენას, ისტორიასა და ლიტერატურას სწავლობენ.

ურთულესი ენობრივი სიტუაციაა ბასკების ქვეყანაში. თითქმის 40 წელი ბასკური ენა, რომელზეც ესპანეთში ლაპარაკობს დაახლოებით 600 000, საფრანგეთში კი 100 000 კაცი, პრაქტიკულად აკრძალული იყო. ფრანკოს დიქტატურა უმოწყალოდ ახშობდა ბასკური თვითშეგნების ყოველგვარ გამოვლინებას. ბასკური ენა უნიკალურია, მისი წარმომავლობა – საიდუმლოებით მოცული. და ეს გასაოცარი ენა თავის ცხოველუნარიანობას პრაქტიკულად მხოლოდ სოფლებში ინარჩუნებდა და ოჯახური ურთიერთობის ენას წარმოადგენდა. მასზე ლაპარაკი ქალაქებში, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში სახიფათო იყო. თავისი ახალი ცხოვრება მან მხოლოდ ფრანკოს რეჟიმის გაუქმების შემდეგ დაიწყო.

1918 წელს დაარსებულმა ბასკური ენის სამეფო აკადემიამ თავისებური გადაწყვეტილება მიიღო და არ აირჩია წამყვან ენად რომელიმე დიალექტი. მან გამოაქვეყნა ჩამონათვალი ყველაზე გავრცელებული და მიღებული ფონეტიკური წესებისა და გრამატიკული ფორმებისა და ყველა დიალექტი ერთიანი ბასკური ენის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. ლექსიკური ნორმები ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

თვით სახელწოდებაში „ბასკური ენა“ ასახულია ბასკების ეროვნული ენის ჩამოყალიბების სირთულე. საქმე ისაა, რომ მკვიდრი, ძირძველი ბასკები არ უწოდებენ თავიანთ ენას el vasco, ისინი მოიხსენიებენ მას როგორც Euskara, თავიანთ ქვეყანას კი Euskadi-ს. თუმცა დიალექტური ზონების მიხედვით euskera გამოითქმის როგორც euskara, eskara, escuera, escuara, euskara, uskara.

ენობრივი სიტუაცია ესპანეთში მოზაიკურ პანოს წააგავს. ეს თავი კომპოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილის შევსების ცდას წარმოადგენს. მისი დასრულებისათვის აუცილებელია თითოეული ეროვნული რეგიონის ენობრივი სიტუაციის უფრო დეტალური განხილვა და თვით კასტილიური ენის სიტუაციის გაანალიზება ესპანეთში. მასში კი საკმაოდ საინტერესო მოვლენები ხდება, რომლებიც უკავშირდება მსხვილი ქალაქების მცხოვრებთა კილოკავების თავისებურებებს, საერთოენობრივი, ეგრეთ წოდებული მასობრივი კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა გავლენას ენაზე,

ასევე ესპანეთის **სხვადასხვაენოვან** ზონებს შორის არსებული კონტაქტების ხასიათით განპირობებულ მოვლენებს.

ლიტერატურა

ახვლედიანი, კობეშავიძე, 2009 – ც. ახვლედიანი, მ. კობეშავიძე, „ესპანური ენის ისტორია“, თბ., 2009.

ბადია ი მარგარიტ, 1987 –Badia i Margarit A. M. „Gramática històrica catalana“ – Valencia, 1987.

ვინოგრადოვი, 2004 – Виноградов В. С. Лексикология испанского языка, М., 2004.

ზიცარი, 1983 – Зыцарь Ю. В. Культура народов Пиренейского полуострова, Л.,1983.

MANANA KHOPERIA

Peculiarities of Linguistic Situation and Language Policy in Present-day Spain

Summary

The peculiarities of linguistic situation in Spain are determined by the co-existence of Castilian, Galician, Catalanian and Basque nations. The process of autonomization of Catalonia, Galicia and Basque Country is closely connected with the complex language issues of the given regions.

Since the 15th c. the emergence of a number of political unions have led to the distribution of power and as a result Catalonia have become dependent on Castile. On the basis of the current constitution Catalan has regained its co-official language status in Catalonia. The fact that since the 15th c. Catalan has been spoken alongside with Spanish caused bilingualism and the division of functions between the two languages.

The linguistic situation in Galicia is quite different. Up to 1978, the adoption of constitution, Galician had no co-official language status. Since 1981 Galician legislation has been protecting the Galician language and implementing its wide use.

Up to the recent period there was no unitary Basque language. In 1968 Basque Language Academy developed a standardized variant of Basque referred to as *eukara batua*, or simply *batua* which is a co-official language today.

GEORGICA

Zeitschrift Kultur, Sprache und Geschichte

Georgiens und Kaukasiens

გეოგრაფიკა

37

Jahrgang 2016

ზინფრიდ ბოედერი

გოგოლაშვილი გიორგი, 2010, ქართული ზმნა

(ფორმაწარმოების საკითხები) (form – building issues [509-512])

(ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 519 გვერდი)*

უთუოდ ყურადსაღებია, თუკი დღეს ვინმე მიუძღვნის ნაშრომს ქართულ ზმნას, რადგან ამ თემას როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ენათმეცნიერებაში ხანგრძლივი და დიდი ტრადიცია აქვს. ამიტომაც ამ საკითხზე შექმნილი ნებისმიერი ახალი მონოგრაფია მისი ავტორისაგან რთული და ვრცელი ლიტერატურის ღრმა ცოდნას მოითხოვს.

გიორგი გოგოლაშვილს ბოლო წლებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ქართული ენის დიდი მოამაგისა და პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილისა და ქართული სალიტერატურო ენის შესახებ¹; თავის ახალ მონოგრაფიაში კი შესაშური სიზუსტით გვაწვდის ქართულ ენათმეცნიერებაში ზმნის კატეგორიასთან დაკავშირებულ არამხოლოდ დღემდე არსებულ ცნობებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გვაცნობს იმ ძირითად პრობლემებს, რომელთა შესახებაც მან

* Gogolašvili, Georgi 2010: *Kartuli zmnā* (pormačmoebis saķitxebi) / Georgian Verb (form-building issues) [R. 509-512] (Enatvecnierēbis Inštituți). Tbilisi: Meridiani, 519 pp.

Besprochen von WINFRIED BOEDER.

¹ „დედა ენა“ – ძეგლი სამარადისო. თბილისი, დედა ენა, 2011. ირაკლი ავალიანთან ერთად: „დედა ენა“ – წიგნთა წიგნი (ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება), თბილისი, 2001;

„ქართული სალიტერატურო ენა“ (ისტორია და თანამედროვეობა) / Georgian Literary Language (History and present situation). თბილისი: მერიდიანი, 2009;

„ქართული სალიტერატურო ენა“, ნარკვევები (თსუ, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი (თსუ-ს გამომცემლობის სტამბა), 2013.

ჯერ კიდევ 70-იან–80-იან წლებში, მცირე მოცულობის მონოგრაფიაში გამოთქვა საკუთარი თვალსაზრისი¹.

მონოგრაფიის სტრუქტურა ძირითადად ტრადიციულ სისტემაზეა აგებული. ავტორი შესავალში გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას „მწკრივის“ ცნების ისტორიასთან დაკავშირებით (10-17), რაც ასევე ხანგრძლივი დისკუსიის საგანს წარმოადგენს (95-217), ეხება ქართული ენის ისტორიის პერიოდიზაციის (17-25) და ზმნის „ფუძის“ ცნების საკითხებს და სხვ. (25-30). მონოგრაფიის I თავში იგი მიმოიხილავს ქართული ზმნის კვლევის ისტორიას ანტონის „გრამატიკის“ პერიოდიდან მოყოლებული. მონოგრაფიის II თავი ეძღვნება მთლიან პარადიგმას: მწკრივებს, უღლების სისტემას (217-236) და სუპლექტიზმს (236-241). ნაშრომის მეორე ნახევარში (243-478) ცალ-ცალკეა განხილული ქართული ზმნის ფორმათა წარმოების საკითხი (ზმნისწინისა და ვერსიის ხმოვნების გარეშე). ავტორი ეხება პირის ნიშნებს (245-290), პრეზენსის სისტემის ფორმათა წარმოებას (291-355), სახელდობრ, თემის ნიშნებს და განმავრცობელ სუფიქსებს (291-337), დენომინალური ზმნების ფუძეს (347-350), მონოპერსონალურ-დენომინალურ (347-350) და მედიოაქტიურ ზმნებს (350-355), ასევე აორისტის სისტემის ფორმათა წარმოებას (356-455), სახელდობრ, მის სუფიქსიან (356-375) და სხვა ტიპებს (375-409), ოპტიტივს (მეორე კავშირებითს: 403-422), გზისობას (423-455), ბოლოს კი, პერფექტის სისტემის ფორმებს (456-478).

ცხადია, ნაშრომში წამოჭრილ უამრავ პრობლემაზე ძნელია ამომწურავად მსჯელობა². საგანგებოდ არ ვიმსჯელებთ მის მეორე ნაწილზე; ასევე არ დავიწყებთ კამათს იმ არგუმენტებზე, რომლებიც

¹ „დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში“ / *Формы второй группы времен и наклонений в новогрузинском языке* [R. 98-111] (თსუ, ახალი ქართული ენის კათედრა). თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1984;

„ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“ / *Система спряжения грузинского глагола* [R. 166-169] (სმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი). თბილისი: მეცნიერება, 1988.

² ამის ასხნას ავტორი მოკლედ ცდილობს თავის ერთობ ინფორმაციულ ნაშრომში: გიორგი გოგოლაშვილი, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა“ / *An academic course of the morphology of present-day Georgian language* (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 317-385.

ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების სტატუსს ეხება¹, განსაკუთრებით ეს ითქმის: დროზე, კილოზე (მოდალობა, მოდუსი), გზისობაზე (იტერატივი), აქტზე, თანამდევრობაზე (დროული მიმართება). ავტორის თვალსაზრისით, ისინი მორფოლოგიურ კატეგორიებს არ განეკუთვნებიან, რადგან მორფოლოგიურად არ არიან გამოხატული და, ამდენად, სემანტიკურ კატეგორიებს წარმოადგენენ, რასაც ზმნის ფორმა კონტექსტის ინტერპრეტაციის საშუალებით გამოავლენს². საერთოდ კი, ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მაგალითი მაინც უნდა იყოს მოყვანილი, რადგან აშკარაა, რომ იგი ავტორისათვის მორფოლოგიური თეორიის ფუძემდებლურ, მთავარ მიზანს შეადგენს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში იმ გავრცელებული მეცნიერული თვალსაზრისის თემატიზირება ხდება, რომელიც აკაკი შანიძის საოცარი ავტორიტეტის წყალობით ურყევ კანონად იქცა.

ამ მეცნიერული თვალსაზრისის თანახმად: ა) სასკოლო გრამატიკის ენით თუ ვიტყვი, ქართული ზმნის დროები და კილოები იმ სიტყვათა ფორმების რიგებს (მწკრივებს) განეკუთვნება, რომლებიც მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნებით განსხვავდებიან იმ დროს, როდესაც დანარჩენი მორფოლოგიური კატეგორიების (დროს, კილოს და სხვა „ელემენტების“, § 268) თვალსაზრისით, ისინი ინვარიანტული (უცვალელებელი) კატეგორიები არიან; ბ) პრეზენსის სისტემა (პირველი სერია) არა მხოლოდ მწკრივის პრეზენსს, იმპერფექტს და I კონიუნქტივს („პრეზენსის წრეს“ ანუ, „აწმყოს წრეს“) მოიცავს, არამედ მასში აგრეთვე პარალელური მწკრივის ფუტურუმი, კონდიციონალისი და კონიუნქტივ-ფუტურუმიც („ფუტურუმის წრე“ ანუ „მყოფადის

¹ ამ შემთხვევაში აღნიშნულ ტერმინს ვხმარობ ისეთი კატეგორიებისათვის, როგორცაა: დრო, კილო, პირი და ა. შ., უხეშად რომ ვთქვათ, ისეთი მორფოსინტაქსური ნიშნებისაგან განსხვავებით, როგორცაა პრეზენსი, პერფექტი..., ინდიკატივი, კონიუნქტივი, 1, 2, 3 პირი და ისეთი მორფოლოგიური ნიშნები, როგორცაა, მაგ., ფლექსიის კლასის ნიშნები. აქ უარს ვამბობ, განვიხილო ვიწრო მნიშვნელობით განსხვავებები (სინტაქსურად რელევანტურ) მორფოსინტაქსურ ნიშნებსა და სემანტიკურად რელევანტურ მორფო-სემანტიკურ ნიშნებს შორის, რადგან ამ დრომდე გარკვეული არ არის, რომელი კატეგორიები მიეკუთვნება სინტაქსურად რელევანტურს და რომელი – არა.

² ამ საკითხზე მნიშვნელოვან კამათს, სხვათა შორის, ისიც აძნელებს, რომ ქართულ ტერმინებში არ ჩანს განსხვავება „დროს“ სემანტიკურ და გრამატიკულ (Tempus) განმარტებას შორის.

წრე“) შედის, და მნიშვნელობა არა აქვს, „პრეზენსის წრესა“ და „ფუტურუმის წრეს“ შორის არსებობს სრული პარალელიზმი (იმ ზმნების მსგავსად, რომლებიც ფუტურუმს პერფექტისეული ზმნისწინით აწარმოებენ) თუ არა (მაგალითად, მედიაოქტიურ ზმნებთან:); c) ზმნისწინით ნაწარმოები ფუტურუმის წრის ფორმები (და-ვ-წერ) განსხვავდებიან პრეზენსის წრის შესაბამისი უზმნისწინო ფორმებისაგან (ვ-წერ), როგორც დროის ნიშნით (მომავალი vs აწმყო), ასევე ასპექტითაც (სრული vs უსრული), იმ დროს, როდესაც ასპექტის ანალოგიური, ფორმალური განსხვავება აორისტის სისტემაში (და-ვ-წერ-ე vs ვ-წერ-ე) დროის ნიშანს არ უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ავტორი ამ ნიშნებს გამოწვლილვით და კრიტიკულად განიხილავს:

a) მისთვის მისაღებია „მწკრივის“ შანიძისეული დეფინიცია (მხოლოდ პირისა და რიცხვის ცვლილებები) ჰ. არონსონის მსგავსად, რომელმაც აღნიშნული ცნება (თავად შანიძის მიერ შემოთავაზებული ფორმა *s c r e e u e*) თავის 1922 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი გახადა, თუმცა იგი აკრიტიკებს დანარჩენი კატეგორიების (დრო, კილო...) კატეგორიალური ინვარიანტილობის იდეას. მართლაც, მაგალითად, პრეზენსს, უმეტესი მწკრივების მსგავსად, შეუძლია გამოხატოს სხვადასხვას დრო, სახელოდობრ, აწმყო, მყოფადი, „ზოგადი აწმყო“ (108) და ამ თვალსაზრისით იგი ვარიანტილურია. მაგრამ მაშინაც კი, თუ შანიძის „პრეზენსის“ ისეთ ინტერპრეტაციას მოვახდენთ (§ 272 „ძირითადად „აწმყო“, ხანდახან „მყოფადი“), რომ „დროის“ „ელემენტი“ ვარიანტილურია (შესაძლოა, ა. შანიძეს ინვარიანტილურ, პარადიგმის შიგნით, ოპოზიციების წყალობით დადგენილ „ძირითად მნიშვნელობაში“ სრულაც რ. იაკობსონისეული თვალსაზრისი ეგულისხმა), მაშინაც კი, „დროის“ სხვადასხვავარ ინტერპრეტაციაზე მითითება ჯერ კიდევ ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ პრეზენსის დროს, როგორც ასეთს, ტემპორალური მნიშვნელობა არ გააჩნია და მისი „დრო“ მხოლოდ კონტექსტით განისაზღვრება. შეიძლება, ბევრად უფრო საჭიროცაა, რათა ყოველი „მწკრივი“ (როგორც ამას შანიძე აღნიშნავს ხაზგასმით §40-ში; 269) ზმნის პარადიგმის შიგნით თავისი ოპოზი-

ციების საშუალებით იქნას აღწერილი (თუნდაც რ. იაკობსონის მიერ „რუსული ზმნის სტრუქტურა“-ში წამოწყებული ტრადიციის ჩარჩოში. 1932); ასე, მაგალითად, მისი აღწერა, პრეზენსისაგან განსხვავებით, შეიძლება იმპერფექტისათვის დამახასიათებელი „წინადროულობის“ ნიშნით ანდა „შემდგომდროულობის“ ნიშნით ფუტურუმში: „მეტყველების პროცესისადმი „შემდგომდროულობას“ ამ შემთხვევაში ფუტურუმის პრიმარული მნიშვნელობა ექნება, თუ ამას არაფერი უშლის ხელს („default“), იმ დროს, როდესაც ფუტურუმი გარკვეულ კონტექსტებში „შემდგომდროულობის“ ნაცვლად, ეპისტემურ მოდალობას და „ერთდროულობას“ გამოხატავს (მაგ. „სახლში იჯდება (ფუტურუმი) და ყურმილს არ იღებს“ (პრეზენსი)), სადაც „შემდგომდროულობის ოპოზიცია განეიტრალებულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: მ წ კ რ ი ვ ე ბ ი ს მნიშვნელობის საკითხი (უფრო ახლობელ, სპეციფიკურ!) კონტექსტზე მითითებით არ ამოიწურება. საჭიროა დადგინდეს ზმნის კატეგორიების პარადიგმატული მნიშვნელობების მახასიათებლები, სახელდობრ კი, გათვალისწინებული უნდა იქნას მათთვის დამახასიათებელი ურთიერთმიმართებები¹.

b) პარადიგმების აშკარად შეზღუდვა ფორმალური ნიშნებით, ავტორს საშუალებას აძლევს „პრეზენსის წრესა“ და „ფუტურუმის წრეს“ შორის არსებული ოპოზიცია მხოლოდ ასპექტუალური ოპოზიციით ახსნას (რომელიც შანიძის აზრით, სიტყვაწარმოების ფენომენს წარმოადგენს და, როგორც ასეთი, ფლექსიას არ გენკუთვნება. იგი ფლექსიურ კატეგორიად მხოლოდ „მყოფადის დროით მნიშვნელობასთან“ კავშირის გამო გადაიქცევა). ავტორის აზრით, „მწკრი-

¹ საინტერესო ანალიზის მაგალითი წარმოგვიდგინა ავთანდილ არაბულმა ნაშრომში: „ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის“, მაცნე, 1992, 4: 98-118; ასევე: „ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში“, ენათმეცნიერების საკითხები, 1999, 1: 42-53; „ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის“, გ. გოგოლაშვილის რედაქც. 2011: 385-413 (შეად. შენიშვნა 3). არაბულიც მიდის იმ დასკვნამდე, რომ შანიძის კონცეფცია არსებითად სწორია, თუმცა აორისტისა და პერფექტის სისტემაში განასხვავებს ასპექტთან დაკავშირებულ მ წ კ რ ი ვ ე ბ ი ს და შესაბამისად, დაადგენს 16 მწკრივს.

ვის“ იდენტიფიცირება მისი ფუძის საშუალებით უნდა მოხდეს¹. მაგრამ, რაკი ზმნისწინები ფუძის შემადგენელი ნაწილები არ არიან, ამიტომ პერფექტული და იმპერფექტული ფორმები, როგორც აწმყოს, ასევე აორისტის სისტემაში, ერთადერთ მწკრივს განეკუთვნებიან (და-წერ / წერ, შესაბამისად, და-წერე / წერე), თუმცა ფორმას „დაწერ“ გარკვეული კონტექსტების გარეშე, სხვა ტემპორალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფორმას „წერ“, იმ დროს, როდესაც განსხვავება „დაწერე“-სა და „წერე“-ს შორის ყოველთვის მხოლოდ ასპექტუალურია. რაც შეეხება ზმნების „ტირის“ (აწმყო) და „ი-ტირებს“ (მყოფადი) „უასპექტო“ ფორმებს (შანიძე § 332), ავტორის აზრით, მათ სხვადასხვა ფუძე აქვთ და, შესაბამისად, სხვადასხვა მწკრივებს განეკუთვნებიან („ფორმათა ერთ პარადიგმაში მათი მოქცევა, ცხადია, არ მოხერხდება“, 224); ამგვარი ვითარება ტრადიციულად ისე გამოიხატება, რომ „ნასესხი“ ფორმა „კონკრეტულად“ სხვა პარადიგმაში შედის (მგავსად იმისა, როგორც ეს ხდება ჯდ-ს სუპლეტურ ფორმაში „ი-ჯდ-ება“, „ზი-ს“ ზმნის პარადიგმაში). ყველა ამ შემთხვევაში აღარ არის ძალაში დეფინიცია, რომლის თანახმადაც, პარადიგმა ერთი ლექსემის ფლექსიურ ფორმებს მოიცავს („ტირის“ და „იტირებს“ აქამდე გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, ერთადერთი ლექსემის ფლექსიური ფორმები არიან და ამიტომ ერთსა და იმავე პარადიგმაში შედიან. ეს კი ემთხვევა იმ მოსაზრებას, რომ „ტი-

¹ აღნიშნული თვალსაზრისი ავტორს გამორჩეულ ენათმეცნიერთა საზოგადოებაში მიუჩენს ადგილს. ჰანს ფოგტი, თავის 1936 წელს (ასევე 1971 წელს) გამოცემულ „გრამატიკაში“ გამოთქვამს აზრს, რომ გარდამავალი ზმნების აწმყოს სისტემაში პეუნესი, იმპერფექტი და პრეუნესის კონიუნქტივი შედის (გვ. 130-131). მყოფადთან მიმართებაში იგი ამბობს, რომ ქართული ფუტურუმის განსხვავება აწმყოსგან „ფორმალური კრიტერიუმებით“ ვერ ხერხდება (გვ. 236). ცნობილია მის მიერ ჩამოთვლილი შემდეგი ვარიანტები: აწმყო ზმნისწინით ან მის გარეშე, მყოფადი ზმნისწინით ან მის გარეშე (სახელდობრ, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან). ზმნისწინიან ზმნებს აწმყოს გამოხატვა შეუძლიათ („მიუშურება“ და „ემურება“ – ორივე აწმყო), თუმცა ზმნისწინები ზმნის ფორმას „ხშირად“ მყოფადის მნიშვნელობას აძლევენ (le sens d'un futur) (გვ. 181-182). ტერმინს „პრეუნეს-ფუტურუმი“ იგი, რა თქმა უნდა, ავტორისგან განსხვავებით, სახელდობრ, იმ ფორმებისთვის ხმარობს, რომლებიც პრეუნესს ან ფუტურუმს გამოხატავენ (გვ. 237), მაგრამ არა ისეთი ფორმების შემთხვევაში, როგორიცაა „დაწერს“ ან „იციხვრებს“, რომლებსაც მხოლოდ ფუტურალური მნიშვნელობა აქვთ.

რის“ და „იტირებს“ სემანტიკური მიზეზების გამო განეკუთვნებიან ერთმანეთს (224)¹.

ც) აკაკი შანიძე მიიჩნევს, რომ „დაწერს“, „იტირებს“, „იჯდება“ და ა. შ. ერთსა და იმავე მწკრივს მიეკუთვნება. მათი განსხვავებული ფორმაწარმოების მიუხედავად, ისინი ფუტურუმის ფორმები არიან. ავტორისთვის კი, პირიქით, „ფუტურუმი“ მნიშვნელობაა („მყოფადი“) და არა გრამატიკული კატეგორია. შანიძის კატეგორიები: „პრეზენსი“, „ფუტურუმი“ და ა. შ., ამის საპირისპიროდ, გრამატიკულ, სახელდობრ კი, მორფოლოგიურ კატეგორიებს წარმოადგენენ, რომლებიც როგორც აუცილებელი დამაკავშირებელი წევრები, ერთი მხრივ, მორფოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, სინტაქსსა და სემანტიკას შორის ფუნქციონირებენ. წინამდებარე ნაშრომში გამოთქმულია მყარი თვალსაზრისი მორფოლოგიური ფორმის ავტონომიის შესახებ, მაგრამ იგი არ იძლევა უფლებას, რომ ყველა კანონზომიერი მიმართება ფორმასა და მნიშვნელობას შორის აღწერილ იქნას, და, ამდენად, ხელს უშლის გრამატიკის მთავარი ამოცანის შესრულებას. ამისათვის გვესაჭიროება მორფოსინტაქსური ნიშნები, როგორცაა „ფუტურუმი“ და არამხოლოდ „პერფექტული პრეზენსი“ ან „მყოფადი“ (როგორც კონტექსტის ინტერპრეტაციის შედეგი).

რამდენადაც მესმის, ავტორი უარყოფს „ფუტურუმის“ მორფოსინტაქსურ სტატუსს, როდესაც იგი ერთადერთი ცნების ქვეშ აერთიანებს ისეთ ფორმებს, როგორცაა „დაწერს“ და „იტირებს“, და, არ მოჰყავს ფორმა ზმნისა „დაწეროს“ (თუმცა მას „მყოფადის მნიშვნელობა“ აქვს). ნაცვლად ამისა, მასთან (თანმიმდევრულად!) გვხვდება მხოლოდ „პრეზენს-ფუტურუმი“, რომელიც ერთნაირად ახასიათებს ფორმებს: „წერს“ / „დაწერს“ (განსხვავებული ასპექტით), ასევე „იცხოვრებს“, „იჯდება“ (ტრადიციულად ფუტურუმის ფორმები) და „ად-იქვამს“ და „გან-აგრძობს“ (ტრადიციულად როგორც პრეზენსის, ასევე ფუტურუმის ფორმები) (გვ. 233-234). მაგრამ „ფუტურუმი“ საჭირო ცნებაა. ავიღოთ, მაგალითად, წესი, რომლის თანახმა-

¹ სამწუხაროდ, არ ხდება მსჯელობა იმის თაობაზე, რაში მდგომარეობს ეს მიკუთვნებულობა. ეს სემანტიკური მიმართება კი არ არის (მაგ. „იდენტური მნიშვნელობა“. სინონიმები არ ემსახურებიან მორფოლოგიური ხარვეზების შევსებას), არამედ იგი დაფიქსირებულია როგორც ფლექსიის კლასის ნიშანი სალექსიკონო სიტყვაში.

დაც უარყოფითი ნაწილაკი „ნუ“ + „ფუტურუმი“ უფრო „უარყოფით თხოვნას“ გამოხატავს, მაშინ, როდესაც „ნუ“ + „პრეზენსი“ უმთავრესად „აკრძალვას“ გულისხმობს ასევე „უასპექტო ფორმებისთვისაც: „ამ გასაღებს ნუ დაკარგავ“ მიმართებაშია: „გასაღებს ნუ კარგავ“, ისევე როგორც: „ნუ იმუშავებ ამდენ ხანს“ და „ნუ მუშაობ ამდენ ხანს“. წესი, რომ ფუტურუმს ეს თვისება გააჩნია, ინჰერენტულ მორფოსინტაქსურ ნიშანს (ფუტურუმს) აკავშირებს სემანტიკურ ინტერპრეტაციასთან (გარდა, შესაბამისად, „ნეიტრალური კონტექსტისა“ (ა. არაბული)!). იმ წესზე მსჯელობა, რომ „პერფექტული პრეზენს-ფუტურუმი ან უასპექტო პრეზენს-ფუტურუმი „ნუ“ ნაწილაკის თხოვნას“ გამოხატავს“, შესაძლოა მართებულიც იყოს, მაგრამ ეს ვერ დაადგენს პ ი რ დ ა პ ი რ კავშირს „ფუტურუმის“ ნიშანსა და „თხოვნის“ სემანტიკურ მნიშვნელობას შორის. სიტყვა „ნეტავი“ ზოგადად მართავს კონიუნქტივს („ნეტავი მალე გათენდებოდეს“. ა. ლლონტის მაგალითი), მაგრამ მხოლოდ ფუტურუმ-კონიუნქტივი გამოხატავს „აღსასრულლებელი სურვილის“ ფარდობით არანამდვილობას: „ნეტავი ამისთანა გოგო გამოჩნდებოდეს და ამ საღამოს იცეკვებდეს“ (წინადადების პირველი ნაწილი ეკუთვნის ა. პაპიძეს). გარდა ამისა (როგორც ვხედავ), კოორდინაცია მწკრივის ნიშანთა იდენტურობას პირველ და მეორე კავშირებითი და, შესაბამისად, „ფუტურუმშიც“ მოითხოვს, როგორც ფორმების „გამოჩნდებოდეს“ და „იცეკვებდეს“ ინჰერენტულ ნიშანს, და არა მხოლოდ ამ ფორმების სემანტიკის კონტექსტუალურ ინტერპრეტაციას. რაც შეეხება „ფუტურუმისა“ და „კონიუნქტივის“ ნიშნებს, ფორმები: „გამოჩნდებოდეს“ და „იცეკვებდეს“ იდენტური უნდა იყოს (და მათი ნიშნები, ამ თვალსაზრისით, სინტაქსურადაც, და მკაცრად თუ მივუდგებით, მაშასადამე, მორფოსინტაქსურადაც რელევანტური არიან): ეს ის იდენტურობაა, რომელსაც „პერფექტული ფუტურუმ-კონიუნქტივი“, შესაბამისად, „პრეზენს-ფუტურუმი“ ვერ გამოხატავს. უფრო მეტიც, ეს იდენტურობა „ფუტურუმის მწკრივის“ არსებობას მოითხოვს.

ამრიგად, მორფოსინტაქსური ნიშნები პარადიგმის ფორმების დიფერენციაციას ახდენენ და მათ შესაბამის ადგილს მიუჩენენ პარა-

დიგმაში¹. ამ ფორმების ენობრივ რეალობაში არსებობა იმით არის უზრუნველყოფილი, რომ არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ უკავშირდება და, ამდენად, მათი შესრულება აუცილებელია. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: „ფუტურუმი“, „კონიუნქტივი“ და სხვ. (შესაბამისად, ის რელევანტური ნიშნები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიებისგან განასხვავებენ).

ამრიგად, ეს ფაქტებითა და მოსაზრებებით მდიდარი მონოგრაფია მხოლოდ პრობლემების მცირე ნაწილს განიხილავს. ზემოთ გამოთქმული შენიშვნები კი არანაირად არ ამცრობს მის მნიშვნელობას. მონოგრაფიის ღირებულება, ერთი მხრივ, იმ უზარმაზარი სფეროს კვლევაში მდგომარეობს, რომელსაც ქართული ზმნით დაინტერესებული პირი მომავალში გვერდს ვერ აუვლის. მაგრამ მონოგრაფიას მრავალი სხვა ნაშრომისგან, უპირველეს ყოვლისა, ის გამოარჩევს, რომ ავტორი წამოჭრის საკითხებს, რომლებიც სულაც არ არის მარტივი და მორფოლოგიური თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს ეხება. ამ საკითხების დასმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათზე გაცემული შესაძლო პასუხები, და, ღირს იმად, რათა საქართველოში თუ სადმე სხვაგან, მათზე პასუხების გასაცემად (საერთაშორისო კვლევის დონეზე) კრიტიკული, და, ამავდროულად, ობიექტური დისკუსიები გაიმართოს.

*გერმანულიდან თარგმნა
ნანა გოგოლაშვილმა*

¹ ზმნის ფორმის განსაზღვრა არც მხოლოდ მისი ფორმალური ელემენტებიდან და არც მათი კომბინაციიდან გამომდინარე არ ხდება. ის, რომ „მივე-ე“ ზმნაში „ე“ „მივეწერ-ე“ ზმნის „ე“-ს იდენტური არ არის, ამაზე პარადიგმაში ამ ფორმის ადგილი მიუთითებს. ასევე „ვაძლევ“-ზმნის დრო მისი მორფოლოგიური ფორმიდან კი არა, პარადიგმაში მისი იმ ადგილიდან გამომდინარეობს (სახელობრ, სწორედ როგორც „ფუტურუმისა“), რომელიც მას „ვიმუშავებ“ – ზმნის მსგავსად უკავია. „მივეცემ“ ზმნის ფუტურუმის მნიშვნელობა, როგორც ასეთი, მისი ზმნისწინიდან არ გამომდინარეობს, დაე, თუნდაც ამ ტიპის ზმნის „პერფექტივიზაცია“ სემანტიკურად „მომავლის“ მნიშვნელობას მოითხოვდეს.

სარჩევი

- გ. გოგოლაშვილი – სალიტერატურო ენის ნორმა და დიალექტური ნორმა3
- ი. დემეტრაძე – სიტყბოს ცნება ინგლისურ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტში16
- ც. კვანტალიანი, რ. ლანდია – ზმნური ფუძეები და თემის ნიშანთა მონაცვლეობა დიალექტებში დიალექტური კორპუსის მიხედვით23
- მ. ტურიაშვილი – ნასესხობები და ლინგვისტური პურიზმი36
- ბ. ყანდაშვილი – სულთან, ჯელთან, ფეხთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური და იდიომატური გამოთქმები ქიზიყურში43
- გ. ყუფარაძე, ც. ახვლედიანი – ინგლისურენოვან ნასესხობათა ადაპტაცია ფრანგულ ენაში49
- თ. შიუკაშვილი – აბსოლუტური და ფარდობითი დროის გამობატვა ტიპოლოგიურ ჭრილში54
- ე. ცაცუა – სამეტყველო აქტთა ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი სასამართლო დისკურსში65
- ს. ცერცვაძე – სამეტყველო აქტები სასტუმროს რეკლამაში (ინგლისურენოვან ინტერნეტმასალაზე დაყრდნობით)81
- ნ. ციხიშვილი – **თ** სუფიქსიანი II კავშირებითის პარალელური წარმოების შემთხვევები საშუალ ქართულში95

ნ. ციხიშვილი – იულიუს ასფალგი – ქართული კულტურის მკვლევარი (დაბადებიდან 100 წლისთავის გამო).....	107
გ. ცოცანიძე – ხევსურთმოე და სახევსუროები (თუშეთისა და ხევსურეთის საკრალური ურთიერთობის ისტორიიდან).....	123
რ. ჭიკაძე – ფუძისეული წყონემით შეპირობებული სახელდებითი ჯგუფები ქართული ენის დიალექტებში	132
მ. ხოფერია – ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ესპანეთში	138
ვ. ბოედერი – გოგოლაშვილი გიორგი, 2010, ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები) (form – building issues [509-512]) (ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 519 გვერდი).....	148

CONTENT

G. G o g o l a s h v i l i – A Literary Language Norm and A Dialectal Norm.....	15
I. D e m e t r a d z e – The Concept of Sweetness in English and Georgian Speech Etiquette	22
Ts. K v a n t a l i a n i, R. L a n d i a – Verb Stems and an Interchange of Thematic Markers in the Georgian Dialects (Dialect Corpus Based Study).....	34
M. T u r i a s h v i l i – Borrowings and Linguistic Purism.....	42
Kh. K a n d a s h v i l i – Phraseological Units and Idioms of <i>soil, hand and leg</i> in the Kisiq dialect of Georgian.....	48
G. K u p a r a d z e, Ts. A k h v l e d i a n i – Adaptation of English Borrowings in the French Language.....	53
T. S h i u k a s h v i l i – A Typological Study of the Ways of Expressing Absolute and Relative Time	64
E. T s a t s u a – Peculiarities of Linguistic Realization of Speech Acts in Courtroom Discourse.....	79
S. T s e r t s v a d z e – Speech Acts in Hotel Advertisements (based on the English internet data)	93
N. T s i k h i s h v i l i – Instances of Parallel Formation to Subjunctive II with the Suffix – o in Middle Georgian.....	106

N. T s i k h i s h v i l i – Julius Assfalg - an Explorer of Georgian Culture (a centenary of his birth).....	122
G. T s o t s a n i d z e – A Khevsurian Tradition and Some Terms Connected with it (Khevsurtmoe and Sakhevsuroebi)	131
R. C h i k a d z e – Naming Groups Conditioned by the Phoneme ç.....	137
M. K h o p e r i a – Peculiarities of Linguistic Situation and Language Policy in Present-day Spain	146